# საქართველოს მთავრობა

## ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები

## 2019-2022 წლებისათვის

## (გადამუშავებული ვარიანტი)

თბილისი

2018

## სამთავრობო პროგრამა
## თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა

### წინასიტყვაობა

2012 წლის შემდეგ რეალური და გეგმაზომიერი რეფორმების განხორციელებით საქართველოს მთავრობის ძალისხმევა მიმართულია დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისკენ, რომელიც ეფუძნება დემოკრატიის იმ უმთავრეს პრინციპებს, როგორიცაა სამართლიანობა, თავისუფლება, თანასწორობა, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების პატივისცემა, საკუთრების ხელშეუხებლობა, თავისუფალი ბიზნესი, დამოუკიდებელი სასამართლო და მედია, არაპოლიტიზებული პოლიცია, განათლებისა და სამედიცინო დახმარების მიღების თანაბარი შესაძლებლობები.

მთავრობა აგრძელებს თანამიმდევრულ მუშაობას კანონის უზენაესობის განმტკიცების მიზნით, რათა სასამართლოს დამოუკიდებლობა და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა კიდევ უფრო დაუახლოვდეს საუკეთესო ევროპულ სტანდარტებს; უზრუნველყოფილი იყოს მედიის დამოუკიდებლობა და გამოხატვის თავისუფლების ხელშეუხებლობა; გაღრმავდეს მუშაობა საქართველოს თითოეული მოქალაქისათვის ხარისხიანი განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის კუთხით, გაუმჯობესდეს სახელმწიფო სოციალური პროგრამები; შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები და დაძლეულ იქნეს სიღარიბე.

პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავაც რჩება საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაცია, დემოკრატიული ინსტიტუტების შემდგომი განვითარება და გაძლიერება, დემოკრატიის მაღალ სტანდარტსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ბალანსის შენარჩუნება, განათლების სექტორის ფუნდამენტური რეფორმა, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, მეწარმეობისა და დამწყები ბიზნესის წახალისება, მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის ინტეგრირება, მცირე, მოქნილი და ეფექტიანი საჯარო სამსახური.

გამყარდება ქვეყნის უსაფრთხოება და საქართველოს რეგიონალური პოზიციები, გაგრძელდება ძალისხმევა საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების მიზნით და კიდევ უფრო გაღრმავდება ევროკავშირსა და ნატოსთან ინტეგრაციის პროცესები; საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგის მთავარი თემა იქნება ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკა და საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით ქვეყნის დეოკუპაციის მიღწევა. გაგრძელდება მუშაობა აფხაზებსა და ოსებთან პირდაპირი დიალოგისა და შერიგების პროცესის დასაწყებად.

## ქვეყნის განვითარების სამთავრობო ხედვა

2018-2020 წლებში საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

ამ მიზნის მისაღწევად ქვეყნის განვითარების სამთავრობო ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ქართველი ხალხის ისტორიული არჩევანის სრულად განხორციელება და საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში შეუქცევადი ინტეგრაცია. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტანდარტებთან ჰარმონიზაცია მნიშვნელოვანია ყველა სექტორში, მათ შორის ეკონომიკური პოლიტიკა და საერთაშორისო ვაჭრობა, განათლების სისტემის რეფორმა, ქვეყნის ინსტიტუციონალური განვითარება და თავდაცვისუნარიანობის ამაღლება. ამ მიმართულებით „ქართულ ოცნებას" აქვს უდიდესი წარმატებები და ამ წარმატებას უფრო მეტად განმტკიცება და გაღრმავება სჭირდება;

- მთავრობა ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ ეკონომიკის ისეთ მოდელს, დავამკვიდრებთ ისეთ სამართლიანი თამაშის წესებს, რომლებიც აისახება თითოეულ ოჯახზე, თითოეულ საქართველოს მოქალაქეზე. ამის შედეგად, დაიძლევა სიღარიბე და ეკონომიკური მდგომარეობის ჩამორჩენა დემოკრატიის მაღალ სტანდარტთან შედარებით. ამავე დროს, გაგრძელდება დემოკრატიული ინსტიტუტების შემდგომი განვითარება და გაძლიერება;

- მცირე მთავრობის კონცეფცია. ქვეყანას სჭირდება მცირე, მოქნილი და ეფექტიანი ბიუროკრატია - სამთავრობო ინსტიტუტები, რომლებიც მოქმედებენ გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტით და რომლებზეც ხორციელდება საზოგადოებრივი და ინსტიტუციონალური კონტროლი, მათ შორის, ანტიკორუფციული კუთხით;

- განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც საქართველოს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე ქვეყანათა შორის. შესაბამისად, განათლებაში ფუნდამენტურ რეფორმას და მასშტაბურ ინვესტიციებს მიენიჭება უმთავრესი პრიორიტეტი.

- ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, ყველა ძალისხმევა თუ ინიციატივა ორიენტირებული იქნება თითოეულ ადამიანზე, მისი თავისუფლებისა და ღირსების დაცვაზე, მისთვის საკუთარ ქვეყანაში კეთილდღეობისა და თვითრეალიზაციის ფართო შესაძლებლობების მიცემაზე.

აღნიშნულ პრინციპებზე დაყრდნობით განხორციელებული რეფორმების შედეგად, საქართველო გახდება უალტერნატივო ჩვენი აფხაზი და ოსი ძმების დასაბრუნებლად..

# 1. საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება და თავდაცვა

## 1.1 საგარეო პოლიტიკა

მთავრობის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზანია ქართველი ხალხის ისტორიული არჩევანის სრულად განხორციელება და **საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია.**

**ევროკავშირში სრულფასოვანი ინტეგრაციის** მიზნით, მთავრობა გამოიყენებს ევროკავშირთან თანამშრომლობის ყველა არსებულ მექანიზმს. ევროკავშირში ინტეგრაციის დღის წესრიგი დაეფუძნება საგზაო რუკას, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ მიმართულებებსა და ძირითად პრიორიტეტებს და ამგვარად უზრუნველყოფს ევროინტეგრაციის პროცესის მეტ სისტემურობას, თანამიმდევრულობას, პროგნოზირებადობასა და გამჭვირვალობას.

საგზაო რუკის თანახმად, საქართველოს მთავრობა:

- გააგრძელებს ასოცირების შეთანხმების ეფექტიან განხორციელებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტის ჩათვლით, რომელიც საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ძირითად სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს და ითვალისწინებს მრავალი მიმართულებით მოდერნიზაციასა და ტრანსფორმაციას ევროპული სტანდარტების შესაბამისად;

- გადადგამს კონკრეტულ ნაბიჯებს ევროკავშირთან უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გასაღრმავებლად;

- გადადგამს კონკრეტულ ნაბიჯებს ევროკავშირთან სექტორული ინტეგრაციის კუთხით, რაც ქვეყანას უფრო მეტად დააახლოებს ევროკავშირის სექტორულ ნორმებსა და პოლიტიკასთან;

- განახორციელებს საკანონმდებლო თავსებადობის ანალიზს ევროკავშირის კანონმდებლობასთან შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვის მიზნით;

- გააგრძელებს „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ფარგლებში არსებული შესაძლებლობების ეფექტიან გამოყენებას, მათ შორის „აღმოსავლეთ პარტნიორობის 20 შედეგი 2020 წლისთვის" დოკუმენტით გათვალისწინებული შედეგების განხორციელებას.

ამავე დროს, მთავრობა მოწოდებულია გააღრმაოს პოლიტიკური დიალოგი ევროკავშირსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მიზნების მისაღწევად; ასევე უზრუნველყოს შენგენის სივრცის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის ეფექტიანი ფუნქციონირება, რაც ხალხთა შორის კონტაქტების გაღრმავების მიმართულებით ახალ შესაძლებლობებს ქმნის ჩვენი მოქალაქეებისათვის.

**ნატოში სრულფასოვანი ინტეგრაცია** საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანა და ერთ-ერთი უმთავრესი ხელშემწყობი ფაქტორია ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცებისა და სტაბილური განვითარებისთვის. საქართველო მიზანმიმართულად გააგრძელებს ძალისხმევას, რათა განხორციელდეს 2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტზე მოკავშირეების მიერ

მიღებული გადაწყვეტილება, რომ „საქართველო გახდება ნატოს წევრი“. საქართველო განაგრძობს ნატოში ინტეგრაციის ძირითადი ინსტრუმენტების - წლიური ეროვნული პროგრამის, ნატო-საქართველოს კომისიისა და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ეფექტიანად გამოყენებას და წარმატებით ახორციელებს დემოკრატიული განვითარებისა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისკენ მიმართულ რეფორმებს.

ალიანსში გაწევრიანებისათვის მოსამზადებლად გაგრძელდება მუშაობა არსებული პოლიტიკური და პრაქტიკული ინსტრუმენტების გამოყენებით:

- მაქსიმალურად იქნება გამოყენებული ნატოსთან პოლიტიკური დიალოგის უმთავრესი ფორმატი - ნატო-საქართველო კომისია;
- პრაქტიკული თანამშრომლობის თვალსაზრისით, გაგრძელდება ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ეფექტიანი განხორციელება, რომლის მიზანია ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება და ალიანსთან თავსებადობის ამაღლება, რაც დაეხმარება საქართველოს მოემზადოს ალიანსში გაწევრიანებისთვის. ალიანსთან გაგრძელდება და გაღრმავდება თანამშრომლობა შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების მიმართულებით;
- საქართველო კვლავ იქნება ალიანსის მნიშვნელოვანი პარტნიორი საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში და გააგრძელებს გაძლიერებული შესაძლებლობების მქონე პარტნიორის სტატუსით მინიჭებული შესაძლებლობების გამოყენებას, აქტიურად გაგრძელდება მუშაობა ნატოს საპარლამენტო ასამბლეასთან.

ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით წინსვლის უზრუნველსაყოფად, ქართული მხარის აქტიური მუშაობის შედეგად მნიშვნელოვანი პოლიტიკური და პრაქტიკული გადაწყვეტილებები იქნა მიღებული 2018 წლის ბრიუსელის ნატოს სამიტზე. წარმატებით შესრულდა ყველა ის ამოცანა, რაც საქართველოს მთავრობას ჰქონდა დასახული. კერძოდ, სამიტის ფარგლებში საქართველომ უმაღლესი დონის ფორმატის შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, შავი ზღვის უსაფრთხოებაში საქართველოს მონაწილეობის შესახებ პრაქტიკული გადაწყვეტილებები იქნა მიღებული და ასევე, საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი შესაბამისად იქნა ასახული ნატოს ღია კარის პოლიტიკის კონტექსტში. ამ გადაწყვეტილებების განხორციელება კიდევ უფრო დააახლოებს საქართველოს ალიანსში გაწევრიანებასთან.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიზნით, ქმედითი ნაბიჯების პარალელურად, უმთავრესი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტია **საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვეობისა და სუვერენიტეტის განმტკიცება,** ქვეყნის დეოკუპაცია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რაც მხოლოდ მშვიდობიანი გზით არის შესაძლებელი.

საქართველოს მთავრობა გააგრძელებს ძალისხმევას რუსეთის ფედერაციის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების, მათ შორის, ევროკავშირის შუამავლობით 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების სრულად შესრულების უზრუნველსაყოფად და ამ პროცესში საერთაშორისო ჩართულობის გასაზრდელად.

საქართველო გააგრძელებს კონსტრუქციულ და აქტიურ მონაწილეობას ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში, რომელიც წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფორმატს ევროკავშირის, გაეროს, ეუთოს თანათავმჯდომარეობითა და აშშ-ის მონაწილეობით საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტიდან მომდინარე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული პრობლემების გადასაჭრელად.

მთავრობის ძალისხმევა მიმართული იქნება ხელშესახები პროგრესის მიღწევისაკენ მოლაპარაკებების დღის წესრიგის ისეთ მთავარ საკითხებზე, როგორიცაა რუსეთის ფედერაციის მიერ ძალის არგამოყენების ვალდებულების დადასტურება და შესრულება, ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნა და იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საერთაშორისო ძალისხმევის კონსოლიდაციას რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ესკალაციის პრევენციისა და აგრეთვე საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფისათვის. პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის შემდგომი მობილიზების მიზნით, გაგრძელდება საერთაშორისო თანამეგობრობის მუდმივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილი ვითარებისა და სამშვიდობო პოლიტიკის ფარგლებში საქართველოს მთავრობის ნაბიჯების შესახებ. გაგრძელდება აქტიური მუშაობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების წვდომის უზრუნველსაყოფად.

პროაქტიულად გაგრძელდება მუშაობა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სრულად განხორციელების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს მთავრობა კვლავაც გააგრძელებს აქტიურ მუშაობას საერთაშორისო არენაზე ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის არაღიარების პოლიტიკის შემდგომი განმტკიცების მიზნით. გაგრძელდება აქტიური ძალისხმევა შესაძლო რისკების პრევენციისა და ცალკეულ უკანონო შემთხვევებზე რეაგირებისათვის.

კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პოლიტიკის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ომითა და გამყოფი ხაზებით დაშორებული მოსახლეობის შერიგებასა და ნდობის აღდგენას, საქართველოს მთავრობის ახალი სამშვიდობო ინიციატივის - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ განხორციელებას და კომუნიკაციას ომით გაყოფილ საზოგადოებებს შორის პირდაპირი დიალოგისა და შერიგების პროცესის ხელშეწყობის, ნდობის აღდგენისკენ მიმართული კონკრეტული პროექტების განხორციელების, გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის წახალისების, კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაზე ზრუნვის, მათ სოციალურ-ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ საჭიროებებზე რეაგირების, სხვადასხვა სერვისის ხელმისაწვდომობის, განათლების შესაძლებლობების განვითარების, სახალხო დიპლომატიისა და საერთო ინტერესებზე დაფუძნებული თანამშრომლობის ხელშეწყობის გზით.

საგარეო პოლიტიკის ფარგლებში დასახული მიზნების მისაღწევად გამოყენებული იქნება ორმხრივი და მრავალმხრივი დიპლომატიის მექანიზმები.

ორმხრივი დიპლომატიის ფარგლებში:

გაგრძელდება და კიდევ უფრო გააქტიურდება სტრატეგიული თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან როგორც საქართველოს მთავარ მოკავშირესთან. კერძოდ, ჩვენი მიზანია:

- აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის კომისიის ფარგლებში თანამშრომლობის გააქტიურება პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით;
- აშშ-ის წარმომადგენელთა პალატასა და სენატში არსებული საქართველოს მძლავრი ორპარტიული მხარდაჭერის შენარჩუნება და გაზრდა საქართველოს თაობაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების, საკანონმდებლო აქტების, რეზოლუციების, განცხადებების მიღების გზით;
- თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში აშშ-სთან თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობებისა და შეიარაღებული ძალების ინსტიტუციონალური განვითარების მიზნით;
- ორმხრივი სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების კუთხით მუშაობის გაგრძელება, ვაჭრობასა და ინვესტიციებზე მაღალი დონის დიალოგის (HLTID) ფორმატში, მათ შორის, თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობის განხილვის მიზნით.

უმნიშვნელოვანესი იქნება დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ორმხრივი პარტნიორობის სტრატეგიულ დონეზე აყვანა და ტრადიციულად მოკავშირე ევროპულ ქვეყნებთან პარტნიორული ურთიერთობის გაგრძელება და შემდგომი გაღრმავება.

გაგრძელდება რეგიონალური სტაბილურობის ხელშეწყობა და რეგიონში დაბალანსებული პოლიტიკის გატარება.

რუსეთის ფედერაციასთან, რაციონალური და დეესკალაციის პოლიტიკის ფარგლებში, გაგრძელდება სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული და ხალხთაშორისი კონტაქტების ხელშეწყობა.

ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის კონტინენტის, ასევე ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის რეგიონის ქვეყნებთან ორმხრივ დონეზე გაღრმავდება პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა სექტორული სახელშეკრულებო-სამართლებრივი ურთიერთობები.

აზიისა და ოკეანეთის ქვეყნებთან გაგრძელდება აქტიური თანამშრომლობა ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში. კვლავ გადაიდგმება ნაბიჯები ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოებთან არსებული ურთიერთობების განმტკიცების, ასევე თანამშრომლობის მდგრადი პოზიტიური დინამიკის განვითარების კუთხით.

მრავალმხრივი დიპლომატია

საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა საერთაშორისო ორგანიზაციებში (გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო) აქტიური ჩართულობა და ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამისი პოლიტიკის გატარება/პოზიციონირება, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მათ ფარგლებში არსებულ

ინსტიტუტებთან აქტიური თანამშრომლობა, პირველ რიგში, ქვეყნის შიგნით მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების წარმატების უზრუნველყოფის, ადამიანის უფლებათა განმტკიცების, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების ქმედითი ჩართულობის, ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების წვდომის უზრუნველყოფის, იძულებით ადგილნაცვალ პირთა თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნების ხელშეწყობის მიმართულებებით. ასევე, გაგრძელდება აქტიური მუშაობა საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მოქალაქეების წარმომადგენლობითობის გაზრდის კუთხით.

საქართველო კვლავაც გააგრძელებს მუშაობას საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის საკითხის აქტიურად შესანარჩუნებლად.

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრობის პერიოდში (2016-2018), საქართველო მაქსიმალურად გამოიყენებს ამ მნიშვნელოვან ფორმატს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა კუთხით არსებულ მდგომარეობასა და მიმდინარე დარღვევებზე საბჭოს ყურადღების გასამახვილებლად, მათ შორის, კონკრეტული ინიციატივების გზით.

2019-2020 წლებში საქართველო ხდება ევროპის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა. მთავრობა მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავს თავმჯდომარეობის წარმატებით დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

გაგრძელდება რეგიონალური სახის თანამშრომლობის განვითარება დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის - სუამის ფარგლებში. გაგრძელდება ურთიერთობების განვითარება ისეთ რეგიონალურ ორგანიზაციებთან, როგორიცაა არაბული სახელმწიფოების ლიგა (League of Arab States) სპარსეთის ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო (GCC) და აფრიკის კავშირი (Afrcan Union). გაღრმავდება აგრეთვე თანამშრომლობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერების ასოციაციასთან (ASEAN), ფრანკოფონიის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (OIF), პორტუგალიურენოვანი ქვეყნების თანამეგობრობასთან (CPLP) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების მისაღწევად აუცილებელია აქტიური **სტრატეგიული კომუნიკაცია** მთავრობის მიერ განხორციელებულ ნაბიჯებთან დაკავშირებით, რათა შენარჩუნებულ იქნეს ქვეყნის საგარეო კურსის მიმართ მოსახლეობის მაღალი და გაცნობიერებული მხარდაჭერა.

საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მაღალი მხარდაჭერის შენარჩუნების მიზნით:

- გაგრძელდება მოსახლეობაზე ანტიდასავლური პროპაგანდის ზეგავლენის პრევენცია და შემცირება ქმედითი ღონისძიებების განხორციელებით, სტრატეგიული კომუნიკაციის ეფექტიანი იმპლემენტაციით, რაც არ გულისხმობს კონტრპროპაგანდის გამოყენებას;
- განხორციელდება აქტიური საინფორმაციო კამპანია, რომლის მიზანია საქართველოს მოსახლეობისთვის ზუსტი, ამომწურავი და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება ევროკავშირისა და ნატოს, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების, ასევე ქვეყნის მიერ განხორციელებული და განსახორციელებელი რეფორმების თაობაზე;

- გაგრძელდება თანამშრომლობა სამოქალაქო სექტორთან ერთობლივი ძალისხმევის კოორდინირებისათვის;
- გაგრძელდება თანამშრომლობა სტრატეგიული კომუნიკაციის სტრუქტურულ ერთეულებთან ევროკავშირსა და ნატოში და მათ წევრ სახელმწიფოებში,

საქართველოს, როგორც სტაბილური, თანამედროვე, დემოკრატიული და თვითმყოფადი კულტურის მქონე ქვეყნის, იმიჯის გასამყარებლად, კიდევ უფრო გააქტიურდება კულტურული დიპლომატია. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება იმაზე, რომ საქართველო ევროპული კულტურული სივრცის განუყოფელი ნაწილია და აქტიურად არის ჩართული თანამედროვე საერთაშორისო კულტურულ პროცესებში.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია ერთიანი, ძლიერი და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე **დიასპორის განვითარების ხელშეწყობა.** აღნიშნულის განსახორციელებლად აუცილებელია დიასპორასთან ისეთი მდგრადი კავშირის განვითარება, რომელიც თანამემამულეებისათვის სახელმწიფოს შესაძლებლობებზე ფართო წვდომას, საქართველოსათვის კი სახელმწიფო ინტერესების ეფექტიან განხორციელებას უზრუნველყოფს.

მთავრობა ხელს შეუწყობს თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების საერთო ინტერესების განხორციელებას, ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას, დიასპორული ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას, სახელმწიფო, არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და თანამემამულეთა ადგილსამყოფელ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობას.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში დიასპორის ჩართულობას და უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში ღირსეულად დაბრუნების ხელშეწყობას.

დაიწყება საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში 2016 წელს გადმოცემული ლევილის მამულის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროცესი, მომავალში მისი ქართულ კულტურულ და საგანმანათლებლო კერად ჩამოყალიბების მიზნით.

საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით:

- გაფართოვდება საკონსულო საქმიანობის განხორციელების სამოქმედო არეალი;
- გაგრძელდება მუშაობა სათანადო სტანდარტების შესაბამისად საკონსულოების აღჭურვის, კვალიფიციური საკონსულო მომსახურების და ოპერატიული საკონსულო დაცვის უზრუნველსაყოფად;
- გადაიდგმება ნაბიჯები საქართველოს მოქალაქეებისთვის თავისუფალი გადაადგილების არეალის გაფართოებისათვის, ასევე, საზღვარგარეთ კრიზისული და საგანგებო სიტუაციებისას უცხოეთში მყოფი თანამოქალაქეების სწრაფად და ეფექტიანად დაცვის მიზნით შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების დანერგვის კუთხით.

## 1.2 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება

არსებული ჰიბრიდული გამოწვევებიდან გამომდინარე, საქართველოს სჭირდება მაღალი საბრძოლო მზადყოფნის, ტერიტორიული თავდაცვისა და შეკავების ამოცანების განხორციელების მდგრადი უნარებითა და შესაძლებლობებით აღჭურვილი, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ძალებთან სრულად თავსებადი, მობილური, ეფექტიანი შეიარაღებული ძალები. სწორედ ასეთი შესაძლებლობების შეიარაღებული ძალების არსებობა წარმოადგენს საფრთხის შეკავების ძირითად შემადგენელს.

საქართველოს შეიარაღებული ძალების ძირითადი მისიაა ქვეყნის თავდაცვა, რომლის ფარგლებში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ტერიტორიული თავდაცვის უზრუნველყოფაზე. ამასთან ერთად, გრძელდება ალიანსის წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან ერთად მონაწილეობა საერთაშორისო მისიებში ტერორიზმთან ბრძოლისა და მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ამავდროულად, შეიარაღებული ძალები უზრუნველყოფს ქვეყნის შიგნით სტიქიური და ტექნოგენური კრიზისების დროს სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერას.

ამ ამოცანების შესასრულებლად, შემუშავებულია თავდაცვის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი და ტრანსფორმაციის გეგმა, რომელიც 2020 წლამდე თავდაცვის სისტემის/შეიარაღებული ძალების განვითარებისთვის მთელ რიგ ღონისძიებებს ითვალისწინებს. აღნიშნული სრულ თანხვედრაშია ჩრდილოეთ ატლანტიკური ალიანსის მიერ გატარებულ თავდაცვისა და შეკავების პოლიტიკასთან და გულისხმობს ისეთი შესაძლებლობების მქონე თავდაცვის სისტემის არსებობას, რომლის ფარგლებშიც მდგრადი და მაღალი საბრძოლო მზადყოფნის მქონე შეიარაღებული ძალები, სხვა უწყებებთან მჭიდრო კოორდინაციით, შეძლებენ საფრთხის შეკავების ამოცანის ეფექტიანად შესრულებას.

შესაბამისად, საქართველოს მთავრობა ეროვნული თავდაცვის სისტემის განვითარების პროცესში სწრაფად და ეფექტიანად განახორციელებს „ტოტალური თავდაცვის" კონცეფციას, რაც გულისხმობს როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო თავდაცვის, სოციალურ-ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და საინფორმაციო-ფსიქოლოგიური სფეროების მიმართულებით შეთანხმებული გეგმების შემუშავება-დამტკიცებას და უწყებათაშორისი, კოორდინირებული ნაბიჯების განხორციელებას. „ტოტალური თავდაცვა" წარმოადგენს როგორც შეიარაღებული ძალების, ისე ზოგადად საზოგადოების მდგრადობას და მზაობას, წინააღმდეგობა გაუწიოს მოწინააღმდეგეს და ქვეყნის მთლიანი სამხედრო, ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენებით განახორციელოს ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეებზე ეფექტიანი რეაგირება.

აშშ-სთან, როგორც ძირითად სტრატეგიულ პარტნიორთან, ერთად, გაგრძელდება საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) განხორციელება, რომლის ფარგლებშიც, 2020 წლის ჩათვლით, ტერიტორიული თავდაცვის პრინციპითა და მცირე ქვედანაყოფების ტაქტიკით მომზადდება და აღიჭურვება შეიარაღებული ძალების ქვეითი ბატალიონები. ამ პროგრამას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისა და ინსტიტუციონალური განვითარებისათვის.

სათანადო ყურადღება დაეთმობა საინჟინრო შესაძლებლობების გაძლიერებას. გაგრძელდება სპეციალური დანიშნულების ძალების, საჰაერო თავდაცვის, საჰაერო-სატრანსპორტო,

ჯავშანსაწინააღმდეგო, დაზვერვის, არტილერიის, მართვისა და კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემების შესაძლებლობების, კიბერუსაფრთხოებისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სფეროების და ეროვნული გვარდიის შემდგომი რეფორმირება და ეფექტიან ძალად ჩამოყალიბება.

თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, გაგრძელდება სამხედრო განათლების სფეროს - ოფიცერთა და სერჟანტთა მომზადების მნიშვნელოვანი სეგმენტების ინსტიტუციონალიზაცია და ალიანსის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) შემდგომი განვითარება მნიშვნელოვნად გაზრდის თავდაცვის შეფასების შესაძლებლობებს, ისევე, როგორც ხელს შეუწყობს ნატოს „პარტნიორობის თავსებადობის ინიციატივის" (Partnership Interoperability Initiative) განხორციელებას. საერთო საჯარისო ცენტრის შემდგომი განვითარების ფაზაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად განიხილება „საერთაშორისო მანევრის კაპიტნის საკარიერო კურსის" ჩამოყალიბება, რაც შესაძლებლობას გვაძლევს საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებთან ერთად პარტნიორი ქვეყნების უმცროს ოფიცერთა შემადგენლობაც მოვამზადოთ. ამასთან, მოხდება საბრძოლო საწვრთნელი ცენტრის (CTC) სრულფასოვანი გამართვა, საწყისი საბრძოლო მომზადებისა და დოქტრინების ცენტრების შემდგომი განვითარება ნატოს სტანდარტების გათვალისწინებით.

ალიანსის გაძლიერებული მოწინავე ჩართულობის (Enhanced Forward Presence) გათვალისწინებით და ამ კუთხით დეკლარირებული „ლოგისტიკის წლის" ფარგლებში, გაგრძელდება თავდაცვის ლოგისტიკის სფეროს ტრანსფორმაცია, რათა მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი ბრიგადების ტაქტიკური ჯგუფების დროული და უწყვეტი ლოგისტიკური მხარდაჭერა.

ამასთან, განხორციელდება ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით (SNGP) გათვალისწინებული ინიციატივების იმპლემენტაცია, რომლის ფარგლებშიც, როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი ფორმატების გამოყენებით, ალიანსისგან მიღებული ეფექტიანი მხარდაჭერით მიიღწევა ნატოს სტანდარტი და თავსებადობის მაღალი ხარისხი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კიბერუსაფრთხოებისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სფეროების განვითარებას.

ტოტალური თავდაცვის პრინციპის გათვალისწინებით გაგრძელდება ტერიტორიული თავდაცვის ამოცანის შესასრულებლად არსებული შესაძლებლობების განვითარება. აღნიშნული ითვალისწინებს სამხედრო სარეზერვო ქვედანაყოფების მომზადებას, რომლის საპილოტე პროექტიც დაიწყება 2018 წელს.

ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფაში მოსახლეობის აქტიური ჩართულობის მიმართულებით, გაგრძელდება სკოლებში საინფორმაციო კამპანია, რაც ახალგაზრდა თაობაში ქვეყნის თავდაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლებას გულისხმობს. აღნიშნული ასევე ითვალისწინებს საკუთრივ ქვედანაყოფებისა და სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისა და დაწესებულებების მონახულებას. საპილოტე პროექტის სახით მოხდება თავდაცვისა და სამხედრო საქმის შესახებ შემუშავებული არჩევითი საგნის შეტანა შერჩეული სკოლების სასწავლო პროგრამაში. პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, მოხდება მისი ფართოდ დანერგვა.

**ეროვნული თავდაცვის მოთხოვნებისა და განსაკუთრებით ტოტალური თავდაცვის პრინციპის გათვალისწინებით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია თავდაცვის სფეროში უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და კოორდინირებული მოქმედების მაღალი ხარისხის მიღწევა. შესაბამისად:**

გაგრძელდება ერთიანი სამთავრობო მიდგომის და კოორდინაციის მექანიზმების დახვეწის გზების ასახვა როგორც კონცეპტუალურ დონეზე „ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის 2020-2030“ დოკუმენტის დამტკიცებით, ისე მის საფუძველზე, უწყებრივ დონეზე დადგენილი აუცილებელი სამოქმედო გეგმების (მზადყოფნის გეგმები) შემუშავება-დამტკიცებით.

**თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვა ხორციელდება როგორც ეროვნული, ისე უწყებრივი დონის კონცეპტუალური და ორგანიზაციული დოკუმენტების მეშვეობით. თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების პროცესის ხელშეწყობისა და მეტი სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, თავდაცვის სამინისტრო გადავა თავდაცვის გრძელვადიან დაგეგმვაზე.** გრძელვადიანი დაგეგმვის პრინციპზე გადასვლა ემსახურება თავდაცვის ამოცანებისთვის არსებული შეზღუდული რესურსების გაცილებით ოპტიმალური გამოყენების მიზანს და დადგენილი პრიორიტეტების მიხედვით ფინანსური სახსრების ეფექტიან განაწილებას.  კერძოდ:

- საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის შესაბამისად, ჰარმონიზაციის პაკეტის ფარგლებში ცვლილებები შევიდა თავდაცვის სფეროს მარეგულირებელ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივ აქტებში. ზემოაღნიშნული ითვალისწინებს  თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისისა და თავდაცვის ძალების (შეიარაღებული ძალების) ფუნქციებისა და უფლებამოსილებების მკაფიო გამიჯვნას, ისევე, როგორც ერთობლივი ამოცანების განსაზღვრას;

- უახლოეს მომავალში შემუშავდება და დამტკიცდება „ეროვნული თავდაცვის სტრატეგია - 2020-2030“, რომლითაც განისაზღვრება  შეიარაღებული ძალების ხედვა ათწლიანი პერსპექტივით;

- თავდაცვის მიზნებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების გადანაწილება განხორციელდება „შეიარაღების სისტემების შესყიდვის სტრატეგია 2019-2025“-ისა და თავდაცვის პროგრამების სახელმძღვანელოთი დადგენილი პრიორიტეტების მიხედვით. ამასთან, თავდაცვის საჭიროებების შესაბამისად, თავდაცვის ბიუჯეტის მაჩვენებელი შენარჩუნდება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 2%-იან ნიშნულზე;

- თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების კუთხით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის და პარტნიორ ქვეყნებთან ერთობლივ საერთაშორისო სწავლებებს.

გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები სამხედრო-სამეცნიერო კვლევების, სამხედრო მრეწველობის განვითარებისა და მისი საექსპორტო პოტენციალის ზრდისთვის. აღნიშნულის ფარგლებში დაგეგმილია:

- ჯავშანჟილეტებისა და ჩაფხუტების წარმოება და თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფების ეროვნული წარმოების აღჭურვილობით სრული დაკომპლექტება;
- განხორციელდება ჯავშანმანქანა „დიდგორის“ შემდგომი დახვეწა და განვითარება ისეთი საბრძოლო და მხარდამჭერი ფუნქციების შესასრულებლად, როგორიცაა კავშირგაბმულობა, სამედიცინო, სახანძრო, სადაზვერვო და საცეცხლე მხარდაჭერა (მობილური ნაღმტყორცნი);
- დამატებით შემუშავდება ცეცხლის მართვის მოდული, შეიქმნება მიზნის იდენტიფიკაციის, ჩაჭერისა და მიყოლის სტაბილიზებული სისტემა, უპილოტო ვერტმფრენის პლატფორმა, მძიმე საბრძოლო მანქანა და სეტყვა-საწინააღმდეგო რაკეტა.

GDRP-ის მიმდინარეობის პარალელურად, ეტაპობრივად გაიზრდება მასში ჩართული ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობის ანაზღაურება.

ამასთან, გაგრძელდება როგორც სამხედრო-სამედიცინო შესაძლებლობების განვითარება, ისე შეიარაღებული ძალების, თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა, მათი ოჯახის წევრთა, ვეტერანთა, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრთა და სამოქალაქო პირთა სამედიცინო მომსახურების/რეაბილიტაციის ეფექტიანობის ამაღლება და დაჭრილ/დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა საზოგადოებაში რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის ღონისძიებები.

გაგრძელდება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარება და იმ ვალდებულებების შესრულება, რომლებიც გამომდინარეობს საქართველოს 2016-2017 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმიდან გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების - „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ - მოთხოვნათა თანახმად.

## 2. ძირეული და ინოვაციური რეფორმები

მთავრობის ხედვა ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებით ეფუძნება ახალ ინოვაციურ რეფორმებს ყველა სექტორული მიმართულებით, რომელიც ორიენტირებულია:

- ეკონომიკის სტრუქტურულ გაჯანსაღებაზე, პროდუქტიულობის ზრდაზე, ქვეყნის კონკურენტული უპირატესობების სრულად გამოყენებასა და, შესაბამისად, სიღარიბის დაძლევაზე;
- მოსახლეობის იმ ფენების მხარდაჭერაზე, რომლებიც ამას ყველაზე მეტად საჭიროებენ;
- გარემოსდაცვით ღონისძიებებზე, ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესებაზე.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხედვა ეფუძნება თავისუფალი ბაზრის პრინციპებს, სადაც კერძო სექტორი არის ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა. მთავრობისათვის მაღალ ეკონომიკურ ზრდასთან ერთად მნიშვნელოვანია მისი ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია ქვეყნის ეკონომიკაში წლების განმავლობაში დაგროვილი სტრუქტურული გამოწვევების საპასუხოდ. ასევე მიმართულია კერძო სექტორში, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესის, როგორც ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებლის, განვითარებაზე, ადამიანური რესურსების პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებასა და ეფექტიანობის ზრდაზე, ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებასა და ღია მმართველობის პრინციპების დანერგვაზე.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა არის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტი, რაც გულისხმობს მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესში. მთავრობა მიზნად ისახავს ისეთი მოდელის დანერგვას, რომლის პირობებშიც, ეკონომიკური ზრდის პარალელურად, იზრდება ეკონომიკურ შესაძლებლობებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა, მცირდება უმუშევრობა და სიღარიბე.

მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, განსაკუთრებით კი, მაღალტექნოლოგიური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე. ქვეყანაში შეიქმნება საინვესტიციო გარემო, რომელიც მიმზიდველი იქნება ასეთი ტიპის ინვესტიციებისათვის.

გრძელვადიანი და მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია ეკონომიკის ფაქტორების მაქსიმალური ჩართვა ქვეყნის განვითარებაში.

### 2.1 მაკროეკონომიკური სტაბილურობა

მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ეფუძნება მაკროეკონომიკური სტაბილურობის, როგორც ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტის, პრინციპებისადმი ერთგულებას.

ფისკალური დისციპლინა, უმუშევრობის დაბალი დონე, ვალის მდგრად დონეზე შენარჩუნება, ფასების სტაბილურობა, მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებლობა, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ეტაპობრივი შემცირება და ფინანსური სექტორის სტაბილურობის შენარჩუნება ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის საყრდენია.

ფისკალური ჩარჩო დაეყრდნობა შემდეგ პრინციპებს:

- გაგრძელდება ხარჯების ოპტიმიზაციის უწყვეტი პროცესი. გამოთავისუფლებული სახსრები გადანაწილდება პრიორიტეტულ მიმართულებებზე, მათ შორის, განათლებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე;
- შენარჩუნდება საბიუჯეტო დეფიციტის დაბალი მაჩვენებელი;
- გაგრძელდება სოციალური გასაცემლების ზრდა. მოხდება საპენსიო რეფორმის დაფინანსებისათვის საჭირო რესურსების მობილიზება;
- მთავრობის ვალი მთლიან შიდა პროდუქტთან შენარჩუნდება სტაბილურ დონეზე. ამასთან, ვალის აღება განხორციელდება გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი საინვესტიციო პროექტების დაფინანსებისათვის.

უნდა შენარჩუნდეს ქვეყნის სუვერენული რეიტინგის გაუმჯობესების ტენდენცია. საქართველოს მთავრობას აქვს ამბიციური მიზანი, მიაღწიოს საკრედიტო რეიტინგის საინვესტიციო დონეს (BBB-/Baa3), რაც შესაძლებელს ხდის ქვეყანაში საერთაშორისო მსხვილი საინვესტიციო ფონდების ინვესტირების განხორციელებას და უზრუნველყოფს იაფ ფინანსურ რესურსებზე წვდომას, მათ შორის კერძო სექტორისათვის, ასევე ზრდის ქვეყნის მიმზიდველობას მაღალხარისხიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, მთავრობა შეიმუშავებს საშუალოვადიან სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას, რომელთან შესაბამისობაშიც იქნება მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური გადაწყვეტილებები.

## 2.2 საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობა

ეფექტიანი ფისკალური პოლიტიკისათვის აუცილებელი წინაპირობაა საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანი და გამჭვირვალე სისტემის არსებობა. ბოლო წლებში გადადგმული ნაბიჯების წარმატება დასტურდება ქვეყნის მე-5 ადგილით ბოლო ღია ბიუჯეტის კვლევაში (Open Budget Index), საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების და PEFA მეთოდოლოგიის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად.

მიმდინარეობს მუშაობა შიდა ფინანსური კონტროლის და მართვის დანერგვის მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს საბიუჯეტო ორგანიზაციებში სწორი და ეფექტიანი მართვის სისტემების ჩამოყალიბებას და ბიუჯეტის გამჭვირვალობას.

მდგრადი ფისკალური პოლიტიკის გასამყარებლად განახლდება ფისკალური წესების მარეგულირებელი ნორმები და პროცედურები.

დაინერგება საინვესტიციო პროექტების მართვის ერთიანი სისტემა, რაც უზრუნველყოფს საინვესტიციო პროექტების და მათზე მიმართული სახსრების მაქსიმალურ ეფექტურობასა და ეფექტიანობას.

გაგრძელდება აქტიური მუშაობა ფისკალური რისკების შეფასების, მათი გამოვლენისა და მართვის მიმართულებით. გაძლიერდება არსებული პირობითი ვალდებულებების ანალიზი.

მთავრობა შეიმუშავებს მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიას. ვალის მართვის პროცესი მიზნად

ისახავს საჭირო ფინანსების მოძიებას და ამ კუთხით ხარჯების მინიმიზაციას. ასევე ვალის მართვის პრიორიტეტული მიზანია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საშინაო ბაზრის განვითარება. განვითარებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი ხელს შეუწყობს ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის განვითარებას.

## 2.3 დასაქმება

მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ორიენტირია მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება. უმუშევრობის მაღალი დონე ინკლუზიური განვითარების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია. შრომის ბაზარზე არსებული დისბალანსი და დასაქმების სტრუქტურა, თავის მხრივ, აერთიანებს მრავალ პრობლემას, რომელთა დაძლევაც, ეკონომიკური განვითარების მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

დასაქმების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლის გასაუმჯობესებლად გატარდება განათლების რეფორმა, რომლის საფუძველზეც მოხდება ადამიანური კაპიტალის განვითარება. ამასთან, ხელი შეეწყობა პროფესიულ განვითარებას, რათა გაიზარდოს სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობა და შრომის ბაზრისათვის მზაობის ხარისხი.

უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის მიმართულებით, ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების მიზნით, განხორციელდება შრომის ბაზრის სიღრმისეული ანალიზი როგორც მიწოდების, ისე მოთხოვნის მიმართულებით. უზრუნველყოფილი იქნება მჭიდრო კოორდინაცია სამუშაოს მაძიებელთა და დამსაქმებელთა შორის, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზრის მოქნილობის ზრდას. სახელმწიფო ინფორმაციულ დახმარებას გაუწევს სამუშაოს მაძიებლებს პროფესიის არჩევის, მომზადებისა და გადამზადების კუთხით. სახელმწიფო აქტიურად შეუწყობს ხელს პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობას პროფესიული გადამზადების პროცესში.

## 2.4 ბიზნესგარემო

ბიზნესის კეთების სიმარტივის (Doing Business) რეიტინგში აღიარებული წარმატების ფონზე, როდესაც ქვეყანას აქვს ელიტარული მე-9 ადგილი მსოფლიოში, მთავრობა განაგრძობს აქტიურ რეფორმებს ბიზნესგარემოს შემდგომი გაუმჯობესებისა და მეწარმეობის ხელშეწყობისათვის. კერძოდ:

- დაცული იქნება საკუთრების უფლების ხელშეუვალობის პრინციპი;
- მომზადდა და მოკლე ვადაში საზოგადოებას განსახილველად წარედგინება რეფორმის პროექტი საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში კომერციული პალატების შექმნის შესახებ. პალატები სპეციალიზებული იქნება კომერციული და საგადასახადო საქმეების განხილვაზე - რეფორმის შედეგად მკვეთრად გაიზრდება მართლმსაჯულების ხარისხი და სისწრაფე კომერციულ და საგადასახადო დავებზე;
- საგადასახადო სისტემა განაგრძობს ადგილობრივი წარმოების პროდუქციის წახალისებას. კერძოდ, ქართული წარმოების ნატურალური რძე და რძის ნაწარმი სრულად გათავისუფლდება

დამატებული ღირებულების გადასახადისგან ჩათვლის უფლებით. დღგ-სგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლდება ფარმაცევტული საწარმოს მიერ წარმოებული ფარმაცევტული პროდუქციის მიწოდება. ამით საგრძნობლად შემცირდება იმპორტული საქონლის უპირატესობა ადგილობრივის მიმართ;

- შეიქმნება სპეციალური საგადასახადო რეჟიმები, რომლებიც განსაკუთრებით მიმზიდველი იქნება მულტინაციონალური კომპანიებისათვის საქართველოში რეგიონალური ოფისების დაფუძნებისათვის;
- გადამხდელებს, რომელთაც აქტივობები არ უფიქსირდებათ, სრულად ჩამოეწერებათ 2013 წლის 1 იანვრამდე დარიცხული საგადასახადო დავალიანების თანხა;
- გაგრძელდება მუშაობა საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზების მიზნით;
- შემუშავდება ახალი საგადასახადო და საბაჟო კოდექსები, რომლებიც უზრუნველყოფს უფრო მარტივი და სამართლიანი წესების დამკვიდრებას;
- მოგების გადასახადის რეფორმის შედეგად, კერძო სექტორს 2020 წლამდე დარჩება დაახლოებით ორი მილიარდი ლარი, რაც წაახალისებს ინვესტიციებს, დააჩქარებს ეკონომიკურ ზრდას და შექმნის ათიათასობით სამუშაო ადგილს. მთავრობის მიერ ინიცირებულია დღგ-ის ზედმეტობების ავტომატური დაბრუნების რეფორმა. შედეგად, დაინერგება საგადასახადო ზედმეტობების ავტომატური დაბრუნების რეჟიმი ადამიანური რესურსის ჩართულობის გარეშე, რაც გააჯანსაღებს ბიზნესგარემოს. 2018-2020 წლებში ბიზნესს დაუბრუნდება 1,5 მლრდ ლარზე მეტი. 2018 წლის მიმდინარე პერიოდში ბიზნესსექტორს უკვე დაუბრუნდა 200 მლნ ლარზე მეტი თანხა, რაც, პრაქტიკულად, წინა წლის წლიურ მაჩვენებელს უთანაბრდება. საგადასახადო ზედმეტობები 2020 წლის ბოლოსთვის სრულად იქნება გარდაქმნილი ლიკვიდურ აქტივებად;
- ფართოდ დაინერგება ციფრული და თანამედროვე ტექნოლოგიები, რაც, ერთი მხრივ, საშუალებას მისცემს ბიზნესსექტორს, ისარგებლოს თანამედროვე და ეფექტიანი მომსახურებით, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფილი იყოს გადასახადებისგან თავის არიდების რისკების შემცირება და სამართლიანი საგადასახადო ადმინისტრირება;
- ახალი ინოვაციური საგადასახადო ადმინისტრირების სისტემები გულისხმობს ავტომატური საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის დანერგვას. დაგეგმილი რეფორმა მნიშვნელოვნად შეამცირებს საგადასახადო ადმინისტრირების ტვირთს როგორც ბიზნესსუბიექტებისათვის, ისე შემოსავლების სამსახურისათვის. ბლოკჩეინის ტექნოლოგიების განვითარება საშუალებას იძლევა ეფექტიანად დაინერგოს აღნიშნული სისტემა;
- დაინერგება ერთიანი საგადასახადო დოკუმენტი, რაც კიდევ უფრო მეტად გაამარტივებს საგადასახადო ორგანოებთან გადამხდელების ურთიერთობას და გადასახადების ადმინისტრირებას;
- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, გატარდება რეფორმები მშენებლობის, ენერგოეფექტიანობის, ტრანსპორტის, წიაღის, ტურიზმისა და სხვა სფეროებში;
- ამოქმედდება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი ბაზრის ზედამხედველობის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბაზარზე სამომხმარებლო და ინდუსტრიული უსაფრთხო პროდუქტის განთავსებას.

- გაგრძელდება ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური საინვესტიციო პროექტების მხარდაჭერა;
- კიდევ უფრო დაიხვეწება და გაუმჯობესდება არსებული ონლაინსერვისები, შესაძლებელი გახდება როგორც კომპანიის ელექტრონულად დარეგისტრირება, ისე არსებულ მონაცემებში ცვლილებების ელექტრონულად განხორციელება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მიუსვლელად;
- არარეზიდენტ პირებს შესაძლებლობა გაუჩნდებათ საქართველოში განახორციელონ კომპანიების ონლაინრეგისტრაცია. აღნიშნული პროცესი საშუალებას მისცემს უცხოელ პირებს გახდნენ საქართველოს ელექტრონული რეზიდენტები საქართველოში ჩამოუსვლელად, ასევე გახსნან ანგარიშები ქართულ ბანკებში და სრულად ისარგებლონ საქართველოში არსებული შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმებით;
- მთავრობა ეროვნულ ბანკთან ერთად ხელს შეუწყობს სწრაფი უნაღდო ანგარიშსწორების სისტემის დანერგვას. აღნიშნული სისტემა მნიშვნელოვანია ეკონომიკური ეფექტიანობის და ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისა და ფინანსური ინკლუზიურობის კუთხით, აგრეთვე იგი საგრძნობლად გაამარტივებს ბიზნესის კეთებას. იმავდროულად, აღნიშნული სისტემა საშუალებას მისცემს ეკონომიკური პოლიტიკის წარმმართველ ორგანოებს უფრო ეფექტიანად განახორციელონ ეკონომიკური ზრდის სტიმულირების ღონისძიებები;
- გადახდისუუნარობის საქმისწარმოებასთან დაკავშირებული პროცედურების დასახვეწად გატარდება გადახდისუუნარობის სისტემის რეფორმა. რეფორმა მოიცავს როგორც სამეწარმეო, ისე სამოქალაქო გადახდისუუნარობას. გაჩნდება მეტი სტიმული საწარმოების რეაბილიტაციისათვის, მეტი გარანტიები კრედიტორთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველსაყოფად;
- ფართოდ დაინერგება რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) ინსტრუმენტი, რაც მოგვცემს საშუალებას, თითოეული გადაწყვეტილების გავლენა ეკონომიკაზე იყოს წინასწარ გაანალიზებული შესაძლო ნეგატიური გავლენებისაგან თავის არიდების მიზნით.
- შემუშავდება **„მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის პროექტი,** რომელშიც ასახული იქნება ასოცირების შეთანხმებითა და მისი დანართებით გათვალისწინებული ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციების მოთხოვნები, რითაც საქართველოს კორპორაციული სამართალი დაუახლოვდება ევროკავშირის კანონმდებლობას;
- უზრუნველყოფილი იქნება საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის და თანმშრომლობის გაღრმავება, ინსტიტუციონალურ დონეზე პლატფორმის აქტიური ფუნქციონირება და რეგულარული და სტრუქტურირებული დიალოგის წარმოება. დიალოგის მექანიზმი ხელს შეუწყობს კერძო სექტორსა და მთავრობას შორის ნდობის გაზრდას და პროგნოზირებადი გარემოს ჩამოყალიბებას;
- კონკურენტული ბიზნესგარემოს ხელშეწყობისთვის მოხდება სახელმწიფოს ეტაპობრივად გამოსვლა ეკონომიკის იმ დარგებიდან, რომლებსაც აქვთ დამოუკიდებლად ფუნქციონირებისა და განვითარების პოტენციალი. გაძლიერდება ქვეყნის კონკურენტუნარიანი დარგების სახელმწიფო მხარდაჭერა როგორც ადგილობრივი წარმოების ზრდის, ისე საექსპორტო პოტენციალის გაფართოების მიმართულებით.
- განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების სრული პოტენციალის უტილიზაციის მიზნით დაინერგება რეფორმების მონიტორინგის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს რეფორმების განხორციელების შემდგომ შეფასებას აღსრულების ეფექტიანი მექანიზმების საშუალებით.

## 2.5 საერთაშორისო რეიტინგები

სისტემური რეფორმების წარმატებულმა და ეფექტიანად განხორციელებამ განაპირობა საქართველოს პოზიციების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ავტორიტეტულ საერთაშორისო რეიტინგებში. ქვეყანამ უკანასკნელ პერიოდში ისტორიულ გაუმჯობესებას მიაღწია ეკონომიკური თავისუფლების, ბიზნესის კეთების, კორუფციის არარსებობის, მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის, მთავრობის გამჭვირვალობისა და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებების კუთხით. ყოველივე ეს პოზიტიურად აისახება საქართველოს, როგორც რეფორმატორი ქვეყნის, იმიჯზე.

მთავრობის მიზანია საქართველო მოხვდეს ყველა ძირითადი ავტორიტეტული რეიტინგის ათეულში. მთავრობა აქტიურად გააგრძელებს რეფორმების ციკლს და საერთაშორისო რეიტინგებში ქვეყნის პოზიციების გასაუმჯობესებლად შეიმუშავებს შესაბამის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას, რომლის განხორციელებაც ხელს შეუწყობს მთავრობის პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდას არაერთი მიმართულებით და, შესაბამისად, უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობის ზრდას და მიღწეული შედეგების პოზიტიურ ასახვას საერთაშორისო რეიტინგებში.

ხელისუფლების ყველა ორგანო რეფორმების ინიცირების პროცესში შეაფასებს ცვლილებების შესაძლო ეფექტებს საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციაზე და მხოლოდ შესაბამისი ანალიზის საფუძველზეც იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებული.

## 2.6 მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა

მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკით გაძლიერდება ღონისძიებები მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებით, რათა ის იქცეს ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების რეალურ მამოძრავებელ ძალად.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ახალი ინსტრუმენტების განვითარება, რომელთა მიზანიც ეკონომიკაში არსებული საბაზრო ჩავარდნების აღმოფხვრაა. კერძოდ, ბიზნესისთვის არასაკმარისი უზრუნველყოფით გამოწვეული შეზღუდვების შემცირება, რაც ხელს უშლის სიცოცხლისუნარიან ბიზნესს კრედიტის აღებაში. აღნიშნული მიზნით, საფინანსო ინსტიტუტების აქტიური ჩართულობით და საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით, შემუშავდება და დაინერგება საკრედიტო საგარანტიო მექანიზმი და შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც მნიშვნელოვნად გაუმარტივებს ფინანსებზე წვდომას მცირე და საშუალო ბიზნესს, ხელს შეუწყობს ეკონომიკის დამატებით დაკრედიტებას, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში ლიკვიდობის გაუმჯობესებას და რაც ყველაზე მთავარია, დასაქმების ზრდას და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას..

შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიას (2016-2020 წლებისთვის)“ და შესაბამის სამოქმედო გეგმას, რომელიც მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების კუთხით ქვეყანაში არსებული გამოწვევების საპასუხო ღონისძიებებს ითვალისწინებს. აღნიშნული სტრატეგიის ეფექტიანი განხორციელება ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას, მათ ზრდასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას.

„აწარმოე საქართველოში“ სააგენტო კვლავ აქტიურად გააგრძელებს ადგილობრივი წარმოების განვითარების, ექსპორტის ხელშეწყობისა და ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებებით მუშაობას.

ასევე აქტიურად გაგრძელდება საექსპორტო პოტენციალის მქონე კომპანიების მხარდაჭერა ექსპორტის განვითარების მიმართულებით სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენების გზით.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით მნიშვნელოვნად შეეწყობა ხელი სექტორული და ღირებულებათა ჯაჭვში შემავალი კომპანიების კლასტერების განვითარებას, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ინოვაციების, ცოდნის და გამოცდილების გადადინებას, აამაღლებს მცირე და საშუალო ბიზნესის პროდუქტიულობას და კონკურენტუნარიანობას. ღირებულების კომპლექსური ჯაჭვის ფორმირება ასევე წარმოადგენს ექსპორტის დივერსიფიკაციის მნიშვნელოვან წინაპირობას.

მცირე და საშუალო მეწარმეების მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში გაგრძელდება ფინანსებთან წვდომის კომპონენტი - თანადაფინანსების გრანტების გაცემა.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ახალი ინსტრუმენტების განვითარება, რომელთა მიზანიც ეკონომიკაში არსებული საბაზრო ჩავარდნების აღმოფხვრაა, კერძოდ, ბიზნესისთვის არასაკმარისი უზრუნველყოფით გამოწვეული შეზღუდვების შემცირება, რაც ხელს უშლის სიცოცხლისუნარიან ბიზნესს კრედიტის აღებაში. აღნიშნული კუთხით, საკრედიტო საგარანტიო მექანიზმების განვითარება წარმოადგენს ეკონომიკის დამატებითი დაკრედიტების ხელშეწყობის, მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის გენერირების, დასაქმების ხელშეწყობის, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში ლიკვიდობის გაუმჯობესების და, რაც ყველაზე მთავარია, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან კომპონენტს.

საექსპორტო პოტენციალის სრულად უტილიზაციისთვის, კერძო სექტორის აქტიური ჩართულობით მოხდება ექსპორტის დაზღვევის მექანიზმების შემოღება, რომელიც საშუალებას მისცემს ექსპორტიორ კომპანიებს განავითარონ წარმოება ახალი მიმართულებებით და აითვისონ ახალი საექსპორტო ბაზრები. აღნიშნული მექანიზმების დანერგვა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეკონომიკის დივერსიფიკაციას და შესაბამისად გაზრდის ქვეყნის მდგრადობას საგარეო შოკებისადმი.

მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, 1-ელი ივლისიდან ამოქმედდება მცირე ბიზნესისათვის უპრეცედენტო მეგობრული დაბეგვრის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი, რაც გულისხმობს მინიმალური საგადასახადო განაკვეთის დაწესებას მცირე მეწარმეებისათვის. მცირე ბიზნესისთვის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შემცირდა ხუთჯერ - 5%-დან 1%-მდე. ასევე, ხუთჯერ გაიზარდა მცირე ბიზნესის ერთობლივი შემოსავლის შეზღუდვის ნორმა - 100 000 ლარიდან 500 000 ლარამდე. ცვლილება მნიშვნელოვანი სტიმული გახდება მცირე ბიზნესის განვითარებისათვის.

**ეკონომიკური რეფორმები**

### 2.6.1 კაპიტალის ბაზრის რეფორმა

ქვეყანაში განვითარებული კაპიტალის ბაზრის არსებობა გულისხმობს, საბანკო დაკრედიტების პარალელურად, კომპანიებისათვის გრძელვადიანი ფინანსური რესურსების მოზიდვის ეფექტიან

შესაძლებლობას. კაპიტალის ბაზარი ქმნის კონკურენტულ გარემოს არა მხოლოდ დაკრედიტების, არამედ დანაზოგების ეფექტიანად გადანაწილების მიმართულებითაც. შედეგად, განვითარებული და გამჭვირვალე კაპიტალის ბაზარი ხელს უწყობს სტაბილურ ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით, შემოღებულია კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტების საგადასახადო დაბეგვრის ახალი სისტემა, რომელიც გულისხმობს საგადასახადო სისტემის უფრო მეტად ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებულობას, ასევე სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტის თანაბარ პირობებში ჩაყენებას. საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ფიზიკური პირები და არარეზიდენტები სრულად გათავისუფლდნენ საშემოსავლო და მოგების გადასახადებისგან საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით და სავაჭროდ დაშვებულია სასესხო და წილობრივი ფასიანი ქაღალდის მიწოდებით და სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებულ შემოსავალზე.

ეროვნული ბანკმა და მთავრობამ, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, შეიმუშავეს კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია.

### 2.6.2 საპენსიო რეფორმა

სახელმწიფო გაატარებს საპენსიო რეფორმას, რომლის მიზანია კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა. რეფორმის ამოცანაა მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება საპენსიო ასაკში, აგრეთვე არსებული სოციალური სისტემის ფისკალური მდგრადობის შენარჩუნება.

გარდა ამისა, კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემას აქვს ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი ეფექტი, რაც ხელს შეუწყობს ადილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარებას.

### 2.6.3 საჯარო-კერძო პარტნიორობის სისტემის განვითარება და სახელმწიფო ინვესტიციების მართვა

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საჯარო-კერძო თანამშრომლობა. აღნიშნული სისტემის ეფექტიანად გამოყენების მიზნით, მთავრობამ შეიმუშავა და საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საჯარო და კერძო თანამშრომლობის კანონი, რომელიც 2018 წლის 1-ელი ივლისიდან შევიდა ძალაში.

იმ პირობებში, როდესაც მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს მოითხოვს, თანამშრომლობის ეს ფორმა ხელს უწყობს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას, ეფექტიანად მართული ფისკალური რისკების პირობებში.

### 2.6.4 პასუხისმგებლიანი დაკრედიტების რეფორმა

პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სისტემა მნიშვნელოვანია ქვეყანაში სოციალურად მდგრადი და ეფექტიანი ეკონომიკური გარემოს შესაქმნელად. ჭარბვალიანობა სიღარიბის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული წყაროა; იგი, ერთი მხრივ, ამცირებს მოსახლეობის განკარგვად შემოსავალს ხოლო მეორე მხრივ, პირები, რომლებსაც შეექმნათ პრობლემები, ამოვარდნილი არიან აქტიური ეკონომიკური ცხოვრებიდან. ხშირ შემთხვევაში, ეს არის მომხმარებლების დარღვეული უფლებების შედეგი. პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დაბალი სტანდარტი ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი

შემაფერხებელი ფაქტორია. ჭარბვალიანობა მნიშვნელოვანი პრობლემაა მაკროეკონომიკური სტაბილურობისათვის.

მთავრობის მიერ ინიცირებულმა რეფორმამ უნდა დაადგინოს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების მაღალი სტანდარტი ქვეყანაში. შედეგად, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების მექანიზმების სრულყოფილი ფუნქციონირება მნიშვნელოვან პოზიტიურ გავლენას მოახდენს მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე, საკრედიტო რეიტინგებზე და ეკონომიკის სტრუქტურულ გაჯანსაღებაზე.

### 2.6.5 ლარიზაცია

ლარიზაციის პროცესის შემდგომი ხელშეწყობა და ეროვნული ვალუტისადმი ნდობის ამაღლება ეკონომიკის სტრუქტურული გაჯანსაღებისა და საგარეო მოწყვლადობის შემცირების მნიშვნელოვანი კომპონენტია და, შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკის ფუნდამენტური მიმართულებაა. მაღალი დოლარიზაციის პირობებში იზღუდება მასტიმულირებელი მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობები, მცირდება მისი მოქნილობა და ეფექტიანობა. გარდა ამისა, დოლარიზაცია წარმოშობს სავალუტო რისკს საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც დაუცველია გაცვლითი კურსის მერყეობისაგან.

მთავრობის მიერ ინიცირებული ლარიზაციის კომპლექსური პროგრამა ეყრდნობა ბუნებრივი ინსტრუმენტების განვითარებას, ეროვნული ვალუტისადმი ნდობის ამაღლების, რისკების ადეკვატური განაწილებისა და ეროვნული ვალუტის მიმზიდველობის ზრდისკენ მიმართულ მასტიმულირებელ ღონისძიებებს. ლარიზაციის გეგმის ფარგლებში წარმატებით განხორციელებული ღონისძიებების შემდეგ მნიშვნელოვანია მათი გაგრძელება, დოლარიზაციისგან გამოწვეული რისკების მინიმიზაცია და ეროვნული ვალუტის მიმზიდველობის გზით ლარიზაციის შეუქცევადი პროცესის უზრუნველყოფა.

### 2.6.6 ხარისხობრივი და ტექნოლოგიების ტრანსფერზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა

მიმზიდველი საინვესტიციო და ბიზნესგარემო ხელსაყრელ პირობებს ქმნის საქართველოში უცხოელი ინვესტორების ოპერირებისათვის. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მზარდი ტენდენცია ამის დასტურია. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ ხელი შეუწყოს რეალურ სექტორში ხარისხობრივი ინვესტიციების მოზიდვას, ინვესტიციების მაღალტექნოლოგიურ დარგებში განხორციელებას, ცოდნისა და ტექნოლოგიების ტრანსფერს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის პროდუქტიულობის დონეს და ხელს შეუწყობს წმინდა ექსპორტით განპირობებული ეკონომიკური ზრდის აქსელერაციას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა კაპიტალტევად დარგებში და საქართველოში მსხვილი სამეწარმეო ერთეულების გადმოტანის ხელშეწყობა. მაღალტექნოლოგიური და ცოდნაზე დაფუძნებული სამეწარმეო სფეროს განვითარება კი, თავის მხრივ, წარმოქმნის მოთხოვნას ცოდნაზე დაფუძნებულ მომსახურებებზე.

### 2.6.7 ინდუსტრიალიზაცია

ხარისხობრივი და ტექნოლოგიების ტრანსფერზე ორიენტირებული ინვესტიციების მოზიდვა ასევე წარმოადგენს ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს. ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების მიზნით საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს შესაბამისი

სისტემური ანალიზის განხორციელებას ქვეყნის ფარდობითი უპირატესობების გამოსავლენად, რაც საშუალებას მოგვცემს ინდუსტრიულ დარგებს შორის გამოვლენილი უპირატესობების შესაბამისად, ხელი შევუწყოთ კონკურენტული უპირატესობის მქონე დარგების განვითარებას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ეკონომიკის სტრუქტურის გაუმჯობესებას, დივერსიფიკაციის ზრდას და ექსპორტზე ორიენტირებულობას. ქვეყანაში ინდუსტრიული დარგების განვითარება ქმნის დასაქმების ახალ შესაძლებლობებს, ხელს უწყობს ინკლუზიურობის ზრდას და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების გზით წარმოადგენს სიღარიბის შემცირების ფუნდამენტურ ფაქტორს.

## 2.7 საქართველო - რეგიონალური ჰაბი

ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს, როგორც საერთაშორისო საინვესტიციო, საკომუნიკაციო, სატრანსპორტო, ლოგისტიკური, ენერგეტიკული, ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო, ტურისტული და საფინანსო კვანძის (ჰაბის) ჩამოყალიბება, რაც მოგვცემს როგორც ქვეყნის შიდა, ისე რეგიონალური პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების საშუალებას. ამით ხელი შეეწყობა ქვეყნის სატრანსპორტო-ლოგისტიკური სექტორის ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობისა და წარმადობის განვითარებას და ასევე ექსპორტის ზრდას, მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვასა და საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში ქვეყნის სრულფასოვან მონაწილეობას.

საქართველოს საერთო სასამართლოებში ჩამოყალიბებულმა ე.წ არბიტრაჟის მხარდამჭერმა სასამართლო სისტემამ 2017 წელს გზა გაუხსნა მოლაპარაკებებს საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოსთან (ICC). 2019 წლის დასაწყისში მოლაპარაკებები დასრულდება თანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერით, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს საარბიტრაჟო წესით დავების გადაწყვეტის რეგიონალურ ცენტრად ქცევას. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საქართველოს სავაჭრო პალატასთან არსებული საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის განვითარებას.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია გაგრძელდეს ძალისხმევა და უფრო მეტად შეეწყოს ხელი საქართველოს გავლით ენერგოდერეფნების განვითარებას, მათ შორის, ევროპულ ენერგობაზრებზე პირდაპირი წვდომის მიმართულებით. აუცილებელია აქტიური მუშაობა საქართველოში გამავალ სატრანსპორტო დერეფანში მეტი საერთაშორისო ტვირთების მოზიდვისთვის, ასევე ახალი სატრანსპორტო დერეფნების შექმნისა და გაფართოებისთვის.

საფუძველი ჩაეყარა **ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის მშენებლობას,** რომელიც არა მხოლოდ მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის ამაღლებაზე, არამედ გაზრდის საქართველოს როლს რეგიონში და აქცევს მას ლოგისტიკურ ჰაბად.

მოხდება **სატრანსპორტო სისტემების სრულყოფა** საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, მულტიმოდალური და ინტერმოდალური გადაზიდვებისა და ლოგისტიკური ცენტრების განვითარების ხელშეწყობის გზით; მიმდინარეობს მუშაობა თბილისსა და

ქუთაისში თანამედროვე ლოგისტიკური ცენტრების განვითარების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს ლოგისტიკური სერვისების ერთ კლასტერში თავმოყრას და ქვეყნის სატრანზიტო და ლოგისტიკური პოტენციალის სრულად რეალიზებას. ასევე, ქუთაისის ლოგისტიკური ცენტრის მშენებლობა ბიძგს მისცემს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში სატვირთო ტერმინალის განვითარებას.
საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ერთიანი სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბება და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება. ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობამ უკვე გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები.

**ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტის დასრულება** მნიშვნელოვნად შეამცირებს აზიასა და ევროპას შორის ტვირთების გადაზიდვისთვის საჭირო დროს, რაც ჩვენი ქვეყნის გავლით დამატებითი ტვირთნაკადების მოზიდვის საწინდარია.

ტრანსპორტის სფეროს შემდგომი განვითარებისა და საქართველოს, როგორც რეგიონალური ჰაბის, პოტენციალის სრულად ათვისებისთვის საქართველოს მთავრობა გაატარებს აქტიურ პოლიტიკას, კერძოდ:

სატრანზიტო დერეფნის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად გაგრძელდება **საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაცია** და რეგიონალური თანამშრომლობის გაღრმავება. სხვადასხვა ქვეყანასთან გრძელდება მოლაპარაკებები საქართველოს გავლით ახალი სატრანსპორტო დერეფნებისა და მარშრუტების შექმნასა და მათ განვითარებასთან დაკავშირებით (მაგ., ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი, იგივე „შუა დერეფანი“, სპარსეთის ყურე-შავი ზღვის სატრანსპორტო დერეფანი და სხვ.); ამასთან, 2017 წლის 15 ნოემბერს ხელმოწერილი „სატრანზიტო და სატრანსპორტო თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმება (ლაპის ლაზულის მარშრუტის შეთანხმება) ხელს შეუწყობს მხარეების ტერიტორიებზე ტვირთისა და მგზავრების დაუბრკოლებელ გადაადგილებას, სატრანზიტო გადაზიდვებთან დაკავშირებული აუცილებელი ადმინისტრაციული საკითხებისა და პროცედურების ჰარმონიზაციას და გამარტივებას;
სამოქალაქო ავიაციის სფეროში ხელი შეეწყობა „ღია ცის“ პოლიტიკის გატარებას, რაც უზრუნველყოფს ახალი ავიაკომპანიების შემოსვლას ქართულ ბაზარზე, ახალი პირდაპირი ავიამიმართულებების განვითარებას და ფრენების დამატებას, ასევე ყოველწლიურად მგზავრთნაკადის მზარდი დინამიკის შენარჩუნებას;
საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის განსავითარებლად ყველა საზღვაო ნავსადგურში განხორციელდება სამთავრობო სერვისების გაციფროვნება და ერთი ონლაინპლატფორმის ქვეშ გაერთიანება. ეს ხელს შეუწყობს ტვირთების გამტარუნარიანობის გაზრდას ნავსადგურებში;
მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ახალი აბრეშუმის გზის ფარგლებში ინკლუზიური, კონკურენტული და ეფექტიანი რეგიონალური პროექტების განხორციელებას ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და ენერგეტიკის მიმართულებით.

## 2.8 საგარეო სავაჭრო ურთიერთობები

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია საერთაშორისო ვაჭრობისადმი გახსნილობა. ამ მიმართულებით გვაქვს მნიშვნელოვანი წარმატებები. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განუყოფელი ნაწილის, ღრმა და ყოვლისმომცველი

თავისუფალი სავაჭრო სივრცის ამოქმედებით, ქართულ ეკონომიკაში შეიქმნა მნიშვნელოვანი შესაძლებლობები ექსპორტის ზრდის, ინვესტიციების მოზიდვისა და ქვეყანაში პროდუქტიულობის ზრდის კუთხით.

2018 წლის პირველი მაისიდან ამოქმედდა საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას (EFTA) შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება. საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ძალაში შევიდა 2018 წლის პირველ იანვარიდან. 2018 წლის 28 ივნისს ხელი მოეწერა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონთან, ჰონკონგთან.

მიმდინარეობს მოლაპარაკებები საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ტარიფების შემდგომ ლიბერალიზაციასა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაში მომსახურებით ვაჭრობის ასახვის შესახებ. მომზადდა ინდოეთთან თავისუფალი ვაჭრობის გაფორმების მიზანშეწონილობის ერთობლივი კვლევა. ამჟამად მიმდინარეობს მხარეთა შორის დიალოგი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებით. ისრაელთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების მიზანშეწონილობის კვლევის შესახებ მემორანდუმს ხელი მოეწერა 2018 წლის 10 მაისს.

2018 წლის მაისში განხორციელდა ამერიკასთან თავისუფალი ვაჭრობის გაფორმების მიზანშეწონილობის კვლევა. 2018 წლის ივლისის თვეში დაგეგმილია დიდი ბრიტანეთის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში, ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმებაზე კონკრეტული წინადადებების განხილვასთან დაკავშირებით.

მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ყურის არაბულ ქვეყნებთან (GCC) თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყების მიმართულებით. ამასთან, ექსპორტის განსავითარებლად საქართველო კვლავაც განახორციელებს რეგიონში ვაჭრობის განვითარების პოლიტიკას და ხელს შეუწყობს საქართველოს მეწარმეებს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ვაჭრობისას ხელოვნური ბარიერების აღმოფხვრაში. დაინერგება კომერციული ატაშეების ინსტიტუტი, რომლის მთავარი ფუნქცია იქნება საქართველოში არსებულ შესაბამის უწყებებთან სისტემური თანამშრომლობის გზით სამიზნე ბაზრებზე ქართული პროდუქციის სავაჭრო პოტენციალის განვითარება და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა. ასევე ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით გაგრძელდება ინვესტიციების დაცვისა და წახალისების შესახებ შეთანხმებების გაფორმება.

## 2.9 სივრცითი მოწყობა

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. სივრცითი მოწყობის რეფორმის ფარგლებში მომზადდება ქვეყნის, ავტონომიების და მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობის კონცეფციები, სქემები და გეგმები, ქალაქების, დაბებისა და სოფლების მიწათსარგებლობისა და განაშენიანების რეგულირების გეგმები. სივრცითი მოწყობის რეფორმა ხელს შეუწყობს ადამიანის საარსებო გარემოს სწორად დაგეგმვას, ადამიანების, ეკონომიკის დარგების და ბიზნესის ინტერესების ჰარმონიულ ურთიერთშეჯერებას, ქვეყნის ტურისტული პოტენციალის სწორად ათვისებას; საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს, აგრეთვე

ქვეყნის რეგიონებს, შორის სატრანსპორტო ქსელის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად დაგეგმვას; უზრუნველყოფს ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაძლიერებას და ახალი ბიზნეს ურთიერთობების ჩამოყალიბებას, განაპირა და მაღალმთიანი რეგიონების უკეთესად ინტეგრაციას ქვეყნის ეკონომიკაში და ამ გზით მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. საქართველო ეფექტიანად აითვისებს ქვეყნის განვითარების პოტენციალს და მსოფლიო რუკაზე გაძლიერდება საქართველოს, როგორც საინვესტიციოდ მიმზიდველი, დაცული გარემოს და ტრანზიტული ჰაბის მნიშვნელობა.

## 2.10 ინფრასტრუქტურული განვითარება

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საქართველოს რეგიონების განვითარების, საერთაშორისო სატრანზიტო პროექტებში საქართველოს მაქსიმალური ინტეგრირებისა და ეკონომიკური განვითარების სტიმულირების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობისა და სატვირთო გადაზიდვების მზარდი დინამიკის გათვალისწინებით, გაგრძელდება და სწრაფი ტემპით წარიმართება ახალი მაგისტრალური გზების მშენებლობა. ქვეყნის მასშტაბით აშენდება საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანზიტო და რეგიონების დამაკავშირებელი საავტომობილო გზები.

ეს პროექტი გააძლიერებს საქართველოს მნიშვნელობას რეგიონში და გაზრდის მისი, როგორც ტრანზიტული ჰაბის, დატვირთვას. დასრულდება აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტობანის ძირითადი ნაწილის მშენებლობა. შედეგად, საქართველოს საავტომობილო გზების ქსელი გახდება მიმზიდველი სატრანზიტო გადაზიდვებისათვის, ხელი შეეწყობა ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას, განაპირა და მაღალმთიან რეგიონებში სოფლის მეურნეობის აღორძინებასა და რეგიონების ერთმანეთთან დაკავშირებას.

ხარისხიანი **სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდების** რეჟიმით მოსახლეობის უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ მიზნის მიღწევა ეტაპობრივად განხორციელდება მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში. 2020 წლისთვის 24-საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი იქნება დამატებით 400 ათასი ადამიანი.

აქტიურად გაგრძელდება **წყალმომარაგება–კანალიზაციისა და გამწმენდი ნაგებობების** მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში, მათ შორის საზღვრისპირა სოფლებში.

**ნარჩენების მართვა** განხორციელდება ევროპული სტანდარტების შესაბამისად, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გაუმჯობესდება მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სერვისები.

ქვეყნის **ინტერნეტიზაციის პროექტის** ფარგლებში რეგიონებში დამატებით აშენდება მაღალსიჩქარიანი ოპტიკური ინფრასტრუქტურა, რის შედეგადაც ქვეყნის მოსახლეობის 85%-ზე მეტს ექნება მაგისტრალურ ოპტიკურ-ბოჭკოვან ინტერნეტინფრასტრუქტურასთან წვდომა.

## 2.11 დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკა

### 2.11.1 ენერგეტიკა

საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიმართულებაა ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება, იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივი შემცირება ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების ათვისების, მიწოდების წყაროებისა და მარშრუტების დივერსიფიკაციის გზით.

ენერგეტიკული პოლიტიკის ეფექტიანად წარმართვის მიზნით:

- ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნება კიდევ უფრო გამჭვირვალე და მიმზიდველი საინვესტიციო გარემო;
- გაგრძელდება მუშაობა ადგილობრივი ენერგორესურსების რაციონალური ათვისების გზით იმპორტზე დამოკიდებულების შემცირების მიმართულებით;
- განვითარდება ინფრასტრუქტურა გაზისა და ელექტროენერგიის უსაფრთხო და სტაბილური გადამცემი და გამანაწილებელი სისტემის შესაქმნელად. გაზმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, უკვე დაწყებულია 210-280 მლნ კუბური მეტრის მოცულობის გაზსაცავის პროექტის განხორციელება;
- დამატებითი რესურსები გამოიყოფა რეგიონებში მოსახლეობის გაზიფიცირების უზრუნველსაყოფად, რის შედეგადაც 2020 წლის ბოლოსთვის გაზმომარაგებაზე წვდომა ექნება 1,3 მლნ აბონენტს;
- გააქტიურდება მუშაობა საქართველოს სატრანზიტო როლის გასაძლიერებლად, რათა ქვეყანა უმოკლეს ვადებში გახდეს ენერგეტიკული სატრანზიტო და სავაჭრო ჰაბი. გაგრძელდება მუშაობა საქართველოდან ელექტროენერგიის ექსპორტის შესაძლებლობების გაზრდის მიმართულებით;
- დაიხვეწება და ევროპულ სტანდარტებს დაუახლოვდება ენერგეტიკის სფეროს კანონმდებლობა; „ასოცირების ხელშეკრულების" ხელმოწერით და ამავე დროს „ენერგეტიკული გაერთიანების" წევრობით საქართველო კავკასიის რეგიონში ქმნის „ენერგეტიკული გაერთიანების"/ევროკავშირის ენერგეტიკული კანონმდებლობის გადმოტანის პრეცედენტს;
- ენერგეტიკის სექტორში განხორციელებული რეფორმების შედეგად მოხდება ენერგეტიკის შესახებ ახალი კანონის დამტკიცება, შეიქმნება ელექტროენერგეტიკული და ბუნებრივი გაზის კონკურენტული ბაზარი, რეფორმების განხორციელების შედეგად კონკურენციის ხელშეწყობით მოხდება მომხმარებლისათვის უწყვეტი, მაღალი ხარისხის და სამართლიანი ფასის ენერგიის მიწოდება. ასევე მოხდება რეგულირებული და დერეგულირებული საქმიანობის გამიჯვნა.

- სახელმწიფო ხელს შეუწყობს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს და ინოვაციების დანერგვას;
- გაგრძელდება მუშაობა განახლებადი ენერგიის ათვისების კუთხით, ასევე, განხორციელდება ენერგოეფექტიანი ღონისძიებები სხვადასხვა მიმართულებით. ამ დროისთვის შემუშავებულია ენერგოეფექტურობის პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა, მიმდინარეობს მუშაობა განახლებადი ენერგიის ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე და მზადდება პირველადი საკანონმდებლო დოკუმენტაცია როგორც განახლებადი ენერგიის, ასევე, ენერგოეფექტურობის მიმართულებით.

### 2.11.2 მშენებლობა

აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა მშენებლობის სფეროს მომწესრიგებელი მარეგულირებელი გარემოს სრულყოფაზე. საქართველოს პარლამენტმა 2 მოსმენით მიიღო საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი; „შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ“ კანონპროექტი უახლოეს მომავალში წარედგინება საქართველოს პარლამენტს. ამ კანონპროექტის მიღება წაახალისებს ენერგორესურსების რაციონალურ გამოყენებას და შენობების ენერგოეფექტიანობის გაზრდას.

მიმდინარეობს მუშაობა კანონქვემდებარე რეგულაციებზეც, რომლებიც მოაწესრიგებს მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების, მშენებლობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, არქიტექტორთა და ინჟინერ-მშენებელთა სერტიფიცირებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ასევე მუშავდება ტექნიკური რეგლამენტები სამშენებლო მასალის ხარისხის მიმართ ძირითადი მოთხოვნების დადგენისა და ბაზარზე განთავსების კუთხით. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ქვეყანაში სამშენებლო კუთხით სტაბილური საინვესტიციო გარემოს შექმნას და საშუალებას მისცემს სამშენებლო სექტორში დასაქმებულ პირებს, იმოქმედონ წინასწარ პროგნოზირებადი მკაფიო წესებით.

### 2.11.3 მწვანე ეკონომიკა

თანამედროვე პირობებში ეკონომიკური ზრდის მისაღწევად საჭიროა ახალი ტიპის - მწვანე ზრდაზე ორიენტირებული ეკონომიკური მოდელის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაციას ახალი, მწვანე ტექნოლოგიების დანერგვის გზით. ქვეყნის მდგრადი განვითარება მხოლოდ კომპლექსური მიდგომით არის შესაძლებელი. ჩვენი მიზანია ყველა გადაწყვეტილების, მათ შორის, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს ეკონომიკური მიზანშეწონილობასთან ერთად, ეკოლოგიური ეფექტიანობის გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს მთავრობა აქტიურად გააგრძელებს მუშაობას **მწვანე ეკონომიკის** განვითარების მიმართულებით, ვინაიდან მწვანე ზრდის წახალისება გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს უწყობს ბიზნესის მხრიდან დანახარჯების შემცირებას, ასევე ბიზნესის ახალი მიმართულებების განვითარებას. მწვანე ეკონომიკის დანერგვის პროცესში საქართველოს მთავრობა კონკრეტული ინიციატივებით წაახალისებს მწვანე ინვესტიციებს, ეკოლოგიურად სუფთა საკვების წარმოებას, მწვანე პროდუქციის წარმოებას, სუფთა ტრანსპორტს, მდგრადი ეკოტურიზმისა და ეკოსისტემების სერვისების განვითარებას, განახლებადი ენერგიის მოცულობის ზრდას, ენერგოეფექტიანი ღონისძიებების გატარებას მათ შორის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, კლიმატგონივრული და რესურსეფექტური ტექნოლოგიების დანერგვას, ნარჩენების სეპარირებულად შეგროვებას, უნარჩენო წარმოების ხელშეწყობას, მწვანე ინოვაციური “start up”-ების დაარსების პოპულარიზაციას. საქართველოს მთავრობა მუშაობს მწვანე ზრდის ეროვნული სტრატეგიის შემუშავებაზე, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით მომზადებულ მწვანე ეკონომიკის პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტსა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მწვანე ზრდის დეკლარაციის პრინციპებს. ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა კერძო სექტორთან რესურეფექტური ტექნოლოგიებისა და სუფთა წარმოების პოპულარიზაციისათვის ტექნიკური ტრენინგებითა და ექსპერტული დახმარებით. ენერგოეფექტიანობის კუთხით დამუშავების პროცესშია ენერგოეფექტიანობისა და საყოფაცხოვრებო

მოწყობილობების მარკირების მარეგულირებელი სისტემა. აღნიშნული მიზნების განხორციელების პროცესში საქართველოს ექნება საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა.

### 2.11.4 გარემოს დაცვა და სოფლის მეურნეობა

გარემოს დაცვა, მისი მდგრადობის შენარჩუნება და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პარალელურად, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს და საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია კლიმატის ცვლილების მიმდინარე პროცესში. კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა ერთდროულად პასუხობს სამ ურთიერთგადამკვეთ გამოწვევას, კერძოდ ესენია: სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და კლიმატის ცვლილების შერბილების ხელშეწყობა. მთავრობა გააგრძელებს აქტიურ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკას, რომლის მიზანიც იქნება მდგრადი და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა, **ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება,** მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილური ზრდა, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სურსათის უვნებლობა და სოფლის განვითარება.

ვინაიდან გარემოს დაცვის სფეროს მართვა თითქმის ყველა სამთავრობო უწყების, არასამთავრობო და ბიზნესსექტორის, სამეცნიერო წრეებისა და ზოგადად მთელი საზოგადოების აქტიური ჩართულობით უნდა ხორციელდებოდეს, გარემოს დაცვის სფეროს კომპლექსური და მრავალსექტორული ხასიათის გამო, ჩვენ ვგეგმავთ ქვეყანაში **ეკოომბუდსმენის** ინსტიტუტის შემოღებას. **ეკოომბუდსმენის** ინსტიტუტი გახდება სექტორებს შორის მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი საკითხების განხილვის პლატფორმა, ისარგებლებს მაღალი ნდობით როგორც სამთავრობო უწყებების, ისე ბიზნესსექტორისა და საზოგადოების მხრიდან და ის იქნება ერთგვარი გარანტ გარემოს დაცვის საკითხებზე მთავრობის, საზოგადოებისა და ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური თანამშრომლობისთვის.

2017 წლიდან ძალაში შევიდა ავტომობილების იმპორტის აქციზის გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა. განაკვეთები შემოღებულ იქნა არსებული ავტოპარკის განახლების მიზნით და გარემოსდაცვითი პოლიტიკის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს გარემოსთვის მავნე ავტომობილებისათვის უფრო მძიმე საგადასახადო ტვირთის დაწესებას. ცვლილების შედეგად, წინა წლებთან შედარებით გაახალგაზრდავდა ავტოპარკი და მნიშვნელოვნად გაიზარდა ჰიბრიდული და ელექტროძრავიანი ავტომობილების იმპორტი. მთავრობა მომავალშიც სხვადასხვა საგადასახადო ინსტრუმენტებით განაგრძობს ჰიბრიდული და ელექტროძრავიანი ავტომობილების სტიმულირებას ქვეყანაში.

**სოფლის განვითარების ერთიანი პოლიტიკის ფარგლებში** სოფლად ცხოვრების დონის ამაღლებისა და ეკონომიკური აქტიურობის ზრდის მიზნით განხორციელდება:

- სასოფლო-სამეურნეო დარგში **კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერა;**
- **დამატებული ღირებულების** შემქმნელი სრული ციკლის შემადგენელი კომპონენტების

ინტეგრაციის მიზნით, სახელმწიფო ხელს შეუწყობს **მოსავლის** შემნახველი, დამახარისხებელი, შემფუთავი, გადამამუშავებელი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარებას, გაგრძელდება **აგროდაზღვევის** პროექტი, ხელი შეეწყობა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის ამაღლებას;

- გაიზრდება მელიორირებული (წყალუზრუნველყოფილი და დრენირებული) მიწების ფართობები. განვითარდება და გაუმჯობესდება **სარწყავი (საირიგაციო) და დამშრობი (სადრენაჟე) სისტემები.** ხელი შეეწყობა მორწყვის თანამედროვე სისტემების დანერგვას და წყალმომხმარებელთა გაერთიანებების ჩამოყალიბებას;
- სასოფლო-სამეურნეო **მიწის ფონდის** რაციონალური მართვის მიზნით, შეიქმნება ფერმერთა რეესტრისა და მიწათსარგებლობის გეოინფორმაციული სისტემა;
- განხორციელდება **დეგრადირებული ნიადაგების** კვლევა და მათი ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების ღონისძიებები;
- შეიქმნება **ქარსაფარი ზოლების მართვისა** და გაშენების საკანონმდებლო ბაზა და დაიწყება ქარსაფარი ზოლების გაშენება;
- ჩამოყალიბდება თანამედროვე **ექსტენციის მოქნილი სისტემა,** გაგრძელდება და გაფართოვდება **გარემოსდაცვითი განათლების** ხელშეწყობისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები.

გაგრძელდება **სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის** სფეროებში სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი, მოქნილი სისტემის ჩამოყალიბება და მისი შემდგომი სრულყოფა. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის სფეროები დაუახლოვდება DCFTA-ის გეგმით გათვალისწინებულ **ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას. ეს** მათ შორის უზრუნველყოფს შიდა ბაზარზე ევროპული სტანდარტების დამკვიდრებასა და აგროსასურსათო პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის ზრდას, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ეკონომიკის განვითარებაში და ქვეყნის, როგორც საიმედო სავაჭრო პარტნიორის, იმიჯის დამკვიდრებაში.

დაინერგება გამჭვირვალე პროცედურებზე დაფუძნებული **გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა.** საპროექტო იდეის შემუშავების საწყის ეტაპზევე შეფასდება დაგეგმილი საქმიანობის მიზანშეწონილობა, რაც ინვესტორს დაიცავს ფუჭი ფინანსური დანახარჯებისგან. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობა უფრო ეფექტიანი გახდება.

გარემოს დაზიანების პრევენციისა და აღმოფხვრის (კომპენსაციის) მიზნით ჩამოყალიბდება **გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ეფექტიანი სისტემა.**

დაინერგება ახალი მარეგულირებელი ნორმები **ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნებისა** და ბიოლოგიური რესურსებით მდგრადი სარგებლობის მიზნით. სახელმწიფო უზრუნველყოფს **დაცული ტერიტორიების** გაფართოებასა და ეკოტურიზმის ხელშეწყობას. **ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის** დანერგვისა და ხელშეწყობის მიზნით, დამკვიდრდება ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის ეფექტიანი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნება-გაუმჯობესებას. დაიხვეწება ტყეზე კონტროლის მექანიზმები. გარემოს დაცვითი პოლიტიკის გათვალისწინებით საგადასახდო შეღავათები დაწესდება ხეტყის იმპორტზე. კერძოდ, ხეტყის იმპორტი გათავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისაგან.

კლიმატის ცვლილებით განპირობებული ბუნებრივი კატასტროფების საფრთხეების რისკების შემცირების მიზნით გაფართოვდება **ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელი,** გაძლიერდება მოდელირების შესაძლებლობები და დაინერგება ადრეული შეტყობინების ეროვნული სისტემა.

გაუმჯობესდება **ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა,** ასევე, ატმოსფერულ ჰაერში **მავნე ნივთიერებათა გაფრქვევისა და წყლის გამოყენების აღრიცხვის სისტემები.** ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის დადგინდება გაფრქვევის ევროპული ნორმები, გაუმჯობესდება თხევადი საწვავის ხარისხობრივი ნორმები, მსხვილ სამრეწველო ობიექტებს დაუდგინდებათ გაფრქვევის თანამედროვე ევროპული ნორმები.

გაგრძელდება **წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სისტემაზე** გადასვლა, რომელიც ეფუძნება წყლის რესურსების მდგრადი მართვისა და სააუზო მართვის ევროპულ პრინციპებს.

გაუმჯობესდება **ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების** ხარისხი, შეიქმნება რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ახალი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობისა და გარემოს დაცვას რადიაციის შესაძლო მავნე ზეგავლენისგან.

### 2.11.5 ტურიზმი

ტურიზმის განვითარება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ყოველწლიურად მზარდია ვიზიტორების ნაკადი და ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავლები. ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა და მისი, როგორც პრიორიტეტული დარგის, შემდგომი განვითარებისათვის საქართველოს მთავრობა განახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- მოწესრიგდება და განვითარდება მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურა და საგზაო ინფრასტრუქტურა , რაც ხელს შეუწყობს ტურისტულად მიმზიდველი ადგილის მისაწვდომობის გაუმჯობესებას;
- გააქტიურდება მარკეტინგული აქტივობები მიზნობრივ და პოტენციურ (მათ შორის მაღალმხარჯველ ევროპულ) ბაზრებზე, რაც ხელს შეუწყობს მეტი უცხოელი ტურისტისა და, შესაბამისად, მეტი შემოსავლის მოზიდვას ქვეყანაში;
- გააქტიურდება მარკეტინგული აქტივობები შიდა ბაზარზე, რაც ხელს შეუწყობს შიდა ტურიზმის განვითარებას;
- გაფართოვდება დაცული ტერიტორიები და ხელი შეეწყობა ეკოტურიზმს;
- საქმიანი ტურიზმის განვითარების მიზნით, საკონვენციო ბიუროს საშუალებით მოხდება მეტი მაღალმხარჯველი ტურისტის მოზიდვა საქართველოში, ასევე ამ მიმართულებით ინვესტიციების წახალისება და ხელშეწყობა. ხელი შეეწყობა მულტიფუნქციური, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების საკონგრესო და საგამოფენო ცენტრის შექმნას;
- განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე: მოხდება

სფეროში მომუშავე პერსონალის გადამზადება მომსახურების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებამდე გაზრდის მიზნით; ხელი შეეწყობა ტურიზმის დარგში უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და დაწესებულებების განვითარებას; მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება სხვადასხვა აქტივობები (სახანძრო უსაფრთხოების გამკაცრება, საავტომობილო სამგზავრო გადაყვანის მოწესრიგება და სხვ.);

- ტურიზმის პოლიტიკაში ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება იქნება საქართველოს გადაქცევა ოთხი სეზონის ტურისტულ ქვეყნად, რაც უზრუნველყოფს ტურიზმიდან ახალი შემოსავლების მიღებას და წლის განმავლობაში მათ სტაბილურ განაწილებას;
- ზამთრის კურორტების შემდგომი განვითარება მოხდება გააზრებული განვითარებისა და განაშენიანების გეგმების მიხედვით, მათ შორის, გათვალისწინებული იქნება კურორტების ზაფხულის განმავლობაში დატვირთვის შესაძლებლობები;
- ხელი შეეწყობა სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას ტურისტული პროდუქტის შექმნისა და პოპულარიზაციის მიზნით.

## 2.12 რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია ქვეყნის **რეგიონების განვითარება,** მათ შორის უთანასწორობის აღმოფხვრა, ადგილობრივ დონეზე ხარისხიანი მომსახურების მიწოდების ეფექტიანი და ინოვაციური სისტემების დანერგვა, რეგიონების როლის ზრდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

საქართველოს მთავრობას აქვს რეგიონული განვითარების სტრატეგიული ხედვა, რომელიც ეფუძნება ევროკავშირის რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გათანაბრების პოლიტიკის მიდგომებს. ეს გულისხმობს ინტეგრირებულ, დარგთაშორის და ტერიტორიაზე მორგებულ დაგეგმვას და შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებას.

თვითმმართველობის სისტემის კიდევ უფრო გაძლიერებისა და დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდის მიზნით შემუშავდება დეცენტრალიზაციის ახალი, 2018-2025 წლების სტრატეგიის დოკუმენტი. რეფორმის მთავარი მიზანია სუბსიდიარობის პრინციპებზე დაყრდნობით თვითმმართველობის უფლებამოსილებათა გაზრდა, ადგილობრივ დონეზე ხარისხიანი მომსახურების მიწოდების ეფექტიანი და ინოვაციური სისტემების დანერგვა, თვითმმართველობის როლის გაზრდა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში და თვითმმართველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსებით.

უზრუნველყოფილი იქნება რეგიონული განვითარების დაგეგმვის პროცესში ახალი მიდგომების გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონში **დარგთაშორისი კომპლექსური კავშირების**

განვითარებასა და ადგილობრივ პირობებთან მაქსიმალურად მორგებული ეკონომიკური მოდელის შემუშავებას.

### 2.13 ბუნებრივი რესურსების მართვა

ბუნებრივი რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება შესაძლებლობას მისცემს ქვეყანას, მიიღოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი. მთავრობის მიზანია ყველა რესურსი მაქსიმალური ეფექტიანობით იყოს გამოყენებული და იმავდროულად მოხდეს გარემოს დაცვით პრინციპებზე დაყრდნობით რესურსების მდგრადი მართვა.

რესურსებით სარგებლობის სრულყოფილი სამართლებრივი ჩარჩოს ფორმირების მიმართულებით, აღსანიშნავია რამდენიმე ფართომასშტაბიანი რეფორმა:

- წიაღის სექტორის პოლიტიკის შემუშავება - დაგეგმილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტების შემუშავება, რომელთა საფუძველზეც რეფორმის მეორე ფაზაში, 2019 წელს შემუშავდება შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო, ხოლო რეფორმის დასკვნით ეტაპზე შემუშავდება რეკომენდაციები სექტორში ადამიანური რესურსების გაძლიერებასთან დაკავშირებით;
- სასარგებლო წიაღისეულის შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა/გაციფრებული ანგარიშების გახსნა;
- საბადოების დამუშავების თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვა;
- მარაგების კომისიის რეფორმა;
- სასარგებლო წიაღისეულის მარაგების გამოთვლის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა;
- სასარგებლო წიაღისეულის შესწავლის სტიმულირება.

## 3. მცირე მთავრობა

ქვეყნის მმართველობის ჩვენი ხედვა ეფუძნება მცირე და ამასთან ერთად ეფექტიანი, ოპერატიული და მოქნილი მთავრობის კონცეფციას.

მცირე და მოქნილი მთავრობის კონცეფციის განსახორციელებლად გაგრძელდება სამთავრობო უწყებების შემდგომი გაერთიანება/ოპტიმიზაცია და მათ შორის ფუნქციების გადანაწილება დაგეგმილი რეფორმების სწრაფად და ეფექტიანად განსახორციელებლად. მთავრობა ამზადებს უწყებების შემდგომ ოპიტიმიზაციასთან დაკავშირებულ კონკრეტულ წინადადებებს.

დეცენტრალიზაციის პროცესის პარალელურად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტრუქტურათა ოპტიმიზაცია მუნიციპალიტეტების დონეზე და მთავრობა უზრუნველყოფს შესაბამისი წინადადებების მომზადებას.

უწყებების ოპტიმიზაციასთან ერთად მაქსიმალურად შეიზღუდება ბიუროკრატიაზე გაწეული ხარჯებიც. ფისკალურ მაჩვენებლებში მმართველობითი ხარჯები რეალურ გამოხატულებაში კლებად ტრენდს შეინარჩუნებს, მათ შორის, შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი მთლიან შიდა პროდუქტთან

მიმართებით 3,9%-ის ფარგლებში იქნება. დაინერგება თანამედროვე მიდგომები საჯარო უწყებების შიდა ადმინისტრირების მიმართულებით. მნიშვნელოვნად შეიზღუდება სახელმწიფო ავტოპარკი პერსონალური ავტომანქანების საგრძნობი შემცირების ხარჯზე.

ხელისუფლება განახორციელებს ქმედით და სამართლიან პოლიტიკას, რათა უზრუნველყოს საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სისტემის შემდგომი გაძლიერება და გამოწვევებზე ორიენტირებული მოქნილი და ეფექტიანი საჯარო მმართველობის ჩამოყალიბება. უზრუნველყოფილი იქნება უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობა.

გაძლიერდება **ადგილობრივი თვითმმართველობა.** მცირე, მოქნილი და ეფექტიანი მუნიციპალური მმართველობის ჩამოყალიბებასთან ერთად, გაიზრდება მუნიციპალიტეტების უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა ფისკალური დეცენტრალიზაციის გზით. მუნიციპალიტეტების გაზრდილი უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი ფინანსური რესურსით უზრუნველსაყოფად ეტაპობრივად გაიზრდება ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების ხვედრითი წილი ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებში.

შემუშავდება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვეყნის განვითარებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია **ელექტრონული მმართველობის განვითარება.** მთავრობის მიზანია, ერთი მხრივ, საჯარო უწყებებში შიდა პროცესების გაციფრულება მეტი ეფექტიანობისთვის, ხოლო მეორე მხრივ, მოქალაქეებისა და ბიზნესისთვის გამარტივებული, მომხმარებელზე ორიენტირებული და ხარისხიანი ელექტრონული სახელმწიფო სერვისების შეთავაზება. ელექტრონული მმართველობისა და ციფრული ეკონომიკის უფრო ეფექტიანად განვითარების მიზნით მთავრობა შეიმუშავებს განახლებულ ელექტრონული მმართველობის პოლიტიკას, რომელიც მთელი ქვეყანის საჯარო უწყებების მასშტაბით ცენტრალიზებულად იქნება კოორდინირებული. ამისათვის, თანამედროვე ტენდენციებისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით იგეგმება ერთიანი, ცენტრალიზებული საკოორდინაციო მექანიზმის შექმნა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად მთავრობა გააგრძელებს მუშაობას სახელმწიფო სერვისების შექმნისა და მიწოდების ერთიან პოლიტიკაზე, რაც ფიზიკურ მომსახურებასთან ერთად უზრუნველყოფს ონლაინმომსახურების დახვეწას, ახალი დამატებითი სახელმწიფო სერვისების გაციფრულებას და საფასურის ოპტიმიზაციას. ასევე გაგრძელდება მუშაობა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის დამატებითი ინსტრუმენტების დანერგვაზე, რაც მნიშვნელოვნად დააჩქარებს მომსახურების მიღების დროს და საშუალებას მისცემს მოქალაქეებს დისტანციურად და უსაფრთხოდ მიიღონ სახელმწიფო სერვისები.

სახელმწიფო ინსტიტუტებში დაინერგება გამჭირვალობის მაღალი სტანდარტები და შეიქმნება საზოგადოებრივი კონტროლის ქმედითი მექანიზმები.

**კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში** დაინერგება ისეთი **ევროპული მიდგომები,** როგორიცაა კორუფციის პრევენციის მექანიზმების იმპლემენტაცია და საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება კორუფციულ დანაშაულებებთან მიმართებით. უზრუნველყოფილი იქნება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით გადადგმული ნაბიჯების ქმედითი კოორდინაცია და ამ მიმართულებით სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა.

**2018 წლის ივლისში მთავრობა დაამტკიცებს ღია მმართველობა საქართველოს მეოთხე ეროვნულ სამოქმედო გეგმას,** რომლის განხორციელების შედეგად საქართველო კიდევ უფრო განიმტკიცებს თავის რეპუტაციას როგორც ელექტრონული და ღია მმართველობის სფეროში რეგიონისა და მთელი მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა.

## 4. განათლება, მეცნიერება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

### 4.1 განათლება, მეცნიერება და ახალგაზრდობა

საქართველოს მთავრობა თავისი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტის - განათლების მიმართულებით განახორციელებს რეფორმის ახალ, კომპლექსურ და მრავალმხრივ ეტაპს. დაგეგმილია ისეთი საგანმანათლებლო სისტემის შექმნა, რომელიც მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად, ბავშვების, სტუდენტის, ახალგაზრდებისა და ზრდასრულების სათანადო თეორიული ცოდნით აღჭურვისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებასთან ერთად, უზრუნველყოფს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების სიღრმისეულად გააზრებას, მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, კონკურენტუნარიანობის გაზრდას, განათლებისა და მეცნიერების კავშირის გაძლიერებას. ადამიანური კაპიტალის განვითარება განიხილება როგორც ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური და საზოგადოებრივი წინსვლის უმთავრესი წინაპირობა. აღნიშნული რეფორმის კომპლექსურობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, მისი წარმატებით განხორციელება საჭიროებს განათლებაზე მიმართული რესურსების ზრდას. არსებული ხედვის თანახმად, მთავრობა გეგმავს ეტაპობრივად ამ მიმართულებაზე გაწეული ხარჯების ზრდას და კერძო სექტორთან ერთად განათლების დაფინანსებას მშპ-თან მიმართებაში ორნიშნა მაჩვენებლის ფარგლებში.

განათლების სისტემაში საგანმანათლებლო პროცესის ფოკუსი და, განათლების საფეხურის შესაბამისად, მის ცენტრში იქნება განათლების მიმღები პირი (ბავშვი, მოზარდი, ახალგაზრდა და განათლების მიღების ზრდასრული მსურველი) უზრუნველყოფილი იქნება მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის (LLL) პრინციპის დაცვა. თავის მხრივ, საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეთავაზებული იქნება უსაფრთხო, ძალადობისაგან თავისუფალი და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო. უზრუნველყოფილი იქნება საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარება განათლების ყველა საფეხურისათვის. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამების პარალელურად, გაგრძელდება ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის ფარგლებში საგანმანათლებლო დაწესებულებების სრული რეაბილიტაცია და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით უზრუნველყოფა, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ბანკის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში დაიწყება სკოლებში ენერგოეფექტიანობის გაზრდაზე მიმართული სარეაბილიტაციო სამუშაოები.

განათლების რეფორმა განხორციელდება განათლების სისტემის ყველა საფეხურზე: ადრეული და სკოლამდელი განათლება, ზოგადი განათლება, პროფესიული განათლება, უმაღლესი განათლება და მეცნიერება.

სპორტისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს

თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმს, მეწარმეობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, დანაშაულის პრევენციას, კულტურული დიპლომატიის განვითარებას, ქვეყნის პოპულარიზაციასა და მის პოზიციონირებას საერთაშორისო ასპარეზზე, ე.წ. საიმიჯო ხასიათის პროექტების შინაარსის გაფართოებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, ხალხებს შორის დაახლოვებასა და კულტურათაშორის დიალოგს.

ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ კულტურა და სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს განათლებაში და უფრო უკეთ იყოს პოზიციონირებული განათლება კულტურასა და სპორტში, რაც უზრუნველყოფს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სისტემის ლიდერობას რეგიონში და მის რეგიონალურ საგანმანათლებლო და კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბებას.

### 4.1.1 ადრეული და სკოლამდელი განათლება

განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა სკოლამდელი განათლების დონეზე იწყება. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები რეფორმირდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებად და დაიწყება განათლების **ხარისხის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა, რათა** მყარი საფუძველი აღსაზრდელების სასკოლო განათლების მისაღებად მომზადებისთვის. სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზია, აღსაზრდელების უსაფრთხოება და საუკეთესო ინტერესების დაცვა. გაძლიერდება სტანდარტის შესრულების კონტროლი. ეროვნულ დონეზე შეიქმნება სკოლამდელი განათლების ხარისხის შეფასების, განვითარებისა და მართვის მოდელი და მექანიზმები.

გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ახალი ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებულის გაუმჯობესება.

აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად ამოქმედდება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, დაიწყება აღმზრდელისა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიების განვითარება, პროფესიაში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

წინასასკოლო ასაკის მოზარდებისთვის მხარდაჭერილი იქნება სასკოლო მზაობის ჯგუფების ფუნქციონირება როგორც საბავშვო ბაღების, ისე სკოლების ბაზაზე.

### 4.1.2 ზოგადი განათლება

ზოგადი განათლების **მაღალი ხარისხი და საყოველთაო ხელმისაწვდომობა** პრიორიტეტი იქნება. ამ მიზნით უზრუნველყოფილი იქნება თანასწორი და ინკლუზიური, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნის, უნარების, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ფორმირებასა და მოსწავლის წარმატებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის განვითარება, რათა თითოეული კურსდამთავრებული კონკურენტუნარიანი იყოს შრომის ბაზარზე და ქვეყნის გრძელვადიანი

ეკონომიკური და საზოგადოებრივი წინსვლის ინტერესებს პასუხობდეს. ხარისხის მაღალი სტანდარტების მისაღწევად დაინერგება სკოლების და განათლების ხარისხის შეფასების ახალი სტანდარტები და მექანიზმები. გაგრძელდება მუშაობა დაფინანსების ეფექტიანი მოდელის განვითარება-დანერგვაზე.

ზოგადი განათლების სისტემის ორიენტირი იქნება მოსწავლეების მომავალი ცხოვრებისა და დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისთვის მომზადება. ამ მიზნით სასწავლო პროცესში დაინერგება ისეთი მეთოდოლოგიები და სტრატეგიები, რომელიც უზრუნველყოფს სააზროვნო, შემოქმედებითი, ტექნოლოგიური და შრომითი უნარების განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განათლებაში. სახელმწიფო ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მრავალფეროვან აქტივობებს და პროექტებს, რომლებიც მათ დაეხმარება ანალიტიკური, შემოქმედებითი და ინოვაციური აზროვნების განვითარებაში, გუნდური მუშაობის, ლიდერობის, სამეწარმეო, სახელოვნებო, სამოქალაქო და სოციალური კომპეტენციების განვითარებაში. სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული პიროვნების თავისუფალი განვითარების, ნიჭისა და პიროვნული შესაძლებლობების სრული რეალიზაციისა და განვითარებისთვის თანასწორი პირობების შექმნას, განურჩევლად მისი ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური მრწამსისა თუ საცხოვრებელი ადგილისა. ეროვნული უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის მაღალ დონეზე სწავლების და ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდება მიზნობრივი პროგრამები.

განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით, გაგრძელდება ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მაღალ სტანდარტებზე ორიენტირებული ეროვნული **სასწავლო გეგმების**, პროგრამების, შესაბამისი სახელმძღვანელოების და სხვა საგანმანათლებლო რესურსების შექმნა და დანერგვა. შეიცვლება საშუალო საფეხურის მოწყობა და დაინერგება დიფერენცირებულ მიდგომებზე დაფუძნებული სასწავლო მოდელი ტექნიკური და საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული, სახელოვნებო და პროფესიული განათლების გაძლიერების მიმართულებებით. **სისტემის განვითარების მიზნით** გაგრძელდება **საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის, მათ შორის** ფინური განათლების ელემენტების ეროვნულ მოდელში ინტეგრაცია.

კომპლექსური შეფასების საფუძველზე განვითარდება როგორც დამამთავრებელი, ისე **ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა**. საგამოცდო პროცესში გაიზრდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება.

ხელისუფლება იზრუნებს **პედაგოგის პროფესიის პრესტიჟის ამაღლებაზე და მათ ღირსეულ ანაზღაურებაზე**. სახელმწიფო უზრუნველყოფს მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარების მხარდაჭერას. უზრუნველყოფილი იქნება პედაგოგთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება და პროფესიული ცოდნის ამაღლება, სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით გაძლიერება.

დაიგეგმება ახალი სახელფასო პოლიტიკა პედაგოგების პროფესიული მიღწევების შესაბამისად. სწავლა-სწავლების პროცესისა და სკოლების მართვის გაუმჯობესების მიზნით, გაგრძელდება სკოლის დირექტორების, როგორც საგანმანათლებლო ლიდერების პროფესიული განვითარების პროგრამები.

ხელშეწყობილი იქნება მშობელთა განათლების და სკოლასთან მათი თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული პროგრამები.

სკოლებში უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხო, ინკლუზიური და მულტიკულტურული გარემოს შექმნა. განვითარდება ბულინგისა და ძალადობის პრევენციასა ორიენტირებული სერვისები და პროგრამები. მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქო-ემოციური უსაფრთხოების დაცვის მიზნით განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მანდატურისა და ფსიქოლოგიური მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, მედია წიგნიერებისა და ციფრული მოქალაქეობის პროგრამების დანერგვას. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ინკლუზიური განათლების ხარისხისა და მასშტაბების გაძლიერებას და სპეციალური მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სწრაფი განვითარებისთვის, ტრადიციული სწავლების პარალელურად, ძალიან მნიშვნელოვანია ტექნოლოგიების და ინოვაციური სასწავლო სტრატეგიების დანერგვა. სკოლების საინფორმაციო-ტექნოლოგიური შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაიზრდება, სწავლა-სწავლების პროცესში გაძლიერდება **ტექნოლოგიების გამოყენებისა და დისტანციური სწავლების როლი.** შეიქმნება მრავალფეროვანი ციფრული რესურსები და დამხმარე სასწავლო მასალები. იგეგმება საერთაშორისოდ აღიარებული ელექტრონული სისტემების და ლაბორატორიების დანერგვა, რაც მოსწავლეებში სივრცითი, ლოგიკური და შემოქმედებითი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს.

**მოსწავლეების ხარისხიანი სახელმძღვანელოებით და საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით** გაგრძელდება მათი განვითარება-დახვეწის პროცესი, როგორც შინაარსი, ასევე წონა და ტექნიკური პარამეტრები შესაბამისობაში იქნება მოსწავლეების ასაკობრივ განვითარებასა და შესაძლებლობებთან.

მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩაიდება **სასკოლო საგანმანათლებლო და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ახალი სკოლების** მშენებლობაში. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამების პარალელურად, გაგრძელდება ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის ფარგლებში საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით უზრუნველყოფა, ასევე ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ბანკის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში თბილისის რიგ სკოლებში ჩატარდება სარეაბილიტაციო და ენერგოეფექტურობის გაზრდაზე მიმართული სამუშაოები. რაც ათასობით მოსწავლეს უახლესი საერთაშორისო სტანდარტების სკოლებში სწავლის საშუალებას მისცემს,

სოფლის მცირეკონტინგენტიანი და მაღალმთიანი სკოლების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო უზრუნველყოფს სპეციალური პროგრამების ამოქმედებას, შეიქმნება მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ამ სკოლების სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებად ჩამოყალიბებას, რომელიც საბავშვო ბაღს, სკოლას, პროფესიულ კოლეჯს, ბიბლიოთეკას, სპორტულ და შემოქმედებით კლუბებს გააერთიანებს.

ევროკავშირთან თანამშრომლობით, „საქართველოში აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის“ პროექტის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, აზერბაიჯანი, სომხეთი და ბელარუსი) საუკეთესო მოსწავლეები საქართველოში მიიღებენ ევროპულ განათლებას.

### 4.1.3 პროფესიული განათლება

პროფესიული განათლების სისტემაში გაგრძელდება **დუალური, ანუ სამუშაოზე დაფუძნებული, სწავლების მიდგომის დანერგვა** საჯარო-კერძო პარტნიორობის გზით. ამ მიდგომით, დამსაქმებლები სრულფასოვნად ჩაერთვებიან პროფესიული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების, ასევე სტუდენტების შერჩევისა და შეფასების პროცესებში. დასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარების პარალელურად, სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებისა და კერძო სექტორის გაძლიერების მიზნით, პრიორიტეტი იქნება **სამეწარმეო განათლებაც.** სამეწარმეო ცნობიერების ამაღლება და მეწარმეობის სწავლება ხელს შეუწყობს იმგვარი სპეციალისტის მომზადებას,რომელიც საგანმანათლებლო სისტემაში მიღებული ცოდნითა და მეწარმეობის ხელშემწყობი მექანიზმების გამოყენებით, თავად გახდება დამსაქმებელი. გაძლიერდება ინოვაციური სწავლების მიდგომების დანერგვა და დარგების შესაბამისად გაუმჯობესდება პროფესიული განათლების სტუდენტთა ხელმისაწვდომობა ახალ ტექნოლოგიებზე. ინოვაციური ლაბორატორიებისა და ე.წ „ექსელენს ცენტრების“ განვითარებით რეგიონებში შესაძლებელი იქნება კერძო კომპანიებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ურთიერთთანამშრომლობა, მათ შორის, მომავლის პროფესიების დანერგვის მიზნით.

პროფესიული განათლების ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად, მეტი ყურადღება დაეთმობა ახალი სერვისების განვითარებას როგორც მოზარდებისა და ახალგაზრდების, ისე **ზრდასრულების საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის.** კერძო სექტორთან თანამშრომლობით შეიქმნება ზრდასრულთა განათლების სისტემა. ამოქმედდება პროფესიული მომზადება-გადამზადების მრავალფეროვანი პროგრამები.

ახალი საკანონმდებლო ინიციატივის საფუძველზე, დაიწყება ზოგადი განათლების პროფესიულ განათლებაში ინტეგრირების პროცესი. ამასთან, ჩამოყალიბდება უმაღლესი პროფესიული განათლების დონე, რითაც ხელი შეეწყობა პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურებს შორის კავშირების განვითარებას. დაინერგება წინმსწრები და არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები,

პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ასევე ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლების **პროფესიული განვითარების** მწყობრი სისტემა, წახალისებული იქნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება სწავლების პროცესში.

ამავდროულად განვითარდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა და საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმატში მრავალფეროვანი გახდება პროფესიული განათლების მიმწოდებელთა ქსელი. გაუმჯობესდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გეოგრაფიული დაფარვა, რათა უპასუხოს პროფესიული განათლების მიღების მსურველთა მზარდ მოთხოვნას.

აუცილებელია პროფესიული განათლების იმიჯის, მიმზიდველობის გაუმჯობესება და ამ სფეროს პოპულარიზაცია. რაც განხორციელდება სოციალური პარტნიორებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, ასევე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებითა და პროფესიული განათლების რეალური პერსპექტივების ჩვენებით.

### 4.1.4 უმაღლესი განათლება

დაინერგება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის ეფექტიანი მოდელები. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმა. უმაღლესი განათლების ხარისხის შეფასების მექანიზმები შესაბამისობაში მოვა შეფასების საერთაშორისო სტანდარტებთან. განხორციელდება განვითარებაზე ორიენტირებული შეფასებები და ხელი შეეწყობა დაწესებულებების ინსტიტუციურ გაძლიერებას. ამოქმედდება ევროპის საბჭოს სტანდარტებსა და რეკომენდაციებთან (ESG) თავსებადი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები, რაც შედეგად მოგვცემს განვითარებაზე ორიენტირებულ ინსტიტუციებს და მკვეთრად გაუმჯობესებული ხარისხის პროგრამებს, რომლებიც შრომის ბაზრის მოთხოვნებს დაუახლოვდება. საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით, მხარდაჭერილი იქნება საერთაშორისო პარტნიორობები, მათ შორის საერთაშორისო აკრედიტაციების მოპოვება და აღიარების მექანიზმების განვითარება. პრიორიტეტი მიენიჭება სწავლისა და მეცნიერული კვლევის ინტეგრაციას.

შემუშავდება და დაინერგება უმაღლესი განათლების **დაფინანსების ახალი, ეფექტიანი მოდელები,** რომლებიც ორიენტირებული იქნება იმ მიმართულებებისა და სპეციალობების გაძლიერებაზე, რაც ქვეყნის განვითარების საჭიროებებთან, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიკის გაძლიერებასთან არის დაკავშირებული. დაინერგება უნივერსიტეტების საბაზო დაფინანსების მოდელი, რომლის ფარგლებშიც ხელი შეეწყობა უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მჭიდრო კავშირს.

დაინერგება ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა **მასწავლებელთა მომზადების სისტემის** გაუმჯობესების მიზნით. სკოლებში ახალი და კვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით უმაღლესდამთავრებულ პირთათვის გაგრძელდება მასწავლებლის მომზადების აკრედიტებული 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებიც სახელმწიფოს მიერ დაფინანსდება.

მხარდაჭერილი იქნება სპეციალური პროგრამები საქართველოში და საზღვარგარეთ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებსა და უნივერსიტეტებში წარმატებით მოღვაწე წამყვანი ქართველი მეცნიერების უმაღლესი განათლების სისტემაში რეინტეგრაციის მიზნით.

სახელმწიფო განსაკუთრებულად შეუწყობს ხელს უმაღლესი განათლების პროცესში **თანამედროვე ტექნოლოგიების** როლისა და მნიშვნელობის ზრდას, მათ შორის, დისტანციური განათლების კომპონენტის გაძლიერებას.

საქართველოს რეგიონალურ საგანმანათლებლო ცენტრად პოზიციონირებისთვის, განხორციელდება მიზნობრივი ღონისძიებები უცხოელი სტუდენტების საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მოსაზიდად.

### 4.1.5 მეცნიერება

განხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები საქართველოს ძლიერ, **რეგიონალურ სამეცნიერო ცენტრად** გადაქცევისთვის.

ქვეყნის ეკონომიკის, სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებისა და საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით მოხდება **პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებების იდენტიფიკაცია** და მათი გაძლიერების მხარდაჭერა.

განხორციელდება **ახალგაზრდების სამეცნიერო კვლევებში ჩართულობის** მხარდამჭერი ღონისძიებები, დაფინანსდება პოსტდოქტორანტურის პროგრამები, ხელი შეეწყობა საერთაშორისო სამეცნიერო გაცვლითი პროგრამების განხორციელებას.

ხელი შეეწყობა **საზღვარგარეთ სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებთან სამეცნიერო თანამშრომლობას** და ერთობლივი პროექტების განხორციელებას, უცხოელი მეცნიერების სამეცნიერო კვლევებს საქართველოში და ქართველი მეცნიერებისას - მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო ცენტრებში, აგრეთვე ქართველი მეცნიერების მიერ უცხოელ მკვლევარებთან ერთობლივი კვლევითი პროგრამების განხორციელებას. უზრუნველყოფილი იქნება ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა მეცნიერებაში მიზნობრივი პროგრამების დანერგვით. გაძლიერდება თანამშრომლობა სხვადასხვა სამეცნიერო ფონდებთან საზღვარგარეთ, დამატებითი დაფინანსების და ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით. სახელმწიფო მხარს დაუჭერს საქართველოს გაწევრიანებას ევროპული კვლევებისა და ტექნოლოგიების თანამშრომლობის ორგანიზაციაში (COST), ევროპის აკადემიაში (Academia Europea).

გაძლიერდება მეცნიერების **ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები.** სახელმწიფო მხარს დაუჭერს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში.

სახელმწიფო ხელს შეუწყობს **საზღვარგარეთ ქართველოლოგიური კათედრებისა** და ქართველოლოგის შემსწავლელი მეცნიერების გაძლიერებას.

სახელმწიფო მხარს დაუჭერს ევროკომისიის კვლევისა და ინოვაციის პროგრამის **,,Horizon-2020“-ის** ფარგლებში თანამშრომლობას, რაც გამორჩეული კვლევითი და ინოვაციური იდეების განსახორციელებლად, საერთაშორისო თანამშრომლობისა და დაფინანსების ახალ პერსპექტივებს სთავაზობს ქართველ მეცნიერებს, კვლევაზე ორიენტირებულ ინდუსტრიებს, ინოვაციურ მცირე ზომის საწარმოებს, ბიზნესმენებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს. სახელმწიფო მხარს დაუჭერს ევროკომისიის მომდევნო ჩარჩო პროგრამის **„Horizon Europe“-ის** ფარგლებში ჩართულობას და აქტიურ მონაწილეობას.

### 4.1.6 ახალგაზრდობის პოლიტიკა და ინოვაციები

მთავრობის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ახალგაზრდული საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას, ქართველ და უცხოელ ახალგაზრდებს შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ერთობლივი საერთაშორისო პროექტების განხორციელებას.

ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებისა და რესურსებთან წვდომის გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყოფილი იქნება საინფორმაციო მხარდაჭერა.

გაგრძელდება სახელმწიფოს მხრიდან **ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობა**, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი მონაწილეობისა და სამოქალაქო აქტივობების მხარდაჭერის მიმართულებით. გაძლიერდება არაფორმალური განათლების, პროფესიული ორიენტაციის, დასაქმებისა და მობილობის ხელშემწყობი პროგრამები და პროექტები.

ეკონომიკის განვითარებაში დამწყები მეწარმეების მიერ ინოვაციური მიდგომებისა და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის მოტივირება და ჯანსაღი ამბიციების ხელშემწყობი გარემოს შექმნა გრძელვადიანი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის საფუძვლის შექმნის წინაპირობაა. ამ მიმართულებით სახელმწიფო პროგრამები მიზნად ისახავს ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებას და ინოვაციების ეკოსისტემის შექმნას.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები ითვალისწინებს ფინანსებსა და ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის ზრდას:

- მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ფინანსებთან წვდომის კომპონენტი გულისხმობს თანადაფინანსების გრანტებს ახალგაზრდა სტარტაპებისთვის;
- კერძო სექტორის ჩართულობით გრძელდება ბიზნესინკუბატორების/აქსელერატორების პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს იდეიდან ბაზრამდე გასვლის პროცესში სახელმწიფო და კერძო სექტორის მხარდაჭერას სხვადასხვა ტრენინგებით, მენტორშიფით და ინვესტირებით;
- დაგეგმილია საერთაშორისო ბრენდების შემოყვანა საქართველოში სილიკონის ველიდან, შვეიცარიიდან, გაერთიანებული სამეფოდან, რათა საქართველო გახდეს რეგიონალური ჰაბი ინოვაციების ეკოსისტემით, მოიზიდოს სტარტაპები და ინვესტორები ახლო ქვეყნებიდან;
- გაგრძელდება საკანონმდებლო მუშაობა სტარტაპებისთვის დაფინანსების ალტერნატიული კერძო წყაროების განვითარების მიმართულებით;
- საქართველოში უნივერსიტეტების ბაზაზე მოეწყობა პრეაქსელერატორები, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტებში იდეების გენერაციას, მათ დახვეწასა და სტარტაპპროდუქტებად გარდაქმნას;
- ხელი შეეწყობა მიკრო-, მცირე და საშუალო მეწარმეების ინტერნეტთან და ელექტრონული კომერციის საერთაშორისო პლატფორმებზე წვდომის გაუმჯობესებას;
- გაგრძელდება რეგიონებში ტექნოლოგიური პარკების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების მაქსიმალურ ჩართულობას ინოვაციების ეკოსისტემაში;
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამეცნიერო ინოვაციების განვითარებას და ამ მიზნისთვის საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში ტექნოლოგიების მზაობის ანალიზს.

- საქართველოში შეიქმნება საკანონმდებლო და ფინანსური წახალისების ინსტრუმენტი რათა შეიქმნას ანჯელ და ვენჩურული კერძო საინვესტიციო ფონდები შემდგომი სტადია სტარტაპების დასაფინანსებლად.

- საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო გაწევრიანდება საერთაშორისო ენჯელ და ვენჩურულ ინვესტორთა ქსელებში, რათა ქართულ სტარტაპებს გზა გაეხსნას ენჯელ და ვენჩურ ინვესტორებთან ევროპის, აშშ-ს და აზიის მასშტაბით

- საქართველოში მოხდება მსხვილი საერთაშორისო ტექნოლოგიური კომპანიების წარმომადგენლობის შემოყვანა.

- ქართული სტარტაპების საერთაშორისო აქსელერატორებში/ინკუბატორებში ჩართვის მიზნისთვის შემუშავდება მხარდამჭერი პროგრამები.

ახალგაზრდა მეწარმეთა ხელშეწყობის გარდა, სახელმწიფო პროგრამები ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, მათ შორის, სამოქალაქო, კულტურული და სპორტული მიმართულებით. გაიზრდება ახალგაზრდულ და მოსწავლეთა ბანაკებზე ხელმისაწვდომობა და გაძლიერდება ამ პროექტის ფარგლებში ინტელექტუალური კომპონენტი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ზუსტ და საბუნებისმეტყველო, სახელოვნებო და სპორტულ მიმართულებებს. გაგრძელდება ჰობი-განათლებასა და რეკრეაციაზე ფოკუსირებული პროექტების დაფინანსება. მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით გააქტიურდება ზამთრისა და ზაფხულის სამეცნიერო სკოლების საქმიანობა, საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებში სასწავლო ტურები.

**ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობით** გაუმჯობესდება ახალგაზრდული პოლიტიკის განსაზღვრისა და შესაბამისი ახალგაზრდული სერვისების შექმნის პროცესი. გაგრძელდება ახალგაზრდული სამოქმედო გეგმების შემუშავება და **ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების მონაწილეობის** მექანიზმებისა და მოდელების დანერგვა.

გაიზრდება ახალგაზრდული პროექტების მასშტაბები და **არასამთავრობო სექტორის აქტიური ჩართულობით** მოხდება სამოქალაქო ჩართულობისა და სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა.

გაიზრდება **მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელი ახალგაზრდების** ინკლუზიაზე ორიენტირებული არაფორმალური განათლების პროგრამების მხარდაჭერა.

გაღრმავდება **თანამშრომლობა ევროკავშირთან** ახალგაზრდობის მობილობის, უნარების განვითარებისა და პოლიტიკის რეფორმების მიმართულებებით ევროკავშირის “Erasmus +”-ის პროგრამის ფარგლებში, ხოლო ევროკავშირის EU4Youth პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობა ორიენტირებული იქნება ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტის განვითარების, მოხალისეობის პოპულარიზებისა და ახალგაზრდებში დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

## 4.2 კულტურა და სპორტი

სპორტისა და კულტურის მიმართულების ხელშეწყობა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ხელს უწყობს ქვეყნის პოპულარიზაციას, ე.წ. საიმიჯო ხასიათის პროექტების შინაარსის გაფართოებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ახალი სტრუქტურული და ფუნქციური ცვლილებების კვალდაკვალ მნიშვნელოვანია კულტურული და სპორტული კალენდრების ერთმანეთთან ჰარმონიზაცია და კოორდინაცია, რაც საერთაშორისო ასპარეზზე თანამიმდევრული და ეფექტიანი პოზიციონირებას საშუალებას მისცემს ქვეყანას და ხელს შეუწყობს კულტურული დიპლომატიის, კულტურული და სპორტული ტურიზმის განვითარებას.

### 4.2.1 კულტურა

კულტურული მიმართულებით სახელმწიფო პროგრამები ძირითადად დაეფუძნება „კულტურის სტრატეგია 2025-ს", რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ხედვას, მიზნებსა და ამოცანებს კულტურის სექტორში.

მიმდინარეობს მუშაობა **კულტურის მართვის ეფექტიან მოდელზე, მათ შორის,** გაიზრდება ექსპერტთა და პროფესიონალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებისა და კულტურის სხვადასხვა სფეროს სტრატეგიების შემუშავების პროცესში. გაგრძელდება მუშაობა კულტურის დაფინანსების დივერსიფიკაციისთვის.

დაიხვეწება კულტურასა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული **კანონმდებლობა;** შემუშავდება კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის კოდექსი; მომზადდება ახალი ნომინაციები კაცობრიობის არამატერიალური მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შესატანად და მოხდება მსოფლიო მემკვიდრეობის წინასწარული ნუსხის განახლება. გაგრძელდება საზღვარგარეთ ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევა და ძეგლებზე საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. **გაგრძელდება მუშაობა კულტურული მემკვიდრეობის მართვისა და დაფინანსების ეფექტიანი მექანიზმების** შემუშავებისთვის.

გაიზრდება **კულტურის ხელმისაწვდომობა** ფართო საზოგადოებისათვის, ხელი შეეწყობა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და შშმ პირთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

ხელი შეეწყობა კულტურის სფეროს პოტენციალის სამეწარმეო და ტურიზმის მიმართულებით ათვისებას, მათ შორის, **კულტურული მარშრუტების, ტრადიციული რეწვის დარგებისა და არამატერიალური და მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სხვა პოტენციალის ათვისებას, აგრეთვე შემოქმედებითი რესურსების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის მდგრად გამოყენებას.**

სახელმწიფო ხელს შეუწყობს **შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებისთვის საჭირო სივრცეების** და ელექტრონული პლატფორმების შექმნას;

კულტურული დიპლომატიის მეშვეობით ხელი შეეწყობა **ქართული კულტურის ინტერნაციონალიზაციასა და ქვეყნის პოპულარიზაციას** საერთაშორისო დონეზე; ხელი შეეწყობა საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას, ხელოვანთა საერთაშორისო მობილობას კულტურათაშორის დიალოგს, ერთობლივი პროექტების განხორციელებას, ინსტიტუციონალურ, ორგანიზაციულ და ინდივიდუალურ დონეზე.

შემუშავდება სახელოვნებო განათლების პოლიტიკა და სტრატეგიული განვითარების გეგმა, დაიწყება მუშაობა **სახელოვნებო განათლების მიმართულებით საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის სრულყოფაზე,** სახელოვნებო განათლების ფართო ხელმისაწვდომობის, განათლების ხარისხის და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და **სახელოვნებო განათლების დაფინანსების ახალი მოდელის შექმნის მიმართულებით.** გაგრძელდება **სახელოვნებო-შემოქმედებითი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული მოდერნიზება** და ტექნიკური გადაიარაღება.

### 4.2.2 სპორტი

სახელმწიფო განახორციელებს ქმედით პოლიტიკას, პროფესიულ და მასობრივ სპორტში ჩაბმულ პირთა რაოდენობის გასაზრდელად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში ბავშვებისა და მოზარდების ჩართვას. უზრუნველყოფილი იქნება **სასპორტო განათლების ხელმისაწვდომობა და მწვრთნელთა პროფესიული გადამზადება; გაგრძელდება მაღალმთიან დასახლებებში მომუშავე მწვრთნელთა მხარდაჭერა.**

აშენდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული **მოედნები, დარბაზები და სპორტის სასახლეები,** ასევე მასობრივი სპორტული ობიექტები (გარე სავარჯიშო ტრენაჟორები, მინიმოედნები, სარბენი და ველობილიკები); შეიქმნება **სპორტული ინფრასტრუქტურის მართვის** ქმედითი მოდელი, რომელიც საჯარო და კერძო სექტორის ეფექტიან თანამშრომლობაზე იქნება დაფუძნებული.

**გაიზრდება სასპორტო განათლების ხელმისაწვდომობის დონე** და შეიქმნება დარგის პროფესიონალი კადრებით მომარაგების მყარი საფუძვლები.

სპორტულ ორგანიზაციებთან და სხვადასხვა უწყებებთან კოორდინაციით, შემუშავდება **სპორტული ტურიზმის განვითარების** სტრატეგია, რაც ქვეყნის პოპულარიზაციასთან ერთად, განაპირობებს ქვეყანაში დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას. ამ მიზნით გაგრძელდება მუშაობა საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მასპინძლობის მიმართულებით და **შემუშავდება საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების გამართვის სტანდარტები.**

შეიქმნება სპორტული დავების განხილვების ეფექტიანი სისტემა. **დაინერგება სპორტსმენთა უფლებების დაცვის და მათი გადაწყვეტილების მიღებაში ჩართვის მოდელი. გაგრძელდება სპორტის სფეროში არსებულ საერთაშორისო კონვენციებთან მიერთების, მათი რატიფიკაციისა და დანერგვის პროცესი.**

# 5. ადამიანი და მასზე ზრუნვა

## 5.1 ადამიანის უფლებათა დაცვა, დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა

ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმების შედეგად შეიქმნა და დაიხვეწა ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუციონალური მექანიზმები. მთავრობის პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ინტეგრირება სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და კანონშემოქმედების პროცესში.

სისხლის სამართლის პოლიტიკის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად გაგრძელდება სისხლის სამართლის რეფორმა სამოქალაქო სექტორის ჩართულობით და საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების შესაბამისად. ხანგრძლივი მრავალმხრივი კონსულტაციების შედეგად უწყებათაშორის ფორმატში 2018 წლის მაისში დამტკიცდა და პარლამენტს უახლოეს მომავალში წარედგინება სისხლის სამართლის კოდექსში ფართომასშტაბიანი ცვლილებების პროექტი, რომლის მიზანია სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია და სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან.

სისხლის სამართლის რეფორმის პრიორიტეტებად რჩება დანაშაულის თავიდან აცილებაზე, სამართლიანი და დამოუკიდებელი სასამართლოს ჩამოყალიბებაზე, სასამართლოს და მოსამართლის როლის გაძლიერებაზე, სასჯელის ლიბერალიზაციაზე, დაზარალებულის უფლებების დაცვასა და მსჯავრდებულის რეაბილიტაციაზე ორიენტირებული სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელება.

**სასჯელაღსრულების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით:**

- მომზადდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება ბრალდებულის/მსჯავრდებულის სასამართლო პროცესში დისტანციურად (ტექნიკური საშუალებების გამოყენებით) მონაწილეობა;
- განხორციელდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან ვადამდე გათავისუფლება პენიტენციურ დაწესებულებაში ნამუშევარი დღეების პროპორციულად;
- მსჯავრდებულთა დასაქმებისა და რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის მიზნით, სახელმწიფო ხელს შეუწყობს კერძო ბიზნესს პენიტენციურ დაწესებულებებში სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით;
- პენიტენციური დაწესებულებების მართვის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, გაგრძელდება დიდი ზომის პენიტენციური დაწესებულებების გარდაქმნა შედარებით მცირე ზომის პენიტენციურ დაწესებულებებად. ასევე, დაიწყება ახალი, მცირე ზომის, მაქსიმუმ 500 პატიმარზე გათვლილი დაწესებულებების მშენებლობა;
- მომზადდება საკანონდებლო ცვლილებები პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით;
- გაუმჯობესდება ბრალდებულთა უფლებრივი მდგომარეობა;
- გაძლიერდება პატიმართა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, მათ შორის, სხვადასხვა დამოკიდებულების მქონე პირთა რეაბილიტაციის პროგრამები.

მთავრობა კვლავაც უზრუნველყოფს **საკუთრების უფლების** განუხრელ დაცვას, ისევე, როგორც ქონების სანდო და უსაფრთხო სარეგისტრაციო პროცედურებს, მათ შორის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გზით.

კიდევ უფრო დაიხვეწება და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გახდება **პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის** მარეგულირებელი კანონმდებლობა და ზედამხედველობის სისტემა. გაგრძელდება შიდა და გარე კონტროლის მექანიზმების განვითარება, რომლებიც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელებისას უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას უფრო მაღალი სტანდარტით. აღნიშნული ცვლილებები განხორციელდება ისე, რომ დაცული იყოს გონივრული ბალანსი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ქვეყნისა და ადამიანების უსაფრთხოების ინტერესებს შორის.

გატარდება ქმედითი ღონისძიებები **თანასწორობის** უფლების რეალიზებისათვის და ადამიანების ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად.

უზრუნველყოფილი იქნება **რწმენის თავისუფლების** დაცვა ყველა რელიგიური გაერთიანებისა და თითოეული ადამიანისთვის. მთავრობა ხელს შეუწყობს საზოგადოებაში შემწყნარებლობის კულტურის შემდგომ განვითარებას.

**ეთნიკური უმცირესობების** უფლებების დაცვისა და რეალიზების უზრუნველსაყოფად გაგრძელდება სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელება. საქართველოს ყველა მოქალაქეს, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, ექნება შესაძლებლობა სრულფასოვნად ჩაერთოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, პოლიტიკურ და სამოქალაქო პროცესებში.

განსაკუთრებით პრიორიტეტული იქნება სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება, შესაბამისად, გაიზრდება სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამების ეფექტიანობა.

კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ეთნიკური უმცირესობებისთვის გაუმჯობესდება საზოგადოებრივ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა. განათლების სტრატეგიული დოკუმენტის შესაბამისად, გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა განათლების ყველა საფეხურზე. გაუმჯობესდება მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და, შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობების ერთიან საინფორმაციო სივრცეში ჩართვა.

განხორციელდება ქმედითი ღონისძიებები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმიანობაში და გადაწყვეტილების მიღების დონეზე, **გენდერული თანასწორობის** დასაცავად. უზრუნველყოფილი იქნება სწრაფი და ქმედითი რეაგირება გენდერული უთანასწორობისა და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის თითოეულ ფაქტზე.

გაგრძელდება **ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის** პრევენციისა და მასთან ბრძოლისათვის საკანონმდებლო რეფორმის განხორციელება. სტამბულის კონვენციის ჩარჩო-სტანდარტებიდან

გამომდინარე, გაუმჯობესდება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის სამართლებრივი დაცვა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამებისა და თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის ხელმისაწვდომობა. გაგრძელდება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ცნობიერებისა და შესაბამისი პირებისათვის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის ზრუნვა.

დაცული იქნება **შშმ პირთა უფლებები** გონივრული მისადაგების პრინციპის საფუძველზე, მათი საჭიროებების გათვალისწინებით. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში შშმ პირთა სრულყოფილი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ხელს შეუწყობს შშმ პირთა დასაქმებას, ასევე ინფრასტრუქტურის ადაპტირებას შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებით. მთავრობა ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებების, გადაადგილებისა და მოგზაურობის თანაბარ ხელმისაწვდომობას შესაბამისი სტანდარტების შემუშავებისა და დანერგვის გზით. ჩვენი საზოგადოების წევრი შშმ პირების მონაწილეობით უკვე მომზადებულია ახალი კანონპროექტი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, რომელსაც ისინი მრავალი წელი ელოდნენ და რომლითაც მოხდება გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ სრულფასოვანი იმპლემენტაცია საქართველოს კანონმდებლობაში. ამით შეიქმნება მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება შშმ პირთა უფლებების რეალიზება ჯანდაცვის, განათლების, სამოქალაქო ინტეგრაციის, დასაქმების, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულებებით, აგრეთვე საზოგადოებაში შშმ პირთა სრული ინტეგრაცია და მათთვის ყველა სახის მომსახურების მისაწვდომობა.

მთავრობა დაგეგმავს შესაბამის ღონისძიებების საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის სრულყოფილი იმპლემენტაციის მიზნით, მათ შორის გამოიყოფა დამატებითი რესურსები სოციალური მუშაკების რაოდენობის ზრდასთან ერთად მათი კვალიფიკაციისა ზრდისა და შესაბამისი ანაზღაურების უზრუნველსაყოფად.

გაგრძელდება აქტიური **ბრძოლა ტრეფიკინგის** წინააღმდეგ.

## 5.2 ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუციონალური მექანიზმები

მომდევნო 3 წლის განმავლობაში საქართველოში კიდევ უფრო გაძლიერდება ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუციონალური მექანიზმები.

ძლიერი, კვალიფიციური და დამოუკიდებელი სასამართლო არის ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედი. მთავრობის მოქმედებები მიმართული იქნება **სასამართლო სისტემის** ნდობის ამაღლებისკენ. ჩვენი პრიორიტეტია თითოეული მოქალაქის და კერძო სექტორის რწმენის ამაღლება ქართული მართლმსაჯულებისადმი.

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მეოთხე ეტაპზე ყურადღება გამახვილდება სასამართლოში დაგროვილი და ჯერაც გადაუწყვეტელი საქმეების რაოდენობის შემცირებაზე, დისციპლინური

პასუხისმგებლობის საფუძვლების გადასინჯვაზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობის პროცედურების გაუმჯობესებაზე.

ამასთან, პარლამენტს განსახილველად წარედგინება მრავალმხრივი კონსულტაციების შედეგად მომზადებული კანონპროექტი „მედიაციის შესახებ“. ამ საკანონმდებლო და სხვა ინსტიტუციონალური მექანიზმების მეშვეობით ხელი შეეწყობა მედიაციის, როგორც დავების მოგვარების ალტერნატიული საშუალების, დამკვიდრებას და განვითარებას. მედიაციის პროცესში სათანადოდ მომზადებული, მიუკერძოებელი მესამე პირი დაეხმარება მოქალაქეებს და ბიზნესის წარმომადგენლებს სამოქალაქო დავების ხანგრძლივი და ძვირადღირებული სასამართლო პროცესის გარეშე, ურთიერთშეთანხმებით, სწრაფად და ეფექტიანად მოგვარებაში.

უზრუნველყოფილი იქნება **საკონსტიტუციო სასამართლოს** დამოუკიდებლობა.

**პროკურატურა** კვლავაც იმუშავებს როგორც საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებზე ორიენტირებული სისტემა, რაც ბრალდებულთა და პროცესის მონაწილე სხვა მხარეთა უფლებების მაქსიმალურ დაცვას უზრუნველყოფს. დანაშაულთან ბრძოლის სფეროში შემუშავდება ახალი მიდგომები, დაიხვეწება და ევროპულ სტანდარტებს კიდევ უფრო დაუახლოვდება არსებული საგამოძიებო და საპროკურორო პრაქტიკა. გაიზრდება საზოგადოების მონაწილეობა დანაშაულის პრევენციის უზრუნველყოფის პროცესში. რიგითი პროკურორის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით, დაიხვეწება პროკურორთა თანამდებობაზე დანიშვნის, დისციპლინური პასუხისმგებლობის, გათავისუფლებისა და წახალისების (მათ შორის დაწინაურების) სისტემა. შემუშავდება პროკურორთა საქმიანობის გამჭვირვალე და მიუკერძოებელი შეფასების კრიტერიუმები. გაგრძელდება პროკურორთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები.

გაგრძელდება სამართლიანობის აღდგენის პროცესი, რომლის შედეგადაც, 2018 წლის ივნისის მდგომარეობით, სახელმწიფოს მიერ კერძო პირთათვის დაბრუნებულ იქნა 45 მლნ ლარის ღირებულების 2012 წლის ოქტომბრამდე პერიოდში უკანონოდ ჩამორთმეული უძრავ-მოძრავი ქონება. კონსტიტუციის ფარგლებში და საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, ხელისუფლება გააგრძელებს ყველა სამართლებრივი მექანიზმის გამოყენებას, რათა თითოეულ ადამიანს აღუდგეს წინა ხელისუფლების მიერ დარღვეული უფლებები. ამ მიზნით გაგრძელდება საქართველოს მთავარი პროკურატურის ხელმძღვანელობით მიმდინარე ის საგამოძიებო პროცესი, რომლის შედეგადაც არაერთი 2012 წლამდე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი გადასინჯულ იქნა და შეიცვალა გამამართლებელი განაჩენით.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ჩადენილი სავარაუდო წამების/არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი და **დამოუკიდებელი გამოძიების** ხელშეწყობის მიზნით, მიღებული იქნება „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ ახალი კანონი და ამით შეიქმნება ერთიანი, დამოუკიდებელი ინსტიტუტი, რომელიც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის მიუკერძოებელ და ეფექტიან გამოძიებაზე იქნება პასუხისმგებელი.

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის უფრო ეფექტიანი და დახვეწილი სისტემისთვის **შინაგან საქმეთა სამინისტროს** შემდგომი განვითარების პროცესი დაეფუძნება სისტემური განახლების

კონცეფციას, რომელიც მოიცავს როგორც სტრუქტურულ გარდაქმნას, ისე საპოლიციო საქმიანობის შინაარსობრივ ცვლილებებს და საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებას. ამ რეფორმების განხორციელება უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციის მიმართულების გაძლიერებას, დანაშაულთან ბრძოლის, მართლწესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუმენტების ეფექტიანობის ამაღლებას.

მთელი ქვეყნის მასშტაბით სტრუქტურული გარდაქმნა შეეხება **კრიმინალურ პოლიციას.** კერძოდ, ეფექტიანობის ამაღლების მისაღწევად კრიმინალურ პოლიციაში მოხდება ოპერატიული, საგამოძიებო და საუბნო მიმართულებების და ფუნქციების მკაფიოდ გამიჯვნა. **საგამოძიებო მიმართულებით განხორციელდება არსებული გამომძიებლების კვალიფიკაციის ამაღლება და მათი სპეციალიზაციის უზრუნველყოფა. ამ მიზნით,** შსს აკადემიის ბაზაზე მოხდება გამომძიებელთა საბაზისო კურსის დანერგვა და სისტემაში მიღებისთვის აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნების სტანდარტების ამაღლება. გარდა ამისა, აკადემიაში დაინერგება გამომძიებელთა პროფესიული გადამზადების კურსი. არსებითად განახლდება **კრიმინალური პოლიციის საუბნო მიმართულება,** იგი დაეფუძნება საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის კონცეფციას და შეიქმნება თანამედროვე სტანდარტების საპოლიციო სერვისების შესაბამისი მართლწესრიგის ოფიცერთა დანაყოფები, რომელთა უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა.

რეფორმა შეეხება **სასაზღვრო პოლიციას.** გაგრძელდება საზღვრის მართვის რისკების ანალიზის ერთიანი სისტემის განვითარება და მისი ინტეგრირება შესაბამის ანალიტიკურ სისტემაში. გაღრმავდება საერთაშორისო პარტნიორებსა და დონორებთან უკვე არსებული წარმატებული თანამშრომლობა სასაზღვრო პოლიციის ტექნიკური გადაიარაღების, აღჭურვისა და ადამიანური რესურსების გაძლიერების მიმართულებით. გააგრძელდება **საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის** განვითარება, ცენტრის როლისა და სტრატეგიულ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით.

ქვეყანაში გაგრძელდება **საპატრულო პოლიციის** რეფორმის ახალი ეტაპი, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც საპოლიციო საქმიანობის ეფექტიანობას და გამჭვირვალობას, ისე მოახდენს ადმინისტრაციული პროცესების გამარტივებას, საპოლიციო სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდას, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და დანაყოფის სტრუქტურულ ოპტიმიზაციას. ამ რეფორმის ფარგლებში განხორციელდება **სტანდარტული მოქმედებების პროცედურებისა** და **სამართალდარღვევების გამოკვეთის თანამედროვე საშუალებების** დანერგვა. გაძლიერდება **ქვეით პატრულ ინსპექტორთა კორპუსი** და ამ გზით ამაღლდება ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურით დატვირთულ მიმართულებებზე უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის სტანდარტები. მთავრობა ასევე გააგრძელებს ისეთი საპოლიციო ინსტრუმენტების განვითარებას, როგორიცაა **უკონტაქტო და ფარული პატრულირება,** რაც აუცილებელია საგზაო უსაფრთხოების სფეროში არსებული გამოწვევების დასაძლევად. გაგრძელდება საპოლიციო სერვისების მარტივად ხელმისაწვდომობის პოლიტიკა და საპატრულო პოლიციის **ერთიანი მომსახურების ცენტრის** კონცეფცია დაინერგება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მთავრობა განახორციელებს სისტემურ განახლებას ისეთი ფუძემდებლური პრინციპით, როგორიცაა **ადამიანის უფლებების დაცვა.** ამ მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილია ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტი, რომლის მიზანია ისეთი დანაშაულის გამოძიების ხარისხის ამაღლება, როგორიცაა ოჯახში ძალადობა, ქალთა მიმართ ძალადობა, სხვადასხვა დისკრიმინაციული

მოტივით ჩადენილი დანაშაული. აქტიურად გაგრძელდება დეპარტამენტის საქმიანობის გაძლიერება და ადამიანის უფლებების დაცვის კომპონენტის განვითარება, რაც განხორციელდება დეპარტამენტის მიერ შიდა და გარე მონიტორინგის სისტემების დანერგვით, რისკის შეფასების სისტემის დანერგვით, სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო სექტორის ჩართულობის ზრდით.

მთავრობა იმუშავებს **ერთობლივი ოპერაციების ცენტრის** შემდგომ განვითარებაზე, გადადგამს ნაბიჯებს თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართულებით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ეროვნული ვიდეოანალიტიკური სისტემის განვითარებისა და მისი საშუალებით დანაშაულის პრევენციისკენ მიმართულ ქმედებებს. ამ მიმართულებით უკვე ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები.

დაინერგება დანაშაულის პრევენციაზე მიმართული მიდგომები, მათ შორის **ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის** მოდელი, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის მიღების თანამედროვე საშუალებების განვითარებას, დანაშაულის და დამნაშავის ანალიზის, პროფილირებისა და რეკომენდაციების ანალიტიკური პროდუქტების შემუშავებას როგორც საოპერაციო, ისე სტრატეგიულ დონეზე. აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დანაშაულთან ბრძოლის ღონისძიებებს და შედეგებს. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის ფარგლებში განხორციელდება საპოლიციო რესურსების ოპტიმალური განაწილების შეფასების ისეთი საშუალებების დანერგვა, როგორიცაა „E-Police" და ინციდენტების ინტერაქციული რუკა.

გაგრძელდება **საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების** პროგრამის განხორციელება, რომელიც ქვეითთა, მგზავრებისა და მძღოლების უსაფრთხოების გაუმჯობესებას მოემსახურება და შეამცირებს გზებზე უბედურ შემთხვევებს. მნიშვნელოვნად გაიზრდება ახალი ტექნოლოგიების გამოყენება საგზაო მოძრაობის ადმინისტრირების სფეროში. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, გაგრძელდება ახლადდანერგილი ქულათა დაგროვების სისტემის დახვეწა, მართვის მოწმობის ასაღებად საჭირო გამოცდის პრაქტიკული კომპონენტის საქალაქო პირობებში ინტეგრირება და სხვ.

გაღრმავდება **თანამშრომლობა საერთაშორისო საპოლიციო სტრუქტურებთან**. საქართველო აქტიურად ითანამშრომლებს ევროპოლთან 2017 წელს გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე. მოხდება ევროპოლის უსაფრთხო კომუნიკაციის არხის დანერგვა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილი იქნება ოპერატიული ინფორმაციის გაცვლა. გარდა ამისა, მთავრობა ევროპოლში მიავლენს მოკავშირე ოფიცერს. პარალელურად, გაძლიერდება ორმხრივი საპოლიციო თანამშრომლობა, გაფართოვდება პოლიციის ატაშეების არსებული ქსელი, განსაკუთრებით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში.

პოლიციის სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ჩამოყალიბდება **ადამიანური რესურსების მართვის ქმედითი სისტემა,** რათა კარიერული წინსვლა დაეფუძნოს ობიექტურ კრიტერიუმებს, დამსახურებასა და კვალიფიკაციას. პოლიციელთათვის გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები და ეტაპობრივად გაიზრდება მათი ანაზღაურება. ამავე დროს, განხორციელდება სამსახურში მიღების წესის გადახედვა და შსს აკადემია გარდაიქმნება არამხოლოდ სისტემაში მოხვედრის ერთადერთ წყაროდ, არამედ მისი ძირითადი მანდატი იქნება პოლიციელთა კვალიფიკაციის ამაღლება და სპეციალური პროგრამების განხორციელება, რაც მიიღწევა აკადემიაში უმაღლესი განათლების კომპონენტის გაუქმებითა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულების გაძლიერებით.

ინტენსიურ ფაზაში გადავა თანამშრომლობა ევროკავშირის სისხლის სამართლის სფეროში სამართლებრივი თანამშრომლობის სააგენტოსთან (ევროჯასტთან), რომელთანაც მოლაპარაკებები უკვე დასრულებულია და შესაბამისი ხელშეკრულება უახლოეს მომავალში გაფორმდება.

უზრუნველყოფილი იქნება **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის** დამოუკიდებელი და ქმედითი საქმიანობა.

გარანტირებული იქნება **სახალხო დამცველის ინსტიტუტის** დამოუკიდებლობა, მისი აქტიური თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტსა და სხვა საჯარო სტრუქტურებთან.

საქართველოს ხელისუფლება შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების მიმართულებებით გააგრძელებს მუშაობას სათანადო საკანონმდებლო ბაზის პრაქტიკაში სრულყოფილად დასანერგად შრომის უსაფრთხოებისა და სამუშაო ადგილებზე ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით, რაც იქნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისი, მათ შორის, ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან.

საქართველოს მთავრობა განახორციელებს ახლებურ მიდგომას ქმედითი და ეფექტიანი შრომის ინსპექტირების მექანიზმის ჩამოსაყალიბებლად, რაც გულისხმობს შრომის ინსპექციის მანდატის გაძლიერებას და გავრცელებას ეკონომიკის ყველა სექტორზე და შრომით ურთიერთობებზე. შრომის ინსპექტირების მექანიზმის რეფორმირების პროცესი წარიმართება სოციალური პარტნიორების ჩართულობის პირობებში.**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

2012 წლის არჩევნების შემდეგ ხელისუფლებამ საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპზე დაფუძნებულ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პოლიტიკას, რომლის შემდგომი სრულყოფა საქართველოში თითოეული ადამიანის ღირსეულ ცხოვრებას და კეთილდღეობას უზრუნველყოფს.

### 5.2.1 ჯანმრთელობის დაცვა

ადამიანზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკის მთავარი მიღწევა **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებაა, რომელმაც სათავე დაუდო ყველა საქართველოს მოქალაქისათვის სამედიცინო მომსახურებით უნივერსალურ მოცვას. სამედიცინო სერვისების მოხმარების საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, 2013 წლიდან უკვე დაფინანსდა 4 მლნ-ზე მეტი შემთხვევა.

მთავრობა მომავალშიც შეინარჩუნებს **საყოველთაო ჯანდაცვის სისტემას,** დაიხვეწება არსებული საყოველთაო ჯანდაცვის საბაზისო პაკეტი. საქართველოს ყველა მოქალაქე კვლავაც იქნება დაცული სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული მაღალი ხარჯებისაგან, ამასთან, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, განიხილება საჯარო და კერძო თანამშრომლობის მოდელები და მექანიზმები, რათა დასაქმებულმა ადამიანებმა მეტი წვლილი შეიტანონ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში.

**დაავადებათა პროფილაქტიკა** (პრევენცია) ჯანდაცვის პოლიტიკისთვის იქნება პრიორიტეტული. დაავადებაზე რეაგირების რეჟიმიდან აქცენტი გადატანილი იქნება როგორც პრევენციულ ღონისძიებებზე, ისე დაავადების ადრეულ დიაგნოსტიკასა და მისი გართულების თავიდან აცილებაზე.

განხორციელდება **პირველადი ჯანდაცვის** რეფორმის მომდევნო ეტაპი. კერძოდ, დაიხვეწება პირველადი ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების მექანიზმები და გაიზრდება ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა, რის საფუძველზეც დაიზოგება როგორც სახელმწიფოს, ისე მოსახლეობის მიერ გაწეული დანახარჯები.

გაგრძელდება **ჯანდაცვის სპეციალიზებული მიმართულებების პროგრამული დაფინანსება,** C ჰეპატიტის ელიმინაციის უპრეცედენტო პროგრამაში ჩართვის საშუალება მომავალშიც ექნება ყველა შესაბამისი საჭიროების მქონე პაციენტს; გაუმჯობესდება ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების ხარისხი როგორც სტაციონარულ, ისე ამბულატორიულ და თემზე დაფუძნებული სერვისების დონეზე.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობას** - ქვეყნის მასშტაბით უკვე განხორციელდა დედათა და ბავშვთა (პერინატალური) სამედიცინო ცენტრების რეგიონალიზაცია და მომავალში მოხდება მისი ინსტიტუციონალიზაცია; გაგრძელდება აცრების ეროვნული კალენდრით ბავშვთა იმუნიზაცია; ორსულებისა და ბავშვების უზრუნველყოფა მომავალი თაობის ჯანსაღი განვითარებისთვის აუცილებელი ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდებით.

საფუძველი ჩაეყრება **ონკოლოგიური დაავადებების** მკურნალობის თანამედროვე და მაღალეფექტიან მეთოდებს.

**ჯანდაცვის სისტემის დაფინანსება** დაეფუძნება თანამედროვე, მსოფლიოში აპრობირებულ პრინციპებს: მომსახურების ანაზღაურებისათვის გამოყენებული იქნება დაფინანსების დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების და გლობალური ბიუჯეტების მეთოდი, რაც უზრუნველყოფს პროგრამული ფინანსური რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებას.

**მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის** გაზრდის მიზნით ამოქმედდა ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენისათვის. განხორციელდება პროგრამის არეალის გაფართოება, რომლის შედეგადაც მოსახლეობის მოწყვლად ჯგუფებს გაეზრდებათ ხელმისაწვდომობა ამბულატორიული მოხმარების მედიკამენტებზე. დაიწყება ღონისძიებების გატარება პოლიფარმაციის შემცირების მიზნით, გაგრძელდება ელექტრონული რეცეპტის სისტემის დანერგვა.

უზრუნველყოფილი იქნება ჯანდაცვის სერვისებისა და მედიკამენტების ხარისხი, დაიხვეწება საკანონმდებლო ბაზა, გაგრძელდება სელექტიური კონტრაქტირების დანერგვის პროცესი და გაძლიერდება **სახელმწიფო მონიტორინგის** სისტემა. დაინერგება ფარმაცევტული წარმოების კარგი საწარმოო პრაქტიკის და დისტრიბუციის (GMP/GDP) სტანდარტები.

ქვეყნის მასშტაბით დაიწყება **ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების სისტემის დანერგვა,** რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესებას.

ჯანდაცვის ადამიანური რესურსების განვითარების უზრუნველსაყოფად განხორციელდება **სამედიცინო განათლების** სისტემური რეფორმა დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის გაუმჯობესების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს მაღალი კომპეტენციის მქონე სამედიცინო პერსონალის მიერ ხარისხიანი სამედიცინო სერვისების მიწოდებას. აღნიშნული, ერთი მხრივ, გააუმჯობესებს პაციენტებისათვის მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ხარისხს, ხოლო, მეორე მხრივ, შეამცირებს სამედიცინო დაწესებულებების დანახარჯებს.

### 5.2.2 სოციალური დაცვა

მთავრობის შემდგომი მმართველობის სოციალური დაცვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს: სიღატაკის შემცირება/პრევენცია, სოციალური დახმარების სისტემის ეფექტიანობა, სამართლიანობა და გამჭვირვალობა, დასაქმების მოტივაციის გაზრდა და ხელშეწყობა.

მთავრობა გააგრძელებს **მიზნობრივ სოციალურ პროგრამებს** მოწყვლადი ჯგუფების მატერიალური მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით განხორციელდება აღნიშნული პროგრამების მიზნობრიობის გაუმჯობესება და არსებული რესურსების უფრო სამართლიანი გადანაწილება. ამ პროცესში შემოღებულ იქნება სოციალურად დაუცველი ოჯახების შრომისუნარიანი წევრების დასაქმების წახალისებისა და ხელშეწყობის მექანიზმები.

გაფართოვდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები .

ხელისუფლება გაააქტიურებს **დევნილთა** საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის ეფექტიან პოლიტიკას. გაგრძელდება დევნილი ოჯახებისათვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, ასევე „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში მოხდება დევნილი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების შეძენა. გაგრძელდება კერძო მესაკუთრეებისგან იმ საცხოვრებელი ფართების გამოსყიდვა, რომლებიც დევნილებს აქვთ დაკავებული. დაიხურება ყველა ნგრევადი, სიცოცხლისათვის საშიში ობიექტი, რომელზეც არსებობს შესაბამისი საექსპერტო დასკვნა. გაძლიერდება სახელმწიფოს მხრიდან დევნილებისთვის საარსებო წყაროებზე წვდომის, მცირე სამეწარმეო საქმიანობისა და დევნილთა კოოპერაციის ხელშეწყობა.

გაგრძელდება **ეკომიგრანტი** ოჯახებისთვის სახლების შეძენა ქვეყნის მასშტაბით, ასევე გასულ წლებში გადაცემული საცხოვრებელი სახლებისა და მიწის ნაკვეთების ეკომიგრანტი ოჯახებისთვის საკუთრებაში რეგისტრაციის პროცესი.

გაგრძელდება ოჯახების მხარდამჭერი სერვისები და ბავშვთა კეთილდღეობისკენ მიმართული ღონისძიებები, მათ შორის **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების** ხელშეწყობის ღონისძიებები, გაძლიერდება მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებები.

მოხდება **მეტად ჰუმანური მიდგომების** დანერგვა ნარკოტიკების მოხმარებასთან მიმართებით. გაგრძელდება ნარკოპოლიტიკის შემსუბუქების მიზნით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა კვლევებზე, ანალიზსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების გათვალისწინებით. სახელმწიფო გააუმჯობესებს ნარკოდამოკიდებული პირებისათვის მიზნობრივი ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობასა და ხარისხს. პრევენციული და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებით, ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის გზით სახელმწიფო უზრუნველყოფს ნარკოტიკების უკანონო მოხმარებაში ადამიანების, განსაკუთრებით, ახალგაზრდების ჩაბმის თავიდან არიდებას და ნარკოტიკული საშუალების მოხმარებით გამოწვეული ზიანის თაობაზე საზოგადოების ინფორმირებას.

სახელმწიფო, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიმუშავებს რეგულაციებს **აზარტული თამაშების** ხელმისაწვდომობის შეზღუდვის კუთხით, განსაკუთრებით არასრულწლოვნებსა და დამოკიდებულ პირებთან მიმართებით. გამკაცრდება სახელმწიფო კონტროლი რეგულაციების შესრულებაზე. გაძლიერდება პრევენციული საგანმანათლებლო კომპონენტი, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსახლეობის ფართო ფენების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, აზარტულ თამაშებში ჩაბმა.

## ძირითადი საბიუჯეტო და მაკროეკონომიკური პარამეტრები

### მაკროეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები

საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისაკენ, რომლის მისაღწევად ძირითადი პრიორიტეტებია:

- ეკონომიკის სტაბილიზაცია და მომდევნო ეტაპზე ეკონომიკის მდგრადი და მაღალი ტემპით ზრდა;
- ინფლაციის დონის ერთნიშნა მაჩვენებლის შენარჩუნება;
- უმუშევრობის დონის შემცირება;
- საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება;

### საშუალოვადიანი მაკროეკონომკური პროგნოზები

ცხრილი1. ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები

| | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ფაქტ. | ფაქტ. | ფაქტ. | მოსალ. | პროგნ. | პროგნ. | პროგნ. | პროგნ. |
| რეალური მშპ (ზრდის ტემპი) | 2.9 | 2.8 | 5.0 | 5.0 | 4.5 | 5.0 | 5.5 | 6.0 |
| ნომინალური მშპ (მლნ ლარი) | 31,755.6 | 34,028.5 | 38,042.2 | 41,741.8 | 45,146.9 | 48,826.4 | 53,057.2 | 57,927.8 |
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი) | 3,766.6 | 3,864.6 | 4,067.7 | 4,454.9 | 4,616.8 | 4,993.1 | 5,425.7 | 5,923.8 |
| სამომხმარებლო ფასების ინდექსი (საშუალო პერიოდის განმავლობაში) | 4.0 | 2.1 | 6.0 | 3.5 | 3.0 | 3.0 | 3.0 | 3.0 |
| მიმდინარე ანგარიში (პროცენტულად მშპ-თან) | -12.1 | -12.8 | -8.7 | -9.7 | -8.3 | -7.6 | -6.9 | -6.1 |

*მშპ*

2018 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 5.0 პროცენტის ფარგლებშია მოსალოდნელი. საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდა პოტენციური ზრდის ფარგლებში ჩამოყალიბდება და 2019-2022 წლებში დაახლოებით 4.5-6.0 პროცენტის ფარგლებში იქნება. 2022 წელს ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი 57.9 მლრდ ლარამდე გაიზრდება, ხოლო მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2017 წელთან შედარებით 5.3 ათასი ლარით მოიმატებს და 15 580 ლარს გაუტოლდება.

*ფასები*

საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკას, რაც ითვალისწინებს ეკონომიკის განვითარებისათვის არსებული დონისათვის ოპტიმალური ინფლაციის განსაზღვრას და მის მიღწევას. 2018-2019 წლებისათვის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 3 პროცენტს შეადგენს.

2019-2022 ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი 3.0 პროცენტის დონეზეა.

*მიმდინარე ანგარიშის ბალანსი*

2017 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 8.7 პროცენტი შეადგინა. მიმდინარე პროგნოზების შესაბამისად, 2018 წელს მოსალოდნელია მიმდინარე დეფიციტის ზრდა, ხოლო 2019-2022 წლებში ნავარაუდევია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის თანმიმდევრული შემცირება.

## მიმდინარე ძირითადი ეკონომიკური ტენდენციები

*მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა*

2017 წელს, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ წინა წელთან შედარებით 5.0 პროცენტი შეადგინა. პირველ კვარტალში - 5.3%, მეორე კვარტალში - 4.9%, მესამე კვარტალში - 4.4%, ხოლო მეოთხე კვარტალში - 5.4%. 2017 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი ნომინალურ გამოსახულებაში 38 042.2 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც 11.8 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 10 204 ლარი (4 068 აშშ დოლარი) შეადგინა.

2018 წლის პირველი 6 თვის საშუალო რეალურმა ზრდამ 5.4 პროცენტი შეადგინა. აქედან I კვარტალის საშუალო რეალური ზრდა 5.3 პროცენტის, ხოლო მეორე კვარტალის რეალური ზრდა 5.5 პროცენტის დონეზეა. 2018 წლის პირველი ნახევრის მთლიანი შიდა პროდუქტი ნომინალურ გამოსახულებაში 19 319 მლნ ლარით განისაზღვრა.

*ეკონომიკური ზრდის დარგობრივი სტრუქტურა*

2017 წლის მონაცემებით ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: მშენებლობა (11.2%), სასტუმროები და რესტორნები (11.2%), საფინანსო საქმიანობა (9.2%), ტრანსპორტი (7.2%), ვაჭრობა (6.6%), ოპერაციები უძრავი ქონებით (6.3%), სამთომომპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობა (5.2%) და სხვა.

2018 წლის პირველ ნახევარში ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი როლი საფინანსო საქმიანობას, სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევას და ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევას უჭირავს. ეკონომიკის რეალური ზრდის დარგობრივი სტრუქტურაში ყველაზე სწრაფად გაიზარდა საფინანსო საქმიანობა - 16.2 პროცენტით, სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა - 15.7 პროცენტით, ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა - 13.6 პროცენტით, ვაჭრობა - 7.9 პროცენტით, სამთომოპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობა - 7.8 პროცენტით და სასტუმროები და რესტორნები 7.5 პროცენტით.

*კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში*

2017 წელს ეკონომიკურ ზრდაში წარმართველი როლი ეჭირა კერძო სექტორს. 2017 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 19.4 პროცენტით, ხოლო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 19.6 პროცენტით გაიზარდა. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა გაზრდილია 39.3 ათასი ადამიანით.

2018 წლის პირველ ნახევარში ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 19.2 პროცენტით, ხოლო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 14.2 პროცენტით გაიზარდა. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა გაზრდილია 25.2 ათასი ადამიანით.

*უმუშევრობის დონე*

2017 წელს უმუშევრობის დონე 2016 წელთან შედარებით 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 13.9% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს უმუშევრობის დონემ ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია.

*ფასები*

2017 წელს საშუალო წლიური ინფლაციის მაჩვენებელმა 6.0 პროცენტი შეადგინა. ხოლო 2017 წლის დეკემბერში 2016 წლის დეკემბერთან შედარებით ინფლაცია 6.7 პროცენტს შეადგენს.

2018 წლის აგვისტოში ინფლაციის დონემ წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (წლიური ინფლაცია) 3.1 პროცენტი შეადგინა.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: ტრანსპორტი: ფასები გაიზარდა 7.8%-ით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 1.04 პროცენტული პუნქტით აისახა; სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები გაიზარდა 3.2 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.96 პროცენტული პუნქტით აისახა; ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 5.2%-ით, რაც 0.44 პროცენტული პუნქტით აისახა; ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 4.7%-ით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.33 პროცენტული პუნქტით აისახა. საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერგია, აირი: ფასები გაიზარდა 3.4%-ით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.29 პროცენტული პუნქტით აისახა;

*ლარის გაცვლითი კურსი*

2017 წელს ლარი აშშ დოლართან მიმართებაში 2.1 პროცენტით გამყარდა. ხოლო აღნიშნულ პერიოდში ლარი ევროსთან მიმართებაში 11.1 პროცენტით გაუფასურდა. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ლარის საშუალო კურსს სავაჭრო პარტნიორების კურსებთან მიმართებაში, გაუფასურდა 1.1 პროცენტით.

2018 წელს ლარი გამყარდა როგორც აშშ დოლართან, ისე ევროსთან მიმართებაში. 2018 წლის რვა თვეში ლარი აშშ დოლართან 0.5 პროცენტით, ხოლო ევროსთან 2.8 პროცენტით გამყარდა. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ლარის საშუალო კურსს სავაჭრო პარტნიორების კურსებთან მიმართებაში, გამყარდა 14.7 პროცენტით.

*ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები*

2017 წელს საგადასახადო შემოსავლები გადაჭარბებით შესრულდა. 2017 წელს ნაერთი ბიუჯეტის ფაქტიურმა საგადასახადო შემოსავლების ზრდამ წინა წელთან 11.3 პროცენტი შეადგინა, რაც ნომინალურ გამოსახულებაში 992.9 მლნ ლარს შეადგენს.

საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტენდენცია გრძელდება 2018 წელსაც. 2018 წლის 8 თვეში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლები 6.8% გაიზარდა, რაც ნომინალურ გამოსახულებაში 435.5 მლნ ლარს შეადგენს.

*საგარეო ვაჭრობა*

2017 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 10 687 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 13.6 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 2 731 მლნ. აშშ დოლარს (29.2% მეტი), ხოლო იმპორტი 7 956 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (9.1% მეტი). 2017 წელს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 5 225 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2018 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 8 100.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 22.6 პროცენტით აღემატება; აქედან ექსპორტი 2 146.4 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (27.1 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 5 954.3 მლნ. აშშ დოლარს (21.0 პროცენტით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2018 წლის იანვარ-აგვისტოში 3 807.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი 2018 წლის იანვარ-აგვისტოს მთლიანი საქონელბრუნვის 13.8 პროცენტს შეადგენს. მას მოსდევს რუსეთი 10.9 და ჩინეთი 9.0 პროცენტული წილებით.

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში პირველ ადგილზე სპილენძის მადნები და კონცენტრატებია 14.9 პროცენტით, მომდევნო ადგილებს იკავებენ: მსუბუქი ავტომობილები 11.3 პროცენტი, ფეროშენადნობები 10.7 პროცენტი, ყურძნის ნატურალური ღვინოები 5.7 პროცენტი და სამკურნალო საშუალებები 4.3 პროცენტი.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე ნავთობი და ნავთობპროდუქტებია, რომელსაც მთლიან იმპორტში 9.7 პროცენტიანი წილი უკავია. შემდეგ მოდიან: მსუბუქი ავტომობილები 6.5 პროცენტი, სპილენძის მადნები და კონცენტრატები 4.4 პროცენტი და სამკურნალო საშუალებები 3.7 პროცენტი.

2018 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2 206.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 21.4 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტის მოცულობა, 455.8 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 11.4 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 21.2 პროცენტს შეადგენს. იმპორტმა 1 751.0 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია (24.3 პროცენტით მეტი) და მთლიანი იმპორტის 29.4 პროცენტი შეადგინა.

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2 770.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 32.6 პროცენტით აღემატება. აქედან ექსპორტის მოცულობა 1 025.6 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 51.3 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს, ხოლო ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 47.8 პროცენტს შეადგენს. იმპორტი 1 744.9 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა (23.7 პროცენტითმეტი), რაც მთლიანი იმპორტის 29.3 პროცენტს შეადგენს.

*ფულადი გზავნილები*

2018 წლის იანვარ-აგვისტოში წმინდა ფულადი გზავნილები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 18.4 პროცენტით გაიზარდა და 876.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (136.2 მლნ აშშ დოლარით მეტი). წმინდა ფულადი გზავნილები გაზრდილია იტალიიდან 37.3 პროცენტით და 119.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (32.3 მლნ აშშ დოლარით მეტი), ისრაელიდან - 40.5 პროცენტით და 97.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (28.2 მლნ აშშ დოლარით მეტი), საბერძნეთიდან - 25.1 პროცენტით და 102.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (20.6 მლნ აშშ დოლარით მეტი).

*ტურიზმი*

2018 წლის იანვარ-აგვისტოში, საქართველოს 5 684 ათასი ვიზიტორი ეწვია (2017 წლის 8 თვის მონაცემებით, ვიზიტორების რაოდენობა 5 059 ათასს შეადგენდა), რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემს 12.3 პროცენტით აღემატება.

ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2 232.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 22.2 პროცენტით (405.4 მლნ აშშ დოლარით მეტი) აღემატება გასული წლის მაჩვენებელს.

*მიმდინარე ანგარიშის ბალანსი*

მიმდინარე ანგარიშის ბალანსის მაღალი დეფიციტი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ მოწყვლადობის წყაროს წარმოადგენს. 2017 წელს, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 8.7 პროცენტს შეადგენს. თუმცა საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებისაკენ.

*სახელმწიფო ვალი*

სახელმწიფოს ვალი მთლიან ეკონომიკასთან მიმართებაში სტაბილურობით ხასიათდება და 2017 წელს მშპ-ს 44.6 პროცენტის დონეზეა. აქედან, საგარეო ვალი 35.3, ხოლო საშინაო ვალი 9.3 პროცენტია. აღნიშნული მაჩვენებელი დაბალია ეკონომიკური თავისუფლების აქტით განსაზღვრულ სახელმწიფო ვალის დონესთან შედარებით (მშპ-ს 60%).

## ფისკალური პოლიტიკა

გრძელვადიანი პერიოდისთვის **მთავრობის სტრატეგიაა** ფისკალური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის შენარჩუნებას და მაკროეკონომიკურ სტაბილურობას;

2019-2022 წლებისთვის *ფისკალური პოლიტიკის ამოცანებს* წარმოადგენს:

- ინვესტიციების მიმართვა ინფრასტრუქტურის განვითარებისათვისა და მოსახლეობის დასაქმებისათვის, ამასთანავე ისეთი პრიორიტეტული სფეროების დაფინანსება როგორიცაა საპენსიო უზრუნველყოფა, სოციალური სფერო, ჯანდაცვა, განათლება და სოფლის მეურნეობა,;
- ბიუჯეტის დეფიციტის ნიშნულის ისეთი მოცულობის ფარგლებში შენარჩუნება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას;
- სახელმწიფო ფინანსების მართვის შემდგომი სრულყოფა.

### საქართველოს 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

2017 წელს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების სახით მობილიზებულია 10 921.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 100.5%-ია (ცხრილი 2).

**გადასახადების** სახით მობილიზებულია 9 778.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 100.4 %-ია, ხოლო მშპ-თან მიმართებაში 25.7% შეადგინა. მათ შორის:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 2 918.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 920.0 მლნ ლარი) 100.0%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 7.7%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 756.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (740.0 მლნ ლარი) 102.2%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 2.0%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 4 122.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 020.0 მლნ ლარი) 102.6%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 10.8%-ია.

- აქციზის სახით მობილიზებულია 1 450.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 435.0 მლნ ლარი) 101.1%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 3.8%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 71.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (65.0 მლნ ლარი) 110.2%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 0.2%-ია.
- ქონების გადასახადის სახით მობილიზებულია 394.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (410.0 მლნ ლარი) 96.3%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 1.0%-ია.
- სხვა გადასახადის სახით მობილიზებულია 63.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (150.0 მლნ ლარი) 42.4%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 0.2%-ია.

**გრანტების** სახით მობილიზებულია 353.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 91.9%-ია.

**სხვა შემოსავლების** სახით მობილიზებულია 788.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (740.0 მლნ ლარი) 106.5%-ია.

ცხრილი 2. ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები

*ათასი ლარი*

| დასახელება | გეგმა | ფაქტი | +/- | % |
|---|---|---|---|---|
| **შემოსავლები** | **10,865,000.0** | **10,921,173.9** | **56,173.9** | **100.5** |
| **გადასახადები** | **9,740,000.0** | **9,778,948.3** | **38,948.3** | **100.4** |
| საშემოსავლო გადასახადი | 2,920,000.0 | 2,918,865.4 | -1,134.6 | 100.0 |
| მოგების გადასახადი | 740,000.0 | 756,555.5 | 16,555.5 | 102.2 |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 4,020,000.0 | 4,122,612.8 | 102,612.8 | 102.6 |
| აქციზი | 1,435,000.0 | 1,450,921.9 | 15,921.9 | 101.1 |
| იმპორტის გადასახადი | 65,000.0 | 71,618.9 | 6,618.9 | 110.2 |
| ქონების გადასახადი | 410,000.0 | 394,746.2 | -15,253.8 | 96.3 |
| სხვა გადასახადი | 150,000.0 | 63,627.6 | -86,372.4 | 42.4 |
| **გრანტები** | **385,000.0** | **353,797.6** | **-31,202.4** | **91.9** |
| **სხვა შემოსავლები** | **740,000.0** | **788,428.0** | **48,428.0** | **106.5** |

**არაფინანსური აქტივების** კლებიდან მობილიზებულ იქნა 229.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (185.0 მლნ ლარი) 124.0%-ია.

**ფინანსური აქტივების** კლებიდან მობილიზებულ იქნა 109.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (70.0 მლნ ლარი) 156.7%-ია.

**ვალდებულებების ზრდის** ხარჯზე 2017 წელს მობილიზებულ იქნა 1 651.7 მლნ ლარი, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 4.3%-ს შეადგენს.

2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები სხვადასხვა სფეროების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- *სოციალური სფერო - 2 545.4 მლნ ლარი;*
- *განათლება - 1 172.5 მლნ ლარი;*

- *ჯანმრთელობის დაცვა - 1 066.3 მლნ ლარი;*
- *ტრანსპორტი - 955.2 მლნ ლარი;*
- *ენერგეტიკა - 12.3 მლნ ლარი;*
- *დასვენება, კულტურა, სპორტი, რელიგია - 262.7 მლნ ლარი;*
- *თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 1 743.6 მლნ ლარი.*

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით. სულ საანგარიშო პერიოდში მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის მიზნით გადარიცხულ იქნა 1 685.9 მლნ ლარი.
- მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის სოციალური დახმარებისა და ბავშვთა ინსტიტუციური დაწესებულებებიდან ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებასთან დაკავშირებული რეინტეგრაციის შემწეობის გაცემა. ასევე, სოციალური პაკეტის დაფინანსება შშმ პირებისთვის, შშმ ბავშვებისთვის, მარჩენალდაკარგულებისთვის და სხვა მოწყვლადი კატეგორიებისათვის, ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებით უზრუნველყოფა და შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მესამე და ყოველ მომდევნო ცოცხლადშობილი შვილის დაბადების გამო, ასევე, 2016 წლის 1 იანვრიდან დაბადებული ბენეფიციარებისათვის (პირველი, მეორე, მესამე და ყოველი მომდევნო შვილი), რომელთა ერთ-ერთ მშობელს აქვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივი ცხოვრების პირის სტატუსი ფულადი დახმარების გაცემა. მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების გასაცემად საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა სულ 646.6 მლნ ლარი;
- „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“ ფარგლებში (სრულად ამოქმედდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან), რომლის მიზანია ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გადაუდებელ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. პროგრამამ მოიცვა ასევე, გეგმიურ- ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებები (გეგმიური ქირურგული ოპერაციები მ.შ. კარდიოქირურგიული და ონკოლოგიური ოპერაციები, ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა, მშობიარობა, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები და ა.შ.). სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 706.1 მლნ ლარი;
- 2016 წლის პირველი სექტემბრიდან ძალაში შევიდა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათები, კერძოდ: მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერები იღებენ დანამატს პენსიის 20%-ის ოდენობით, ასევე სოციალური პაკეტის მიმღებთათვის დაინიშნა დანამატი სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით. ასევე, დანამატები მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში

დასაქმებული სამედიცინო პერსონალისთვის (ექიმისთვის – პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის – პენსიის ერთმაგი ოდენობით). სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 41.9 მლნ ლარი;

- საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განხორციელდა ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა. ქვეყნის მასშტაბით დაფინანსდა გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების, ფილტვის ქრონიკულ დაავადებათა, დიაბეტის სამკურნალო და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვა (2.7 მლნ ლარი);
- იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (არსებულ უბნებში) შენობების, წყალმომარაგების სისტემის, საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის, სანიაღვრე არხების, სასმელი წყლის შიდაკომუნიკაციური ქსელების, გზებისა და შიდა ქუჩების რეაბილიტაციაზე, ახალი საცხოვრებელი უბნის მშენებლობაზე, ასევე საცხოვრებელი სახლებისა და ბინების შეძენა/რეაბილიტაციაზე მიმართული იქნა 127.2 მლნ ლარი;
- ქვეყნის მასშტაბით არსებული ორი ათასზე მეტი საჯარო და 240-მდე კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაფინანსებლად მიიმართა 575.7 მლნ ლარი;
- უზრუნველყოფილ იქნა 1.2 ათასზე მეტი საჯარო სკოლის 71.0 ათასამდე მოსწავლის უფასო ტრანსპორტირება სკოლაში, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტში, სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და სკოლამდე მისასვლელი მანძილი შორია, ამ მიზნით მიიმართა 17.0 მლნ ლარი;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიიმართა 116.4 მლნ ლარი (მათ შორის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხაზით - 25.5 მლნ ლარი), ხოლო ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს პროექტის ფარგლებში - 100.9 მლნ ლარი.
- ქვეყნის მასშტაბით, სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და სპორტული ინფრასტრუქტურის განახლებაზე მიმართულ იქნა 42.1 მლნ ლარი.
- მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით მიმართულ იქნა 70.0 მლნ ლარი, ხოლო საქართველოს ენერგოსისტემის გასაუმჯობესებლად -123.9 მლნ ლარი;
- სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაციის, წყალსაცავების მშენებლობის, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექპლუატაციის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, მანქანა მექანიზმების, მოწყობილობების, დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების შეძენის, ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესების მიზნით მიიმართა 106.5 მლნ ლარი;
- შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა მეწარმეთა უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით, პროექტში მონაწილე კომერციული ბანკების და საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება, დადგენილი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. სულ გაცემულია 2 364 სესხი 276.3 მლნ ლარის და 36 სესხი - 4.4 მლნ აშშ დოლარის ოდენობით.
- აზიური ფაროსანას პირველი და მეორე თაობის წინააღმდეგ ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართა 30.9 მლნ ლარი;
- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე გზების მოვლა-შენახვაზე, ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობაზე დახარჯულ იქნა 873.8 მლნ ლარი;
- სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახარჯულ იქნა 291.9 მლნ ლარი;

- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციისათვის მიმართულ იქნა 184.3 მლნ ლარი;
- „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ გაფორმდა ხელშეკრულებები 162 ბენეფიციარ კომპანიასთან კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსებზე. აღნიშნულ კომპანიებზე კომერციული ბანკებიდან დამტკიცებულმა სესხის მოცულობამ შეადგინა 197.9 მლნ ლარი, ხოლო კომპანიების მხრიდან განსახორციელებელი ჯამური ინვესტიციის მოცულობამ გადააჭარბა 392.9 მლნ ლარს;
- სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციასა და აღჭურვაზე მიიმართა 20.6 მლნ ლარზე მეტი;
- „საბანკო კრედიტის/სესხის საქართველოს ეროვნულ ვალუტაში კონვერსიისა და საქართველოს მთავრობის მიერ სუბსიდირების განხორციელების სახელმწიფო პროგრამით“ ისარგებლა 5 614 ბენეფიციარმა. გალარებული სესხების პორტფელმა შეადგინა 78.6 მლნ აშშ დოლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან განხორციელდა 15.7 მლნ ლარის სუბსიდირება;

## საქართველოს 2018 წლის ნაერთი ბიუჯეტის მოსალოდნელი მაჩვენებლები

**ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების** მოცულობა 2018 წელს განისაზღვრა 11 724.3 მლნ ლარით, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 28.1%-ს გაუტოლდა.

გადასახადების მოსალოდნელი მოცულობა განისაზღვრა 10 500.0 მლნ ლარით, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 25.2%-ს შეადგენს. მათ შორის:

- საშემოსავლო გადასახადის მოსალოდნელი მაჩვენებელი შეადგენს 3 199.0 მლნ ლარს.
- მოგების გადასახადის მოსალოდნელი მაჩვენებელი შეადგენს 722 000.0 მლნ ლარს.
- დამატებული ღირებულების გადასახადის მოსალოდნელი მაჩვენებელი შეადგენს 4 512.0 მლნ ლარს.
- აქციზის მოსალოდნელი მაჩვენებელი შეადგენს 1 472.0 მლნ ლარს.
- იმპორტის გადასახადის მოსალოდნელი მაჩვენებელი შეადგენს 76.0 მლნ ლარს.
- ქონების გადასახადის მოსალოდნელი მაჩვენებელი შეადგენს 429.0 მლნ ლარს.
- სხვა გადასახადის მოსალოდნელი მაჩვენებლი 90.0 მლნ ლარს.

**გრანტების** საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 419.3 მლნ ლარით, რაც მშპ-ს მიმართ 1.0%-ს შეადგენს;

**სხვა შემოსავლების** საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 805.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ს მიმართ 1.9%-ს შეადგენს;

**არაფინანსური აქტივების** კლებიდან მისაღები თანხების მოცულობა განისაზღვრა 180.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ს 0.4%-ია.

**ფინანსური აქტივების** კლებით მისაღები თანხების მოცულობა განისაზღვრა 75.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ს 0.2%-ია.

**ვალდებულებების ზრდის** მოცულობა განისაზღვრა 1 986.7 მლნ ლარით, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 4.8%-ია.

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით 2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოსაყოფი ასიგნებები სხვადასხვა სფეროების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- *სოციალური სფერო - 2 682.0 მლნ ლარი,*
- *განათლება - 1 236.6 მლნ ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 1 087.0 მლნ ლარი;*
- *ტრანსპორტი - 1 363.8 მლნ ლარი;*
- *ენერგეტიკა - 18.2 მლნ ლარი;*
- *დასვენება, კულტურა, სპორტი, რელიგია - 324.4 მლნ ლარი;*
- *თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 1 844.9 მლნ ლარი.*

- მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისთვის გამოყოფილია 1 700.0 მლნ ლარი;
- სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციართა სოციალური დახმარებებისთვის გამოყოფილია 680.0 მლნ ლარი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის გათვალისწინებულია 983.4 მლნ ლარი, მათ შორის საყოველთაო ჯანდაცვისათვის - 704.0 მლნ ლარი.
- 2018 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის დაგეგმილია 1 310.8 მლნ ლარის მიმართვა;
- რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის, აგრეთვე წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციისათვის და მყარი ნარჩენების მართვაზე მიიმართება 540.6 მლნ ლარი;
- სხვადასხვა რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიიმართება 260.0 მლნ ლარი, ხოლო მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებულია - 20.0 მლნ ლარი.
- მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობაზე მიმართული იქნება 41.7 მლნ ლარი;
- სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია და აგროსექტორის განვითარებისათვის მიიმართება 61.7 მლნ ლარი, შეღავათიანი აგროკრედიტების გაცემის მიზნით - 45.0 მლნ ლარი, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მიზნით - 25.1 მლნ ლარი.
- იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის გამოყოფილია 77.2 მლნ ლარზე მეტი;
- კულტურასა და სპორტის სფეროში ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდასაჭერად გათვალისწინებულია 20.2 მლნ ლარი;
- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის გათვალისწინებულია 52.1 მლნ ლარი;
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად მიიმართება 598.9 მლნ ლარი.
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიიმართება 97.2 მლნ ლარი (მათ შორის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხაზით - 26.2 მლნ ლარი), ხოლო ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს პროექტის ფარგლებში - 101.0 მლნ ლარზე მეტი.
- საქართველოს ენერგოსისტემის გასაუმჯობესებლად გამოყოფილია 74.3 მლნ ლარი;
- სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციასა და აღჭურვაზე მიიმართება 25.0 მლნ ლარი.

## 2018 წლის 8 თვის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესრულება

*მლნ ლარი*

| | 2018 წლის გეგმა | 8 თვე ფაქტი | % შესრულება |
|---|---|---|---|
| **შემოსავლები** | **11,470.0** | **7,664.9** | **66.8%** |
| გადასახადები | 10,260.0 | 6,808.5 | 66.4% |
| გრანტები | 460.0 | 293.2 | 63.7% |
| სხვა შემოსავლები | 750.0 | 563.1 | 75.1% |

- **გადასახადების სახით** მობილიზებულია 6 808.5 მლნ ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (10 260.0 მლნ ლარი) 66.4%-ია.
- **გრანტების სახით** მობილიზებულია 293.2 მლნ ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (460.0 მლნ ლარი) 63.7%-ია.
- **სხვა შემოსავლების სახით** მობილიზებულია 563.1 მლნ ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (750.0 მლნ ლარი) 75.1%-ია.
- **არაფინანსური აქტივების** კლებიდან მობილიზებულ იქნა 126.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (150.0 მლნ ლარი) 84.1%-ია.
- **ფინანსური აქტივების** კლებიდან მობილიზებულ იქნა 45.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (70.0 მლნ ლარი) 64.7%-ია.
- **ვალდებულებების ზრდის** შედეგად მობილიზებულმა თანხამ შეადგინა 649.3 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 32.8%-ს შეადგენს, მათ შორის სახელმწიფო საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებული სახსრები შეადგენს 154.6 მლნ ლარს, (წლიური გეგმის 38.7%) საგარეო წყაროებიდან მიღებული საინვესტიციო გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები 307.8 მლნ. ლარს (წლიური გეგმის 24.9%), ხოლო ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები 186.9 მლნ. ლარს (წლიური გეგმის 53.4%).

## საქართველოს 2019-2022 წლების შემოსულობების პროგნოზი

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა ფისკალურ სფეროში გასატარებელი ღონისძიებებიდან გამომდინარე მოსალოდნელი ცვლილებები და მის მიერ გამოწვეული შესაძლო შედეგები. პროგნოზული გათვლებით, 2019 წლისთვის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის წილი მშპ-სთან 27.4%-ის, ხოლო გადასახადების წილი 24.8%-ის დონეზე იქნება. 2020-2022 წლების ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი მშპ-ს მიმართ საშუალოდ 26.8%, ხოლო საგადასახადო შემოსავლების წილი საშუალოდ 24.5%-ის დონეზეა ნავარაუდევი.

2019 წელს ნაერთი ბიუჯეტის სხვა შემოსავლების წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ სავარაუდოდ 1.9%-ს გაუტოლდება, ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მისაღები თანხების მოცულობა მშპ-თან მიმართებაში შესაბამისად 0.3 და 0.2 პროცენტი იქნება.

# ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2017 წლის ფაქტი | | | 2018 წლის ახალი პროგნოზი | | | 2019 წლის პროგნოზი | | | 2020 წლის პროგნოზი | | | 2021 წლის პროგნოზი | | | 2022 წლის პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები |
| **შემოსავლები** | **10,921.1** | **9,750.3** | **2,117.2** | **11,724.3** | **10,614.3** | **2,040.0** | **12,366.7** | **10,346.7** | **2,352.1** | **13,270.0** | **11,130.0** | **2,490.0** | **14,200.0** | **12,010.0** | **2,590.0** | **15,340.0** | **12,930.0** | **2,860.0** |
| გადასახადები | 9,778.9 | 8,991.3 | 787.6 | 10,500.0 | 9,730.0 | 770.0 | 11,200.0 | 9,565.0 | 1,635.0 | 12,100.0 | 10,350.0 | 1,750.0 | 13,000.0 | 11,160.0 | 1,840.0 | 14,000.0 | 12,040.0 | 1,960.0 |
| გრანტები | 350.6 | 350.6 | 944.5 | 419.3 | 419.3 | 930.0 | 331.7 | 331.7 | 332.1 | 330.0 | 330.0 | 350.0 | 300.0 | 350.0 | 350.0 | 340.0 | 340.0 | 450.0 |
| სხვა შემოსავლები | 791.6 | 408.4 | 385.1 | 805.0 | 465.0 | 340.0 | 835.0 | 450.0 | 385.0 | 840.0 | 450.0 | 390.0 | 900.0 | 500.0 | 400.0 | 1,000.0 | 550.0 | 450.0 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| **ხარჯები** | **9,194.4** | **8,628.2** | **1,247.9** | **9,590.0** | **9,215.0** | **1,305.0** | **10,196.3** | **8,820.0** | **1,405.0** | **10,560.0** | **9,145.0** | **1,445.0** | **10,909.0** | **9,394.0** | **1,545.0** | **11,835.0** | **10,170.0** | **1,705.0** |
| შრომის ანაზღაურება | 1,648.9 | 1,385.4 | 263.5 | 1,710.0 | 1,420.0 | 290.0 | 1,763.8 | 1,473.8 | 290.0 | 1,810.0 | 1,490.0 | 320.0 | 1,865.0 | 1,535.0 | 330.0 | 2,020.0 | 1,670.0 | 350.0 |
| საქონელი და მომსახურება | 1,535.7 | 1,248.4 | 287.3 | 1,505.0 | 1,210.0 | 295.0 | 1,548.0 | 1,218.0 | 330.0 | 1,595.0 | 1,255.0 | 340.0 | 1,640.0 | 1,280.0 | 360.0 | 1,780.0 | 1,370.0 | 410.0 |
| პროცენტი | 481.5 | 476.6 | 9.2 | 560.0 | 550.0 | 10.0 | 639.0 | 624.0 | 15.0 | 650.0 | 640.0 | 10.0 | 645.0 | 635.0 | 10.0 | 710.0 | 700.0 | 10.0 |
| სუბსიდიები | 870.5 | 486.3 | 384.2 | 855.0 | 465.0 | 390.0 | 906.0 | 456.0 | 450.0 | 910.0 | 490.0 | 420.0 | 934.0 | 504.0 | 430.0 | 1,000.0 | 530.0 | 470.0 |
| გრანტები | 64.2 | 735.7 | 5.9 | 80.0 | 1,000.0 | 10.0 | 127.4 | 141.1 | 15.0 | 115.0 | 130.0 | 15.0 | 145.0 | 150.0 | 25.0 | 155.0 | 170.0 | 25.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 3,544.0 | 3,324.3 | 219.7 | 3,730.0 | 3,500.0 | 230.0 | 4,023.7 | 3,773.7 | 250.0 | 4,260.0 | 4,000.0 | 260.0 | 4,430.0 | 4,130.0 | 300.0 | 4,840.0 | 4,500.0 | 340.0 |
| სხვა ხარჯები | 1,049.6 | 971.5 | 78.1 | 1,150.0 | 1,070.0 | 80.0 | 1,188.4 | 1,133.4 | 55.0 | 1,220.0 | 1,140.0 | 80.0 | 1,250.0 | 1,160.0 | 90.0 | 1,330.0 | 1,230.0 | 100.0 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| საოპერაციო სალდო | **1,726.7** | **1,122.1** | **869.3** | **2,134.3** | **1,399.3** | **735.0** | **2,170.4** | **1,526.7** | **947.1** | **2,710.0** | **1,985.0** | **1,045.0** | **3,291.0** | **2,616.0** | **1,045.0** | **3,505.0** | **2,760.0** | **1,155.0** |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | **2,084.4** | **1,642.3** | **706.8** | **2,674.5** | **1,962.5** | **712.0** | **3,012.2** | **2,545.6** | **770.0** | **3,710.0** | **3,080.0** | **950.0** | **4,300.0** | **3,620.0** | **1,050.0** | **4,660.0** | **3,920.0** | **1,150.0** |
| ზრდა | 2,313.8 | 1,739.9 | 838.6 | 2,854.5 | 2,052.5 | 802.0 | 3,152.2 | 2,605.6 | 850.0 | 3,840.0 | 3,160.0 | 1,000.0 | 4,430.0 | 3,700.0 | 1,100.0 | 4,790.0 | 4,000.0 | 1,200.0 |
| კლება | 229.4 | 97.6 | 131.8 | 180.0 | 90.0 | 90.0 | 140.0 | 60.0 | 80.0 | 130.0 | 80.0 | 50.0 | 130.0 | 80.0 | 50.0 | 130.0 | 80.0 | 50.0 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| მთლიანი სალდო | **-357.7** | **-520.2** | **162.5** | **-540.2** | **-563.2** | **23.0** | **-841.8** | **-1,018.9** | **177.1** | **-1,000.0** | **-1,095.0** | **95.0** | **-1,009.0** | **-1,004.0** | **-5.0** | **-1,155.0** | **-1,160.0** | **5.0** |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | **794.5** | **640.4** | **215.1** | **669.9** | **660.9** | **24.0** | **364.2** | **207.1** | **187.1** | **550.0** | **455.0** | **120.0** | **286.0** | **281.0** | **30.0** | **340.0** | **325.0** | **40.0** |
| ზრდა | 1,050.0 | **905.6** | **224.5** | 880.9 | **750.9** | **170.0** | 581.6 | **434.5** | **187.1** | 640.0 | **550.0** | **130.0** | 410.0 | **410.0** | **40.0** | 450.0 | **440.0** | **50.0** |

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | | | 2018 წლის ახალი პროგნოზი | | | 2019 წლის პროგნოზი | | | 2020 წლის პროგნოზი | | | 2021 წლის პროგნოზი | | | 2022 წლის პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები |
| კლება | 255.5 | 265.2 | 9.4 | 211.0 | 90.0 | 146.0 | 217.4 | 227.4 | 0.0 | 90.0 | 95.0 | 10.0 | 124.0 | 129.0 | 10.0 | 110.0 | 115.0 | 10.0 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| **ვალდებულების ცვლილება** | **1,152.2** | **1,160.6** | **52.6** | **1,210.1** | **1,224.1** | **1.0** | **1,206.0** | **1,226.0** | **10.0** | **1,550.0** | **1,550.0** | **25.0** | **1,295.0** | **1,285.0** | **35.0** | **1,495.0** | **1,485.0** | **35.0** |
| ზრდა | 1,651.7 | 1,651.7 | 80.1 | 1,986.7 | 1,986.7 | 40.0 | 2,160.0 | 2,160.0 | 40.0 | 2,400.0 | 2,400.0 | 40.0 | 3,410.0 | 3,400.0 | 50.0 | 2,460.0 | 2,450.0 | 50.0 |
| *საგარეო* | *1,252.1* | *1,252.1* | | *1,586.7* | *1,586.7* | | *1,660.0* | *1,660.0* | | *1,900.0* | *1,900.0* | | *2,900.0* | *2,900.0* | | *1,950.0* | *1,950.0* | |
| *საშინაო* | *399.6* | *399.6* | *80.1* | *400.0* | *400.0* | *40.0* | *500.0* | *500.0* | *40.0* | *500.0* | *500.0* | *40.0* | *510.0* | *500.0* | *50.0* | *510.0* | *500.0* | *50.0* |
| კლება | 499.5 | 491.1 | 27.5 | 776.6 | 762.6 | 39.0 | 954.0 | 934.0 | 30.0 | 850.0 | 850.0 | 15.0 | 2,115.0 | 2,115.0 | 15.0 | 965.0 | 965.0 | 15.0 |
| *საგარეო* | *454.0* | *454* | | *727.6* | *727.6* | | *890.0* | *890.0* | | *805.0* | *805.0* | | *2,070.0* | *2,070.0* | | *920.0* | *920.0* | |
| *საშინაო* | *45.5* | *37.1* | *27.5* | *49.0* | *35.0* | *39.0* | *64.0* | *44.0* | *30.0* | *45.0* | *45.0* | *15.0* | *45.0* | *45.0* | *15.0* | *45.0* | *45.0* | *15.0* |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| **ბალანსი** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| მოდიფიცირებული დეფიციტი (IMF პროგრამის დეფინიცია) | -2.9% | -3.4% | 0.0% | -2.8% | -2.5% | -0.3% | -2.6% | -3.0% | 0.3% | -2.5% | -2.6% | 0.1% | -2.5% | -2.5% | -0.1% | -2.5% | -2.5% | 0.0% |

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრული პარამეტრების გათვალისწინებით:

ა) 2019 წელს საქართველოს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო განისაზღვრება 942.0 მლნ ლარით, რაც პროგნოზირებული მშპ-ის 2.1% შეადგენს (დადგენილი ზღვარი მშპ-ის 3%);

ბ) 2019 წლის ბოლოსათვის მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა განისაზღვრება მშპ-ის 42.2%-ით (დადგენილი ზღვარი 60%).

## მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების და რიცხოვნობის ზღვრული მოცულობები, მათ მიერ დაგეგმილი პროგრამები და მათი დაფინანსება

*ათასი ლარი*

| დასახელება | მომუშავეთა რიცხოვნობები | 2019 წელი | 2020 წელი | 2021 წელი | 2022 წელი |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები | 1,126 | 64,736.0 | 67,485.0 | 76,369.0 | 79,699.0 |
| საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია | 140 | 9,800.0 | 9,800.0 | 9,800.0 | 9,800.0 |
| საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი | 13 | 750.0 | 750.0 | 750.0 | 750.0 |
| საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია | 227 | 15,800.0 | 15,800.0 | 15,800.0 | 15,800.0 |
| სახელმწიფო აუდიტის სამსახური | 353 | 16,170.8 | 16,656.0 | 17,156.0 | 17,671.0 |
| საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია | 531 | 27,487.1 | 71,441.0 | 72,721.0 | 31,309.0 |
| საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო | 73 | 4,150.0 | 4,150.0 | 4,150.0 | 4,150.0 |
| საქართველოს უზენაესი სასამართლო | 184 | 9,000.0 | 9,500.0 | 10,000.0 | 10,500.0 |
| საერთო სასამართლოები | 1,739 | 73,000.0 | 73,000.0 | 73,000.0 | 73,000.0 |
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო | 93 | 3,750.0 | 4,000.0 | 4,250.0 | 4,500.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში | 30 | 870.0 | 870.0 | 870.0 | 870.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში | 31 | 625.0 | 625.0 | 625.0 | 625.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში | 31 | 780.0 | 780.0 | 780.0 | 780.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში | 25 | 735.0 | 735.0 | 735.0 | 735.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში | 31 | 625.0 | 625.0 | 625.0 | 625.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში | 31 | 620.0 | 620.0 | 620.0 | 620.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში | 25 | 610.0 | 610.0 | 610.0 | 610.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, | 30 | 865.0 | 865.0 | 865.0 | 865.0 |

| დასახელება | მომუშავეთა რიცხოვნობები | 2019 წელი | 2020 წელი | 2021 წელი | 2022 წელი |
|---|---|---|---|---|---|
| თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში | | | | | |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში | 30 | 630.0 | 630.0 | 630.0 | 630.0 |
| საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური | 3,850 | 134,000.0 | 134,000.0 | 134,000.0 | 131,000.0 |
| საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური | 4,573 | 87,600.0 | 87,600.0 | 87,600.0 | 87,600.0 |
| შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი | 45 | 2,850.0 | 2,850.0 | 2,850.0 | 2,850.0 |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | 5,070 | 91,000.0 | 91,000.0 | 91,000.0 | 91,000.0 |
| საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | 753 | 202,850.0 | 203,270.0 | 203,270.0 | 203,270.0 |
| საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო | 342 | 617,900.0 | 792,000.0 | 802,700.0 | 804,700.0 |
| საქართველოს იუსტიციის სამინისტრო | 5,166 | 182,795.0 | 178,155.0 | 178,155.0 | 178,455.0 |
| საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | 2,637 | 3,863,070.0 | 4,163,800.0 | 4,263,800.0 | 4,363,800.0 |
| საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | 769 | 127,000.0 | 127,000.0 | 127,000.0 | 127,000.0 |
| საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | 41,896 | 790,000.0 | 871,100.0 | 958,500.0 | 1,053,900.0 |
| საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | 24,846 | 643,500.0 | 643,500.0 | 643,500.0 | 643,500.0 |
| საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 3,496 | 269,065.0 | 275,310.0 | 280,850.0 | 300,850.0 |
| საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | 8,263 | 1,439,655.0 | 1,615,791.0 | 1,655,819.0 | 1,711,000.0 |
| საქართველოს პროკურატურა | 860 | 36,000.0 | 36,000.0 | 36,000.0 | 36,000.0 |
| საქართველოს დაზვერვის სამსახური | | 13,500.0 | 15,000.0 | 16,500.0 | 18,000.0 |
| სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო | 36 | 1,600.0 | 1,600.0 | 1,600.0 | 1,600.0 |
| სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური | 211 | 6,400.0 | 6,500.0 | 6,500.0 | 6,800.0 |
| სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური | 110 | 6,300.0 | 6,300.0 | 6,300.0 | 6,300.0 |
| სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური | 31 | 2,150.0 | 2,150.0 | 2,150.0 | 2,150.0 |
| ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი | 7 | 260.0 | 260.0 | 260.0 | 260.0 |
| საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური | 3,634 | 55,500.0 | 55,500.0 | 55,500.0 | 55,500.0 |
| საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი | 123 | 6,400.0 | 6,400.0 | 6,750.0 | 7,100.0 |
| სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი | | 58,500.0 | 63,210.0 | 68,360.0 | 74,290.0 |
| სსიპ – კონკურენციის სააგენტო | 43 | 2,200.0 | 2,500.0 | 2,500.0 | 2,500.0 |
| ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია | 85 | 2,460.0 | 2,460.0 | 2,460.0 | 2,460.0 |
| საქართველოს საპატრიარქო | | 25,000.0 | 25,000.0 | 25,000.0 | 25,000.0 |
| სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო | | 4,200.0 | 4,200.0 | 4,200.0 | 4,200.0 |

| დასახელება | მომუშავეთა რიცხოვნობები | 2019 წელი | 2020 წელი | 2021 წელი | 2022 წელი |
|---|---|---|---|---|---|
| სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი | 214 | 9,500.0 | 9,500.0 | 9,500.0 | 9,500.0 |
| სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია | 167 | 4,000.0 | 4,000.0 | 4,000.0 | 4,000.0 |
| საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა | 51 | 1,120.0 | 1,120.0 | 1,120.0 | 1,120.0 |
| სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო | 22 | 5,330.0 | 5,330.0 | 5,330.0 | 5,330.0 |
| პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი | 43 | 2,000.0 | 2,100.0 | 2,200.0 | 2,200.0 |
| სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი | 14 | 500.0 | 500.0 | 500.0 | 500.0 |
| კერძო და საჯარო თანამშრომლობის ორგანო | | 500.0 | 500.0 | 500.0 | 500.0 |
| სსიპ - საპენსიო სააგენტო | | 1,000.0 | 1,000.0 | 1,000.0 | 1,000.0 |

## საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები

*საკანონმდებლო საქმიანობა*

საქართველოს საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება;

ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლი და სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზება;

კონსტიტუციური პრინციპების შესაბამისად, ქვეყნის სრული პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა, ქვეყნის მართვა-გამგეობაში პოლიტიკური ძალების ფართოდ წარმოდგენა;

მოქალაქეთა მდგომარეობის გაუმჯობესების, ქვეყნის მდგრადი განვითარების და ცხოვრების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა;

საპარლამენტო საქმიანობის ღიაობა, ინფორმაციის გამჭირვალობა და ხელმისაწვდომობა;

მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა, ანგარიშვალდებულება;

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;

საჯარო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა.

*საბიბლიოთეკო საქმიანობა*

საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება, სისტემატური შევსება, დაცვა და მათი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

მონაცემთა ბაზების შექმნა და საზღვარგარეთის საბიბლიოთეკო ფონდების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზება ბიბლიოთეკათმცოდნეობის, წიგნთმცოდნეობის და ბიბლიოგრაფიის დარგებში;

საერთაშორისო საბიბლიოთეკო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

საბიბლიოთეკო დარგში ინოვაციური პროცესების მართვის ხელშეწყობა;

საბიბლიოთეკო კადრების კვალიფიკაციის ამაღლება;

საქართველოს ეროვნული ელექტრონული ბიბლიოთეკისა და ციფრული მემკვიდრეობის არქივის შექმნა;

ინტერნეტის გამოყენება საბიბლიოთეკო პროცესებსა და მკითხველთა მომსახურებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკის ოფიციალური ვებ-გვერდის სრულყოფა და მხარდაჭერა;

*ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება*

ქვეყანაში ჰერალდიკური ნიშნებისა და სიმბოლოების მოწესრიგება და დამკვიდრება ევროპული სტანდარტების შესაბამისად;

სახელმწიფო ცერემონიების, ოფიციალური ღონისძიებების და სამხედრო აღლუმების ჩატარებისას საჭირო სახელმწიფო სიმბოლოების და სხვა ჰერალდიკური ნიშნების, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებათა ჰერალდიკური ნიშნების, საქართველოს სახელმწიფო სამხედრო და სპეციალურ უწყებათა სპეციალური ფორმის ტანსაცმლის (უნიფორმების) და ემბლემების შექმნასა და გამოყენების წესების დადგენაში მონაწილეობა, სათანადო რეკომენდაციებისა და დასკვნების გაცემა;

საქართველოს ტერიტორიული ჰერალდიკის სისტემური განვითარების უზრუნველყოფა;

ჰერალდიკის საკითხებზე სამოქალაქო განათლების გავრცელების ხელშეწყობა;

ქვეყანაში სახელმწიფო სიმბოლიკის და მისი მნიშვნელობის პოპულარიზაცია;

ჰერალდიკის საკითხებზე ისტორიული მასალების (წყაროების) მოძიება (საქართველოში და მისი ფარგლების გარეთ) და ანალიზი;

სახელმწიფო სიმბოლოებისა და განმასხვავებელი ნიშნების ნიმუშების ჰერალდიკური ექსპერტიზის, აგრეთვე მათი შექმნისა და გამოყენების შესახებ დასკვნების მომზადება.

### შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელება და კოორდინირება, ჩართულობის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება, სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ განხორციელების კოორდინირება, ჩართულობის სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის ხელმძღვანელობა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის წახალისება, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე რეგისტრაციის და სამეწარმეო საქმიანობაში ჩართვის ახალი სტატუს-ნეიტრალური მექანიზმის შექმნის, გამყოფი ხაზების გასწვრივ მომსახურების და ინფრასტრუქტურის განვითარების, ახალი სერვისების დანერგვის და ამოქმედების ხელშეწყობა. ოკუპირებულ

ტერიტორიებზე გარემოს დაცვის ხელშეწყობა; ტერიტორიების მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მასალის და ტექნიკის, მცენარეთა მოვლის საშუალებების მიწოდების და სხვადასხვა პარაზიტებთან/მწერებთან ბრძოლაში დახმარების ხელშეწყობა. საკოორდინაციო მექანიზმის ფუნქციონირების ხელშეწყობა და კოორდინაცია;

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე განათლების ყველა საფეხურისადმი წვდომის გამარტივების, განათლების სისტემაში ჩართვის ახალი სტატუს-ნეიტრალური მექანიზმის შექმნის ხელშეწყობა. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში და საქართველოში მოქმედ საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის გამარტივების და ახალი შესაძლებლობების შექმნის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარების გამარტივების, პროფესიულ განათლებაში ჩართვის ხელშეწყობის, აფხაზური ენის დაცვის და განვითარების ხელშეწყობა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშობლიურ ენაზე განათლების მიღებისა და საერთაშორისო საგანმანთლებლო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა;

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისებისადმი წვდომის გამარტივება და გაუმჯობესება, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობების გაზრდა, ოკუპირებული ტერიტორიებისთვის სხვადასხვა მედიკამენტებისა და სამედიცინო ტექნიკის მიწოდება. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებიდან და საქართველო-ევროკავშირის შორის უვიზო მიმოსვლიდან გამომდინარე ყველა სარგებლისა და შესაძლებლობის შეთავაზება/გაზიარება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისათვის, ცნობიერების ამაღლება ევროინტეგრაციის საკითხებზე. ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობისათვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის ხელმისაწვდომობის და სამოქალაქო აქტების გაცემის გამარტივების ხელშეწყობა;

ჟენევის დისკუსიების მეორე სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელობა; გალში და ერგნეთში გამართული ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრებში მონაწილეობა. საქართველოში და საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში, საერთაშორისო ფორუმებში და ფორმატებში მონაწილეობა, პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობა; შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის საერთაშორისო მხარდაჭერის უზრუნველყოფა, ფინანსური დახმარების მობილიზება;

გამყოფ ხაზებთან მცხოვრები მოსახლეობის დახმარების სახელმწიფო კომისიის თანა-თავმჯდომარეობა;

„სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015 - 2020 წწ. სამოქმედო გეგმის“ განხორციელების კოორდინირება; სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ეფექტურად განხორციელების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის კოორდინირება; კომისიის ფარგლებში არსებული თემატური ჯგუფების მუშაობის წარმართვა;

„სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის“ შუალედური შეფასების მომზადება და წარდგენა;

სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის პროცესში აქტიური კომუნიკაცია/თანამშრომლობა როგორც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან, ისე ეთნიკურ უმრავლესობასთან;

სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში და ამ მიზნით სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამების განხორციელებაში ხელშეწყობა;

ეთნიკური უმცირესობების მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და არაქართულენოვანი ბეჭდვითი მედიის ხელშეწყობა;

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და პოპულარიზაციის, კულტურული მრავალფეროვნების წახალისების და თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა. კონკრეტული კულტურულ-საგანმანათლებლო და ინტერკულტურული პროექტების, პროგრამებისა და ღონისძიებების ხელშეწყობა/განხორციელება;

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებზე საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანიის გამართვა;

რეპატრიანტის სტატუსის მქონე, ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა ფაქტობრივი რეპატრიაციის შემდგომ მიმდინარე პროცესების რეგულირება.

კონფლიქტით დაშორიშორებულ მოსახლეობას შორის  დიალოგის, შერიგებისა და ნდობის აღდგენის მიზნით, საერთო ინტერესებზე დაფუძნებული ორმხრივი პროექტებისა და ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობა; საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან ურთიერთობების კოორდინაცია, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მათი ჩართულობისა და საქმიანობის ხელშეწყობა; საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრების ორგანიზება,

კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების უზრუნველყოფის მიზნით კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილ არასწორ/უარყოფით სტერეოტიპებთან და პროპაგანდასთან გამკლავების, მავთულხლართებისა თუ სხვა ბარიერების, ასევე ხელოვნური დაშორიშორების შედეგად ადამიანთა შორის ჩამოყალიბებული გაუცხოების აღმოფხვრა, გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის საერთო ინტერესების გარშემო გაერთიანება;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულირიფშის რაიონში ოჯახების დაბრუნების პროცესის ხელშეწყობა, ნებაყოფლობით დაბრუნებული მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და  მათი საოჯახო მეურნეობების განვითარების მიზნით მატერიალური დახმარების გაცემა;

ეთნიკური უმცირესობის მიმართ ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება,  ეთნიკური უმცირესობის  უფლებების დაცვის ხელშეწყობა და საზოგადოებაში მათი სრულფასოვანი ინტეგრაცია. მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენციით საქართველოს მიერ აღებული ვალდებულების შესრულების ხელშეწყობა. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიითა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული არაქართულენოვანი მედია საშუალებების, კერძოდ სომხურენოვანი გაზეთის შპს „ვრასტანის“ და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთის შპს „გურჯისტანის“ მხარდაჭერა;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულების შესრულება. 1992-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტთან დაკავშირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და დანარჩენ საქართველოში არსებული სამარხებიდან ექსჰუმირებული ნეშტების ამოცნობის პროცესის ხელშეწყობა და გადმოსვენების ღონისძიებების ორგანიზება;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

*სახელმწიფო ფინანსების მართვა*

მაკროეკონომიკური ანალიზის და პროგნოზირების გასაუმჯობესებლად მეთოდოლოგიის დახვეწა და მისი არეალის გაფართოება, გრძელვადიანი პროგნოზირების გაუმჯობესება, მაკროეკონომიკური განვითარების სცენარების მოდელირების სრულყოფა, ფისკალური რისკების მართვის და შეფასების სისტემის ჩამოყალიბება.

ხარჯების საშუალოვადიანი გეგმებისა და წლიური ბიუჯეტების პროექტების მომზადება, სახელმწიფოს ფუნქციებისა და ვალდებულებების შესასრულებლად სათანადო რესურსების მობილიზებისა და ეფექტურად განაწილების მიზნით.

სახელმწიფო ფინანსების მართვა და ფისკალური წესების შემდგომი რეგულირება სტაბილური ფისკალური პარამეტრების მიღწევის მიზნით, საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო გამოცდილების შესაბამისად.

საბიუჯეტო პროცესის კალენდრით გათვალისწინებული ეტაპების ჯეროვანი შესრულება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებისა და სსიპ/ა(ა)იპ-ების ანგარიშების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშთა სისტემაში და ბიუჯეტის მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში სრულად მოქცევა.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმების შემდგომი ეტაპების დაგეგმვა საბიუჯეტო პროცესის, ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების შემდგომი განვითარების მიზნით (მათ შორის, პროგრამული ბიუჯეტის და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მომზადების კოორდინაცია, საინვესტიციო პროექტების მომზადება/განხორციელების მეთოდოლოგიის პილოტირება/სრულად დანერგვის კოორდინაცია).

საინვესტიციო პროექტების შეფასება და შერჩევაში მონაწილეობა საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის და მეთოდოლოგიის შესაბამისად.

საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემის დანერგვის კოორდინირება სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავ დაწესებულებებში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მუნიციპალიტეტებში.
ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის, საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი სტრუქტურული რეფორმების განხორციელებასა და შესაბამისი სტრატეგიული და სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება.

ფისკალური რისკების შეფასების და ანალიზის სისტემის დანერგვა, ბიუჯეტის წინაშე მდგარი ფისკალური რისკების იდენტიფიცირება, იდენტიფიცირებული ფისკალური რისკების შემცირების და მართვის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება, ფისკალური რისკების შესახებ ანალიტიკური დოკუმენტის მომზადება და საჯაროობის უზრუნველყოფა.

საგადასახადო პოლიტიკის შემდგომი სრულყოფა, მათ შორის საკანონმდებლო ბაზის შემდგომი გაუმჯობესების და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზების მიზნით, გადასახადის გადამხდელებს შორის საგადასახადო ტვირთის უკეთესი განაწილება, მეწარმეთა მოთხოვნებისა და საჭიროებების მაქსიმალურად გათვალისწინება, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, საგადასახადო შემოსავლების სახით ბიუჯეტში სათანადო რესურსის მობილიზების უზრუნველყოფა.

*შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება*

გადამხდელთა კმაყოფილების ხარისხის ამაღლების მიზნით არსებული ელქტრონული სერვისების გაუმჯობესება, მომსახურების ოფისების თანამედროვე სტანდარტებით მოწყობა.

გადამხდელთა მაღალი საგადასახადო კულტურის ჩამოყალიბების მიზნით, საგადასახადო სფეროში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება.

შემოწმების პროცედურებზე ელექტრონული კონტროლის გამარტივების მიზნით აუდიტის პროცესის მართვის ელეტრონული სისტემის დანერგვა.

აუდიტორთა ოპტიმალური რაოდენობის უზრუნველყოფა და მათი კვალიფიკაციის ზრდა.

გადასახადის გადამხდელთა ნებაყოფლობითი გადახდევინების მაჩვენებელის გაზრდისა და საგადასახადო ადმინისტრირების პროცესის გამარტივების მიზნით, საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა და ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავება.

საქონლის გაფორმებასთან და საზღვრის კვეთასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა შესრულების გამარტივება.

არსებული პროგრამული მოდულების დახვეწა და ახალი პროდუქტების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ შემოსავლების სამსახურის ძირითადი ფუნქციების მხარდაჭერას, ინსტიტუციურ განვითარებასა და მდგრადობას.

საბაჟო კონტროლის ეფექტურობის ამაღლება, საბაჟო პროცედურების გამარტივება, საბაჟო ადმინისტრირების გაუმჯობესება/სრულყოფა.

საქართველოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზების პროცესში მონაწილეობის მიღება, ასოცირების დღის წესრიგით და მთავრობის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.

*ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია*

საფინანსო და ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ქვეყანაში ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი გარემოს ხარისხის ამაღლება, კანონიერი სამეწარმეო საქმიანობის დაცვა და სამსახურში მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება.

საქართველოს ეკონომიკურ საზღვრებზე კონტროლის გამკაცრება გადასახადების თავის არიდების ფაქტების აღკვეთის მიზნით. პრევენციული ღონისძიებების გატარება დანაშაულის ჩადენის აღკვეთის მიზნით.

საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში პერსონალის შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცედურების კუთხით დაგროვილი გამოცდილების შესწავლა.

*ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა*

სახელმწიფო ფინანსების მართვის (ელექტრონული) სისტემის (PFMS) და სხვა საინფორმაციოსაკომუნიკაციო ტექნოლოგიების მდგრადობის, უსაფრთხოების და საიმედო ფუნქციონირების უზრუნველყოფა. (მათ შორის: ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის მოდერნიზება და ფუნქციონალური განახლება; სახელმწიფო ხაზინის მომსახურების ელექტრონული სისტემის მოდერნიზება და ფუნქციონალური განახლება; სახელმწიფო ვალის და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემის დანერგვა ფინანსთა სამინისტროში; ადამიანური რესურსების მართვის სისტემის მოდერნიზება, ფუნქციონალური განახლება, დანერგვა და მხარდაჭერა; უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვის ელექტრონული აუქციონის სისტემის მოდერნიზება და ფუნქციონალური განახლება; საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მოდერნიზება, ფუნქციონალური განახლება, დანერგვა და მხარდაჭერა; ბუნებრივი რესურსების მართვის სისტემის მოდერნიზება, ფუნქციონალური განახლება, დანერგვა და მხარდაჭერა; ვებგვერდების და სხვა საინფორმაციო სისტემების შემუშავება, დანერგვა და მხარდაჭერა).

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, ბიზნეს-უწყვეტობის უზრუნველყოფა და ტექნიკური მხარდაჭერა.

ფინანსთა სამინისტროსთვის და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანი IT პროდუქტების, ელექტრონული სერვისებისა და მომსახურების კვლევა/ანალიზი/დანერგვა.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების ხელშეწყობა.

*საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება*

ფინანსთა სამინისტროს სისტემის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლება ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის განხორციელების ხელშეწყობისა და გეგმით გათვალისწინებული სასწავლო პროექტების განხორციელების გზით, ასევე, პროფესიულ განვითარებაზე მიმართული პროგრამების ორგანიზების საშუალებით.

ფინანსთა სამინისტროს სისტემის, ასევე, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების ხელშეწყობა ახალი კადრების შერჩევაში პროფესიული და საკვალიფიკაციო ტესტირების პროცესების ორგანიზების გზით.

ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების ხელშეწყობა მათ დანერგვასთან დაკავშირებული ტრენინგების ორგანიზების საშუალებით.

კერძო სექტორის განვითარების, ასევე, საბიუჯეტო დაფინანსებზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული სასწავლო - შემეცნებითი, სემინარული და საკონფერენციო ტიპის პროექტების განხორციელება.

პროფესიული ცოდნის დონის ამაღლების მიზნით, საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებთან და სასწავლო დაწესებულებებთან ერთად სასწავლო პროგრამების შემუშავება-განხორციელება, მათ შორის, ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად განხორციელებული სასწავლო პროგრამის ფარგლებში.

*ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა*

აუდიტს დაქვემდებარებული სუბიექტების ფინანსური ანგარიშგებაზე სანდოობის ამაღლების მიზნით აუდიტის ზედამხედველობის ეფექტური სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს აუდიტორული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებთან, აუდიტორების პროფესიული განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან, ეთიკის ნორმებთან და ევროდირექტივასთან შესაბამისობას.

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების პორტალის შექმნა „2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013/34/EU დირექტივა გარკვეული კატეგორიის საწარმოების წლიური

ფინანსური ანგარიშგების, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და დაკავშირებული ანგარიშგებების მოთხოვნების გავრცელება ანგარიშვალდებული საწარმოებისთვის“ დირექტივასთან დაახლოების (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, ფინანსური და მმართველობითი ინფორმაციის სანდოობის ზრდა სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების) მიზნით.

*მიქცეული ქონების ეფექტური განკარგვა*

სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული და პრივატიზებული ქონების მიღებიდან რეალიზაციამდე არსებული პროცესების ეფექტურად მართვა.

მოძრავი ქონების განკარგვის გამჭირვალე, კონკურენტული და გამარტივებული პროცესების უზრუნველყოფა.

სასაწყობე ტერიტორიის მოდერნიზაცია ქონების განთავსებისა და სათანადო დონეზე დაცულობის მიზნით.

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, ვებგვერდ eAuction.ge-ს მომხმარებელთათვის სერვისების მიწოდებისა და ქონების განკარგვის პროცედურების გამარტივების მიზნით, ვებ-გვერდის მოდერნიზაციის კუთხით სხვადასხვა ქმედების განხორციელება, ახალი სერვისების დამატება. მოსახლეობაში არსებული სერვისების შესახებ ცნობადობის ამაღლების ხელშეწყობა.

### საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

*ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება*

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის წარმართვა, ანალიზი, პოლიტიკის კოორდინაცია, პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ეკონომიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი მიმართულებების იდენტიფიცირება;

სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება;

ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციების ანლიზი, შესაბამისი ანგარიშების მომზადება და ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული  რეფორმების შემუშავება და განხორციელება, რომელშიც იგულისხმება თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმა საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და კერძო სექტორის განვითარებისთვის;

ეფექტიანი კოორდინაციით მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება;

კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის მიზნით საჯარო-კერძო დიალოგის პლატფორმის ფარგლებში კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობა და აგრეთვე, კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის და სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციების გაუმჯობესების/შენარჩუნების/ ხელშეწყობის მიზნით სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება;

შრომის ბაზრის ტენდენციების შესწავლა და ანალიზი, შესაბამისი კვლევების განხორციელება და შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის შემდგომი განვითარება;

ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის საქართველოს, როგორც საერთაშორისო საინვესტიციო, საკომუნიკაციო, სატრანსპორტო, ლოგისტიკური, ენერგეტიკული, ტექნოლოგიური, ტურისტული და საფინანსო კვანძის პოპულარიზაცია, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის სატრანსპორტო - სატრანზიტო პოტენციალის სრულყოფილ ათვისებას, ეროვნული წარმოების განვითარებას, ესქპორტის ზრდას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვას და საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში ქვეყნის სრულფასოვანი მონაწილეობის ხელშეწყობას;

არსებული საპენსიო სისტემის მოდიფიკაცია და დაგროვებითი საპენსიო სისტემის შემოღება;

ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების, ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადობის ჩამოყალიბების პროცესების დაჩქარება, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების, მეწარმეობის და კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა. ევროპასა და აზიას შორის ფართოზოლოვანი გლობალური ინერნეტ ინფრასტრუქტურის განვითარება;

საფოსტო სფეროს და საფოსტო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, ფოსტის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციების მსოფლიოს საფოსტო სტანდარტების შესაბამისი უნივერსალური საფოსტო მომსახურებების დანერგვა. დანიშნული საფოსტო ოპერატორისთვის ერთიანი საფოსტო წესების დადგენა;

საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება;

საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება;

მშენებლობაში, მრეწველობასა და ტრანსპორტის სფეროებში ენერგოეფექტურობის საკანონმდებლო ბაზის შექმნა და რესურსდამზოგავი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით;

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან დაახლოების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების (2018 წლის 31 დეკემბრიდან დირექტივა 2010/30/EU -ის მოთხოვნების შესრულების ვალდებულება) გატარება და აგრეთვე, დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან ერთად (Danish International Development Agency) „ენერგოეფექტურობისა და მდგარდი ენერგეტიკის

მხარდაჭერა საქართველოში“ პროექტზე მუშაობა, რომელიც ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად ითვალისწინებს საყოფაცხოვრებო მოწყობილობების მიერ ენერგიის მოხმარების აღმნიშვნელი მარკირების სისტემის შემუშავებასა და დანერგვას;

ქვეყნებს შორის ერთიანი სატრანსპორტო სისტემების შექმნის, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, კონკურენტუნარიანი გადაზიდვის ტარიფების დაწესებისა და საბაჟო პროცედურების გამარტივების ხელშეწყობა;

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის სამშენებლო სექტორის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტიციების მოზიდვას, დასაქმების ზრდასა და მოსახლეობის ადგილებზე შენარჩუნებას.

*ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება*

ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ზედამხედველობის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის ტექნიკურ კანონმდებლობასთან (დირექტივები და რეგულაციები) დაახლოებით და ევროპულ ბაზარზე არსებული ზედამხედველობის სისტემის დანერგვით;

მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების უსაფრთხოების დონის ამაღლების ხელშეწყობა შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების დახვეწით;

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების კონტროლით.

*სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება*

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მომსახურების სფეროსა და დიაპაზონის გაფართოება:

ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების (CIB) პროგრამის III ეტაპის - „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის DCFTA-ს ვალდებულებების შემდგომი დანერგვისათვის“ ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში ISO 9001 სტანდარტის შესაბამისად ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ზოგადი პრინციპების დანერგვა და ქვეყნის ეკონომიკური პრიორიტეტების შესაბამისად სტანდარტიზაციის სფეროში ტექნიკური კომიტეტების ჩამოყალიბება;

საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების მიღება საქართველოს სტანდარტებად;

მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის სფეროში საერთაშორისო აღიარების მისაღწევად ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) და ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში (TBT) ნაწილის მოთხოვნების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

*აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება*

შესაბამისობის შემფასებელი პირების აკრედიტაციის სამუშაოების წარმართვა კანონით რეგულირებად და ნებაყოფლობით სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული მოთხოვნების შესაბამისად - შესაბამისობის შეფასების ბაზარზე აკრედიტაციის ახალი მიმართულებების შეთავაზება;

ევროპის აკრედიტაციის რეგიონული ორგანიზაციის - EA-ს მიერ აკრედიტაციის საერთაშორისოდ აღიარებული სფეროების შენარჩუნება და აკრედიტაციის ახალი მიმართულებების აღიარება. აკრედიტაციის სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში აღიარებისთვის დასკვნითი ღონისძიებების განხორციელება;

ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების სრულად განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

*ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა*

საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზარზე;

ახალი ტურისტული პროდუქტის განვითარება და არსებული ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაცია (მარშუტების შემუშავება, პროდუქტის ბეჭდური-საინფორმაციო მასალის მომზადება);

მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება;

ტურისტებისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება;

პროექტ „Check in Georgia“-ს ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით ტურისტულად მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და მხარდაჭერა.

*სახელმწიფო ქონების მართვა*

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მომხმარებელზე ორიენტირებული ხარისხიანი სერვისების შეთავაზების გზით სახელმწიფო ქონების ეფექტური მართვა-განკარგვა;

სახელმწიფო საწარმოთა მართვა;

გამოუყენებელი აქტივების ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვისა და მასზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

სახელმწიფო ქონების განკარგვის პროცესების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით „სოფლიდან გაუსვლელად“ პროექტის განხორციელება;

სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის სრულმასშტაბიანი პროექტის განხორციელება და სახელმწიფო ქონების ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა;

სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობა და დაცვის უზრუნველყოფა;

სვანეთში, გუდაურსა და ბაკურიანში საბაგიროების და სასრიალო ტრასების მშენებლობა და ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც უზრუნველყოფს ტურისტული სეზონის გახანგრძლივებას, ქვეყნის კულტურული ცხოვრების ხელშეწყობას, რეგიონში ეკონომიკური ფონის ამაღლებას მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის.

*მეწარმეობის განვითარება*

კერძო სექტორის, როგორც ეკონომიკური ზრდისა და  განვითარების  მთავარი მამოძრავებელი ძალის, ჩამოყალიბებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა, მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდის ხელშეწყობა და იმ სფეროების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, სადაც კერძო სექტორის შესაძლებლობები სუსტი და შეზღუდულია;

ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და ინკლუზიური ზრდის მისაღწევად მეწარმეობის (მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესის) განვითარება, კერძო სექტორისათვის ფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდა, საქართველოს ეკონომიკის რეგიონალური და გლობალური კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა;

საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, DCFTA-ს მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობების გაზრდა;

ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების და მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქციის შექმნისკენ მიმართული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა;

თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და მომსახურების სფეროს განვითარება, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობას;

ექსპორტის ხელშეწყობისათვის ქართული კომპანიების უცხოურ ბაზრებზე წარდგენა და მათი საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის უზრუნველყოფა, რაც მნიშვნელოვანია უცხოელ იმპორტიორებთან ურთიერთობების დამყარებისათვის. კომპანიებისთვის დახმარების გაწევა ბაზრის კვლევების კუთხით, რომლებიც მათ ხელს უწყობს ექსპორტის დაგეგმვასა და მიზანმიმართულ განვითარებაში. ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიებთან რეგულარული კომუნიკაცია და მათთვის დახმარების გაწევა ექსპორტის დასაგეგმად საჭირო მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებით;

საქართველოს საწარმოო პოტენციალის პოპულარიზაცია მასშტაბური საერთაშორისო მარკეტინგული კამპანიების წარმოებით და პროდუქციის/მომსახურების წარმოჩენით. მეწარმეობის განვითარების

წახალისება, დამწყები და არსებული მცირე და საშუალო საწარმოების სათანადო ხელშეწყობა პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის;

საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის პოპულარიზაცია ქვეყნის გარეთ. მიზნობრივი ბაზრების იდენტიფიცირება, პოტენციურ ინვესტორ კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობა და ინვესტიციების განხორციელებაში დახმარების გაწევა.

*საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება*

საქართველოში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნა, უცხოური გამოცდილების გაზიარება და საქართველოში დანერგვა;

დაგეგმილი/განსახორციელებელი პროექტების შესრულებისათვის საჭირო კვალიფიციური კადრების მომზადება, დასაქმება, მათთვის პროდუქტიული სამუშაო გარემოს შექმნა და განსახორციელებელი პროექტების ადმინისტრაციული რესურსით უზრუნველოფა;

ქვეყნის მასშტაბით ფართოზოლოვანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება.

*ნავთობის და გაზის სექტორის რეგულირება და მართვა*

ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის მოსაპოვებლად ღია საერთაშორისო ტენდერის გამოცხადება შავი ზღვის შელფზე (შავი ზღვის პროექტი) და ხმელეთის თვისუფალ ბლოკებზე;

ნავთობის გადამუშავების, ბუნებრივი გაზის დამუშავების, ნავთობის ტრანსპორტირების ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიის (საქმიანობის ლიცენზია) გაცემა;

ნავთობისა და გაზის სფეროში სტანდარტების შემუშავება;

ნავთობისა და გაზის სფეროში მონაცემებისა და ინფორმაციის ცენტრალური საინფორმაციო ბანკის შექმნა და მართვა;

ნედლი ნავთობისა და/ან ნავთობპროდუქტების მინიმალური სარეზერვო მარაგების უზრუნველყოფის ვალდებულების შესახებ 2009/119 /EC დირექტივის ინპლემენტაცია.

*ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება*

საქართველოს ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავება;

კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ანტიტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობა;

ფრენების უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლება;

აშშ-ს სამხედრო ავიაციის საჰაერო ნავიგაციით და პილოტაჟით უზრუნველყოფა;

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების უზრუნველყოფა;

ქვეყნის მასშტაბით მგზავრთა საჰაერო გადაყვანა რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის.

*ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება*

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ანაზღაურება შესაბამის პერიოდებში, პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის.

*საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი (IBRD)*

საქართველოში ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში ინოვაციების ეკოსისტემის განვითარებას;

რეგიონებში მცხოვრები მეწარმეებისა და  სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა ფართოზოლოვან ინტერნეტში მათი ჩართვის მიზნით;

ინოვაციებზე ორიენტირებული მეწარმეობის ფორმირების ხელშეწყობა;

ინოვაციების საგრანტო დაფინანსება მათი შემდგომი კომერციალიზაციის მიზნით.

*ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EU)*

ენგურჰესის  რეაბილიტაცია;

მდ. ენგურიდან ვარდნილის წყალსაცავში გადამგდები ფარების, ასევე ვარდნილჰესი-2-ზე არხის მარეგულირებელი ფარების და ამწის რეაბილიტაცია;

ენგურის წყალსაცავის ნატანისგან გაწმენდის კონცეფციის შემუშავება და გაწმენდის სამუშაოების ჩატარება.

*სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება*

ქვეყანაში არსებული მაღალი და საშუალო ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების, მათ შორის მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ხაზების მშენებლობა-რეაბილიტაცია;

ენერგოსისტემის მოძველებული ქვესადგურების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა და სხვადასხვა სიმძლავრის ახალი ქვესადგურების მშენებლობა;

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარებისათვის შესაბამისი ელექტროგადამცემი ქსელის მოწყობა.

*მოსახლეობის ელეტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება*

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაზისა და ელექტროენერგიის გარეშე არსებული სოფლების გაზიფიცირება და ელექტროფიცირება;

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოსახლეობისთვის გაზისა და ელექტროენერგიის მიწოდების ხელმისაწვდომობის გაზრდა. დასაქმდება ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სამიზნე რეგიონების მეწარმეობის გამოცოცხლებასა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას.

*საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა*

საერთაშორისო და ნაციონალური საგანმანათლებლო და საზღვაო კანონმდებლობის შესაბამისად უმაღლესი საზღვაო და მომიჯნავე დარგების კვალიფიციური კადრების მომზადება;

სასწავლო პროცესის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით უზრუნველყოფა;

სტუდენტებისთვის მართვისა და კვლევისათვის აუცილებელი ანალიზის უნარ - ჩვევების ჩამოყალიბება.

*ბაქო - თბილისი - ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა- კომპენსაცია*

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა-ახალქალაქი-კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაციის უზრუნველყოფა, რომელიც ხორციელდება ინდივიდუალურად კერძო მესაკუთრეებთან საკომპენსაციო თანხის

შეთავაზების მომზადების და ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარების გზით;

სარკინიგზო მაგისტრალის თოვლით დანამქვრისაგან დამცავი დამატებითი ნაგებობების მშენებლობა.

*ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული ღონისძიებები*

საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის „ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ" გაფორმებული შეთანხმების და „სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და ,,TURKISH ELECTRICITY TRADING AND CONTRACTING CO."-ს შორის გასაფორმებელი ოქმის პროექტის მოწონების შესახებ" საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და თურქეთის ელექტროენერგიით ვაჭრობისა და ხელშემკვრელ კომპანიას (TETAS) შორის გაფორმებული ოქმის საფუძველზე, თურქეთის რესპუბლიკის მიმართ საქართველოს მთავრობის მიერ აღიარებული ელექტროენერგიის დავალიანების (1 000 000 000 კვტ.სთ ელექტროენერგიის) დაბრუნება (2019 წლიდან მომდევნო 17 წლის მანძილზე ყოველწლიურად 50 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგია).

*სასარგებლო წიაღის მართვა და კოორდინაცია*

მიტოვებულ საბადოთა აღრიცხვა/პასპორტიზაცია;

მინერალური რესურსების რაციონალურად მართვის მიზნით, სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისთვის სალიცენზიოდ წინასწარ შერჩეული ობიექტებისათვის გეოსაინფორმაციო პაკეტების მომზადება;

წიაღის სექტორის სტანდარტების და მეთოდოლოგიების შემუშავება და დანერგვა. შესაბამისი მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ცვლილების მომზადება და წარდგენა ინიცირებისთვის. საერთაშორისო გამოცდილების გაზირება/შესწავლა.

*სამოქალაქო ავიაციის სფეროს რეგულირება და მართვა*

„საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ'' (ECAA) შეთანხმების გათვალისწინებული რეგულაციებისა და დირექტივების ქართულ საავიაციო კანონმდებლობაში ასახვა;

საქართველოს საავიაციო დარგისათვის პრიორიტეტული რეგულაციებისა და დირექტივების განსაზღვრა, მათი დანერგვის დროში გაწერა, სამართლებრივი ანალიზი და ამ მიზნით, შესაბამისი დასკვნებისა და წინადადებების შემუშავება;

საქართველოს საავიაციო კანონმდებლობის ჩიკაგოს კონვენციის, მისი დანართებისა და შესწორებების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

*საზღვაო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება*

საქართველოს დროშით მცურავი საშუალებების და საქართველოს ნავსადგურების საზღვაო უსაფრთხოების და უშიშროების უზრუნველყოფა;

სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებსა/კონფერენციებში მონაწილეობის მიღება, საკუთარი ცნობადობის გაზრდისა და საერთაშორისო დონეზე საზღვაო სფეროში არსებული ინოვაციების გაცნობის მიზნით;

საქართველოს, როგორც საზღვაო სახელმწიფოს, იმიჯის ამაღლების მიზნით საქართველოს საერთაშორისო საზღვაო ფორუმის (GIMF) ჩატარება, რომელიც წარმოაჩენს შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე მოვლენებსა და იმ რეფორმებს, რომლებიც საქართველომ განახორციელა საზღვაო დარგში;

ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს (EMSA) აუდიტის წარმატებით გავლა და მეზღვაურთა კვალიფიკაციის/კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების აღიარების შენარჩუნება;

მეზღვაურთა მომზადებისა და სერტიფიცირების სისტემის გამართული ფუნქციონირება;

გემების გრძელ მანძილზე იდენტიფიცირებისა და კვალის დადგენის სისტემის (LRIT) დანერგვა და EMSA-ს სისტემაზე მიერთება;

საქართველოს გემების სახელმწიფო ელექტრონული რეესტრის მოდიფიკაცია;

საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება;

0%-იანი დაკავების კოეფიციენტის მიღწევა ქართული დროშის ქვეშ მცურავ გემებზე;

გემების მოძრაობის მომსახურებისა და გემების მოძრაობის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის ცენტრების (VTS) სრულყოფა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების, საერთაშორისო შეთანხმებების და ნაციონალური კანონების მოთხოვნების შესრულების მიზნით;

საქართველოს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში/ტერიტორიულ ზღვაში უსაფრთხო ნაოსნობის, ძებნა-გადარჩენის და გარემოს დაცვის უზრუნველყოფა საერთაშორისო მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად.

*სახმელეთო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება*

სახმელეთო ტრანსპორტის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადება;

ელექტრონული აღრიცხვის ბაზის სისტემის სრულყოფა;

სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს სპეციალისტთა და მეწარმეთა (მენეჯერები/მძღოლები) გადამზადება;

თანამედროვე სიმულატორების დანერგვა;

საერთაშორისო აქტივობების გაძლიერება;

დარგის მონიტორინგის ეფექტური მექანიზმების შემუშავება;

ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობა;

მენეჯერების მოსამზადებლად თანამედროვე ტრენინგ-ცენტრის მშენებლობა.

*შავ ზღვაში საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაზე (წყლებზე) უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფა*

შავ ზღვაში საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაზე (წყლებზე) თანამედროვე სანავიგაციო საშუალებების და მოწყობილობების მუდმივი ჩანაცვლებისა და განახლების უზრუნველყოფა;

საქართველოს პორტებში გემების უსაფრთხო შესვლა-გამოსვლისთვის მატერიალური საზღვაო სანავიგაციო ნიშნების პარალელურად ალტერნატიული, ვირტუალური სანავიგაციო ნიშნების გამოსახულების გადამცემი სპეციალური პროგრამული სისტემის უზრუნველყოფა და ადგილმდებარეობის განსაზღვრის ცდომილების დასაშვებ ცდომილებამდე დაყვანა სისტემური კორექტირების საშუალებით;

სპეციალიზებული ჰიდროგრაფიული გემი-სახელოსნოს შესყიდვა;

უსაფრთხო ნაოსნობის მხარდასაჭერად სანავიგაციო ქაღალდის და ელექტრონული რუქების ახალი სახეობისა და მასშტაბის განვითარება;

ანაკლიის პორტში უსაფრთხო ნავიგაციის უზრუნველყოფა, ზღვაზე მეტეოროლოგიური მონაცემების მიწოდება და პორტის საზღვაო სანავიგაციო ნიშნებით მარკირება.

## საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

*რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა*

რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და განხორციელების კოორდინაცია, აგრეთვე კომპეტენციის ფარგლებში მისი განხორციელების მონიტორინგი და ანალიზი;

მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის, დეკონცენტრაციის და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპალიტეტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხებზე და მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური გაძლიერებისათვის შესაბამისი წინადადებების შემუშავება;

კომპეტენციის ფარგლებში ადგილობრივი და უცხოური წყაროებით დაფინანსებული რეგიონული პროგრამებისა და პროექტების განხორციელების კოორდინაცია და მათი ეფექტიანობის შეფასება;

კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო რწმუნებულების–გუბერნატორების ადმინისტრაციების და მუნიციპალიტეტების მოხელეთა სწავლების საკითხების კოორდინაცია;

მუნიციპალიტეტების მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის დანერგვა, მათი კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და კოორდინაცია;

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტებისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დარგობრივი ზედამხედველობის უზრუნველყოფა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად;

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში როგორც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კომპეტენციაში შემავალი, ისე სხვა სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობისთვის მიკუთვნებული, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების უზრუნველყოფა, ამ პროექტებით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციის და სხვა სამუშაოების კოორდინაცია, აგრეთვე კომპეტენციის ფარგლებში მათი მონიტორინგი;

კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს წყლით უზრუნველყოფის და მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა და კოორდინაცია;

სამხედრო ძალების სამობილიზაციო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა. მუნიციპალიტეტების მიერ მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინაცია;

არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, მართვა და დახურვა, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა და მართვა (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა);

კომპეტენციის ფარგლებში სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების თაობაზე წინადადებების მომზადება, ღონისძიებათა განხორციელება/განხორციელებაში მონაწილეობა;

სარეკრეაციო ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის I და II სტადიაზე პროექტების შეთანხმება;

ქვეყნის სივრცითი მოწყობის გენერალური სქემის, მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობის გეგმების, დასახლებათა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავების უზრუნველყოფა;

ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური სარგებლის მიღების ხელშეწყობა და ინვესტიციებისთვის მიმზიდველი, სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნა;

„საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსი“-ს პროექტის გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული კანონქვემდებარე აქტების შემუშავება.

*საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები*

საქართველოს საგზაო ქსელის ინტეგრირება საერთაშორისო საგზაო კომუნიკაციების სისტემაში;

ქვეყნის საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა, ავტოსატრანსპორტო დერეფნის განვითარება და საერთაშორისო სატრანზიტო კონკურენტუნარიანობის ზრდა;

სახელმწიფოთაშორისო და რეგიონთაშორისო ავტოსაგზაო კავშირების გაუმჯობესება;

მოსახლეობის გაზრდილი ეკონომიკური აქტივობის, ინტენსიური ავტომობილიზაციის დონისა და გაზრდილი სატრანსპორტო ნაკადების დონესთან საავტომობილო საგზაო ქსელის განვითარების ტემპების შესაბამისობის უზრუნველყოფა.

*რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია*

მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა მომსახურებების შესყიდვა;

სახელმწიფო მნიშვნელობის (ადმინისტრაციული, სტრატეგიული, სამხედრო, პოლიციური და სხვა დანიშნულების) ობიექტების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება;

ნაპირდაცვითი სამუშაოების უზრუნველყოფა;

ქვეყანაში ტურიზმის განვითარების მიზნით სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება;

სამინისტროს მართვაში არსებული საწარმოს საოპერაციო ხარჯებისა და შესაბამისი ფუნქციური დავალებების შესასრულებლად წარმოებული სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა მომსახურებების შესყიდვა;

დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების გატარება, საპროექტო დოკუმენტაციების მომზადება და ანალიზი.

*წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია*

მუნიციპალიტეტებში მოსახლეობისა და დაწესებულებების ეკოლოგიურად სუფთა, გაფილტრული, ზედაპირული გრუნტის წყლების მოხვედრისგან დაცული სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდების რეჟიმით უზრუნველყოფა (კომპეტენციის ფარგლებში);

საქართველოს დიდ ქალაქებსა და სოფლებში წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია (კომპეტენციის ფარგლებში);

მუნიციპალიტეტებში წყალსადენების სათავე ნაგებობების მოწყობა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია (კომპეტენციის ფარგლებში);

ტურისტულ-დასასვენებელ ცენტრებში წყალმომარაგების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (კომპეტენციის ფარგლებში).

*მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა*

მუნიციპალიტეტებში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, მართვა და დახურვა;

ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა და მართვა.

*იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა*

იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ხანგრძლივი საცხოვრებელი პირობების შექმნა და საზოგადოებაში მათი ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაცია.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

*სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება*

ეფექტიანი სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება; საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება; ეროვნულ, ასევე, საერთაშორისო და უცხო ქვეყნების სასამართლოებსა და არბიტრაჟებში სახელმწიფო წარმომადგენლობა; სახელმწიფოსა და სახელმწიფო უწყებების მიერ გასაფორმებელი საერთაშორისო და კერძო ხასიათის (მრავალმილიონიანი ან/და საარბიტრაჟო ინსტიტუტის შემცველი) ხელშეკრულებების სამართლებრივი ექსპერტიზა და ეფექტური უწყებათაშორისი კოორდინაცია;

სამართლის ცალკეული დარგის განვითარების აუცილებლობისა და პერსპექტივების შესწავლა; სამართალშემოქმედებითი საქმიანობის შესრულების მიზნით სამინისტროებისა და დარგობრივი

უწყებების პრობლემატიკის შესწავლა; საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება; სხვადასხვა პრიორიტეტული სფეროს განვითარების მიზნით საკანონმდებლო ინიციატივების, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება; საზღვარგარეთის სახელმწიფოთა კანონმდებლობის შესწავლა და ანალიზი; საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმების შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება; საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან დაახლოებისთვის მომზადებული სახელმძღვანელოს ბოლო რედაქციის დამუშავება და წარდგენა საქართველოს მთავრობისთვის; ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულ ევროკავშირის რეგულაციებთან, გადაწყვეტილებებსა და დირექტივებთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების/ჰარმონიზაციის მიზნით სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სხვადასხვა უწყების მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტების პროექტების და თანმდევი დოკუმენტების სამართლებრივი ექსპერტიზა;

სახელმწიფო წარმომადგენლობა არბიტრაჟებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში კომერციულ და საინვესტიციო დავებზე, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და გაერო-ს სახელშეკრულებო ორგანოებში სახელმწიფოთაშორის ან/და ინდივიდუალურ დავებზე. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობა და მასთან სხვა სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლობის კოორდინირება. ეროვნულ სასამართლოში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ შეტანილ სარჩელებზე სამინისტროს ინტერესების დაცვა, ხოლო ხელისუფლების დაწესებულებების წინააღმდეგ მიმართულ დავებში მონაწილეობა – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციის გათვალისწინებით, საერთაშორისო ორგანიზაციებში წარმომადგენლობა;
სახელმწიფოსა და სახელმწიფო უწყებების მიერ გასაფორმებელი საერთაშორისო და კერძო ხასიათის (მრავალმილიონიანი ან/და საარბიტრაჟო ინსტიტუტის შემცველი) ხელშეკრულებების პროექტების სამართლებრივი შეფასება/ექსპერტიზა მისი საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით და სათანადო დასკვნის პროექტის მომზადება. ხელშეკრულების პროექტის სამართლებრივი შეფასება მასში არსებული სამართლებრივი რისკების კონტექსტში და შესაბამისი დასკვნის პროექტის მომზადება;

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის ადმინისტრირება, ორგანიზაციული და ანალიტიკური მხარდაჭერა, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სექტორული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების ყოველწლიური განახლება, წლიური პროგრესის შესახებ ანგარიშების მომზადება, სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებების შემუშავება; ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და იმპლემენტაციის პროცესში უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაცია, ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის ორ წელში ერთხელ განახლება, პროგრესის და შესრულების შეფასების ანგარიშების მომზადება და გამოქვეყნება, ანტიკორუფციული კუთხით მნიშვნელოვან სხვა საკითხებზე მუშაობა; ეროვნულ დონეზე „ღია მმართველობის პარტნიორობის“ საკოორდინაციო-საკონსულტაციო მექანიზმის – „ღია მმართველობა – საქართველოს“ ფორუმის საქმიანობის ხელშეწყობა; „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფარგლებში დაგეგმილ საერთაშორისო ღონისძიებებში საქართველოს წარმომადგენლობის მონაწილეობის უზრუნველყოფა;

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის გაძლიერებაზე ზრუნვა; გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის,

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციის ხელშეწყობა; ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის პოლიტიკის განსაზღვრა, მისი განხორციელების ხელშეწყობა და მონიტორინგი; ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული დაბალანსებული ნარკოპოლიტიკის შემუშავება; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის საქმიანობის ორგანიზება.

*საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება*

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობის ანალიზისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება და შესაბამის ღონისძიებების გატარება.

პენიტენციური სისტემის ადმინისტრირების სრულყოფა;

პენიტენციური სისტემის კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა;

პენიტენციური სისტემის უნიფორმით, რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით აღჭურვა;

ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია/რესოციალიზაცია (მსჯავრდებულთა შრომაში და პროფესიული/სახელობო, სარეაბილიტაციო სატრენინგო/საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულობის შესაძლებლობის გაზრდით).
ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა სამკურნალწამლო საშუალებებით, მათთვის სპეციალირეზებული სამედიცინო მომსახურების მიწოდება პენიტენციური სისტემის შიგნით და მის გარეთ.

პენიტენციურ სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით დაწესებულებების რემონტი-რეკონსტრუქცია და აღჭურვა შესაბამის მანქანა-დანადგარებით მათი საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით.

*ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა*

ეროვნული საარქივო ფონდის შევსება მატერიალური ან/და ელექტრონულ მატარებელზე გადაყვანილი დოკუმენტებით, საარქივო ფონდის დოკუმენტების ელექტრონული ბაზის ფორმირება და მისი მუდმივი განახლება, დოკუმენტების აღწერა და ცენტრალიზებული აღრიცხვა, ფონდის დოკუმენტების დაცვისა და შენახვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა;

საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ მატარებლებზე გადაყვანა, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტების დედნების დაუზიანებლად შენარჩუნებასა და ეროვნული მეხსიერების დაცულობას, ეროვნული საარქივო

ფონდის დოკუმენტების ელექტრონული ასლების ხელმისაწვდომობას. ადგილობრივ არქივებში დაცული დოკუმენტების გადატანა/განთავსება რეგიონული არქივების გარემონტებულ შენობებში, სადაც საარქივო დოკუმენტების დაცვისა და შენახვის სათანადო პირობებია შექმნილი. შიდა ქართლის რეგიონული არქივის ახალი შენობის მშენებლობა და აღჭურვა;

მოქალაქეზე ორიენტირებული სერვისების დანერგვისა და საარქივო დოკუმენტების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მოქალაქეთა მომსახურების ელექტრონული სისტემის განახლება, გენეალოგიური მონაცემების აღრიცხვის ელექტრონული სისტემა და ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების (ტექსტური, ფოტოფონოვიდეოდოკუმენტები, რუკები) ელექტრონული კატალოგების შექმნა და განვითარება;

ერთიანი ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნისა და ელექტრონული დოკუმენტაციის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით ეროვნული არქივის დაკომპლექტების წყარო ორგანიზაციებიდან და ეროვნული საარქივო ფონდისადმი მიკუთვნებული დოკუმენტების მფლობელი სხვა პირებიდან ელექტრონული დოკუმენტების აღწერის, აღრიცხვისა და არქივირების ავტომატიზებული სისტემის შექმნა.

*საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა და სხვა დაინტერესებული პირების გადამზადება*

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატის, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ებისა და სხვა ორგანიზაციების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, ტრენინგების სრული ციკლის (ტრენინგსაჭიროებათა ანალიზი, დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება) მართვის, აგრეთვე, საკონკურსო და საკვალიფიკაციო ტესტირებათა ორგანიზების საშუალებით;

საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის და ქართული სამართლის საერთაშორისო სამართლის სტანდარტებსა და ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობა სასწავლო პროგრამების განხორციელების გზით;

კერძო სექტორის, ასევე, საბიუჯეტო დაფინანსებზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტესტური დავალებების, ტრენინგმოდულების, სასწავლო კურსებისა და პროგრამების შექმნა და მუდმივად განახლება, მათ შორის, უცხოური სერტიფიცირებული პროგრამების შეძენის გზით;

ტრენინგები სპეციფიკითა და შინაარსით როგორც საჯარო მოხელეების, ისე სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კერძო პირების საჭიროებებზე მორგება, რაც ხელს შეუწყობს მართლშეგნების ამაღლებასა და პიროვნული სამუშაო კომპეტენციების განვითარებას არა მარტო საჯარო სტრუქტურებში, არამედ ფართო საზოგადოებრივ წრეებშიც;

პენიტენციური და პრობაციის სისტემის პერსონალის პროფესიული მომზადება-გადამზადების გზით, ქვეყანაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მიმდინარე რეფორმების, პენიტენციურ სიტემაში ევროპის საბჭოსა და გაეროს სტანდარტების მოთხოვნათა დანერგვისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა.

*ელექტრონული მმართველობის განვითარება*

სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სექტორისა და მოქალაქეებისათვის ელექტრონული სერვისების და მონაცემთა გაცვლის ეფექტიანად და უსაფრთხოდ უზრუნველყოფა ერთი ფანჯრის პრინციპით;

ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის განხორციელება; ინფორმაციული უსაფრთხოების შეღწევადობის (მდგრადობის) ტესტირება; კომპიუტერული ინციდენტების აღმოჩენაზე გამიზნული ქსელური სენსორის დაყენება და მართვა; კიბერუსაფრთხოების საკითხების რეგულირება; ინციდენტებზე დახმარების ეროვნული ჯგუფის მიერ კომპიუტერული ინციდენტების გამოვლენა, პრევენცია და შედეგების მართვა;

მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის გამოყენება, რომლის შემადგენელი კომპონენტებია სამი სახის აპარატურულ-პროგრამული მიმართულება/ინსტრუმენტი: „საქართველოს სამთავრობო კარიბჭე" - ელექტრონული სერვისების მეშვეობით უსაფრთხო გარემოში სხვადასხვა სახის ინფორმაციის გაცვლა; „მოქალაქის პორტალი" - სახელმწიფო და ბიზნესსექტორის მიერ რეალიზებული სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისები, რომლებზეც შესაძლებელია ყველა დაინტერესებული პირის უსაფრთხოდ წვდომა ერთი ფანჯრის პრინციპით და „საერთაშორისო ვაჭრობის მხარდამჭერი სისტემა" - ამ ეტაპზე ინტეგრირებული საკონტეინერო გადაზიდვები და სახმელეთო და საჰაერო გადაზიდვების ეტაპობრივად დამატება; ეროვნული სისტემის ინტეგრირება მსგავსი პროფილის საერთაშორისო სისტემებთან;

ვებგვერდის (data.gov.ge) სრული მხარდაჭერა, რომელზეც სამოქალაქო და ბიზნესსექტორისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი საჯარო, სტრუქტურიზებული ინფორმაცია ქვეყნდება;

ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის – „რეესტრთა რეესტრის პორტალის", ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა. რეესტრის სუბიექტის მონაცემთა ბაზების, რეესტრების, მომსახურებისა და ინფორმაციული სისტემების წარმოების ერთიანი სტანდარტების დადგენისა და შესრულების კოორდინაცია. რეესტრის სუბიექტის მიერ მომსახურების შექმნის, გაუმჯობესებისა და ოპტიმიზაციის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება და წარდგენა, პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება, პირველადი მხარდაჭერის ქსელის აწყობა და სახელმწიფო დაწესებულებების ტრენინგმოდულებით მხარდაჭერა.

*დანაშაულის პრევენცია, პრობაციის სისტემის განვითარება და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია*

ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია/რეაბილიტაცია და დანაშაულის პრევენცია საქართველოში, მათ შორის დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილების ხელშეწყობა, რისკ ჯგუფებთან მუშაობა და დანაშაულის პირველად პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება;

დანაშაულის გამომწვევი რისკფაქტორების შემცირების მიზნით გაუმჯობესდება ბენეფიციარების ფსიქოსოციალური მდგომარეობა, ყოფილი პატიმრების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ხელი შეეწყობა მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებას, მოხდება შრომის ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური ტრენინგების/პროფესიული გადამზადების კურსების შეთავაზება და პოტენციურ დამსაქმებელთან რეკომენდაციების გაწევა,

განრიდება-მედიაციის სფეროს ინსტიტუციური ჩარჩოს დახვეწა, საგრანტო პროგრამების საშუალებით დეფიციტური სერვისების მიწოდება და მათი შემდგომი განვითარება, არასრულწლოვნებში დანაშაულის პირველადი პრევენციის მიზნით ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, მოხალისეობის განვითარება და სამოქალაქო და სამართლებრივი ცნობიერების დონის ამაღლება;

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება; სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება და მათში პრობაციონერების ჩართულობა; მსჯავრდებულთათვის სასჯელის სახედ - შინაპატიმრობის სრულყოფილი აღსრულება - ელექტრონული მონიტორინგის სისტემის საშუალებით.

*იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა*

სახელმწიფო სერვისების მიწოდების მაღალი სტანდარტის შენარჩუნება და შემდგომი გაუმჯობესება, ახალი პროდუქტების/სერვისების დანერგვა და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა და ადმინისტრაციულ პროცედურებზე გაწეული დროითი დანახარჯების შემცირება. დამატებით რამდენიმე კერძო და სახელმწიფო სერვისის ინტეგრაცია: სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს, სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის, ენერგოკომპანიების, სსიპ - შსს მომსახურების სააგენტოსა და კერძო სექტორის სერვისები, ასევე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინა ხაზი. იუსტიციის სახლის სერვისების პოპულარიზაცია, ცნობადობის ამაღლება და იუსტიციის სახლის კონცეფციის ექსპორტი დაინტერესებულ ქვეყნებში;

ინფრასტრუქტურული ხარვეზები აღმოფხვრა, რაც ხელს შეუწყობს იუსტიციის სახლის მომხმარებლებისთვის მომსახურების შეუფერხებელ მიწოდებას;

იუსტიციის სახლის ფილიალების გახსნა დიდ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში (ბოლნისი, ხაშური, ქარელი).

*მიწის ბაზრის განვითარება (WB)*

საქართველოს მთავრობის მიერ შერეჩეულ 12 საპილოტო არეალზე, საჯარო რეესტრის მიერ პროაქტიულად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, მიწაზე უფლებათა რეგისტრაციის დასრულება;

რეგისტრირებულ მონაცემებზე ხარისხის კონტროლის განხორციელება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

მიწაზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციის არსებული პოლიტიკისა და პროცედურების ეფექტურობის შეფასება;

მიწაზე უფლებათა რეგისტრაციის რეგულაციების სამართლებრივი ანალიზი და ხარვეზების გამოვლენა;

მიწის რეგისტრაციის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანერგვა და ამოქმედება;

მიწის რეგისტრაციის ელექტრონული პორტალის დანერგვა და ამოქმედება;

საპილოტო პროექტის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე მიწაზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციის ეროვნული სტრატეგისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

*ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება*

სახელმწიფოს საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა, მათზე გაწეული დანახარჯების შემცირება, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების საშუალებით სახელმწიფოს გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა;

სახელმწიფო უწყებების მომსახურება IT სერვისების სრული სპექტრით, რაც მოიცავს ქსელურ უზრუნველყოფას, ელფოსტის სერვისს, ონლაინკომუნიკაციის საშუალებებს, ტელევიდეოკონფერენციას, დროისა და დავალებების მართვის პროგრამულ უზრუნველყოფას, უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის გატარებას, არასასურველი და მავნე ელექტრონული ფოსტის პროგრამებისა და ვირუსებისგან დაცვას, სახელმწიფო სტრუქტურებისათვის ერთიანი IT მხარდაჭერის ქოლცენტრის შექმნასა და ინციდენტების მართვას, ციფრული ტელეფონიის სერვისს, სახელმწიფო ორგანიზაციებში დასაქმებულთა კომპიუტერული ტექნიკის ადგილზე მომსახურებას და სხვ;

სახელმწიფო ორგანიზაციებში პროცესების ავტომატიზებისა და ელექტრონულ მმართველობაზე გადასვლის მიზნით შესაბამისი კვლევების ჩატარება და კონკრეტული ინოვაციური ბიზნესგადაწყვეტილებების მუშავება, რომლებიც მორგებული იქნება დამკვეთის ბიზნესპროცესებზე. ახალი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და არსებულის გაუმჯობესება;

დანერგილი ქლაუდტექნოლოგიის (ღრუბლოვანი ტექნოლოგია) მიმართულებით ტექნოლოგიის განვითარება როგორც პროგრამული, ისე გამოთვლითი სიმძლავრეებისა და მასშტაბების კუთხით. ქლაუდინფრასტრუქტურით (IaaS) სარგებლობა დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის;

სერვისებზე გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისი საწარმოო შესაძლებლობების ზრდის მიზნით, სათავო ოფისის მშენებლობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე (სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან ფინანსური რესურსების გაერთიანებით).

*სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა*

სახელმწიფო სერვისების განვითარების ხელშეწყობა, ახალი და ინოვაციური სერვისების დანერგვა და აღნიშნული სერვისების ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა;

მრავალმოსახლე და მუნიციპალური ცენტრიდან მოშორებულ სოფლებში საზოგადოებრივი ცენტრების აშენება, რაც საშუალებას მისცემს მოსახლეობას, სოფლიდან გაუსვლელად, მიიღოს როგორც სახელმწიფო (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ეროვნული არქივის, სოციალური მომსახურების სააგენტოს და სხვა), ისე კერძო სექტორის (საბანკო, სატელეკომუნიკაციო და სხვა) მომსახურება. ასევე, მუნიპიცალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული მმართველობის სისტემა (მმს) დანერგვა;

სააგენტოს მონაცემთა ბაზების დახვეწის, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ხელშეწყობის მიზნით, თითოეული მოქალაქის რეგისტრაციის მონაცემების დაკავშირება ახალ მისამართებთან (ფორმირებული მობილური ჯგუფების მიერ საველე სამუშაოების შედეგად თითოეულ მისამართზე რეგისტრირებულ პირთა იდენტიფიცირება) და ამ მისამართების გადატანა სააგენტოს საინფორმაციო სისტემაში; სამოქალაქო აქტების დიგიტალიზაცია და სააგენტოს ბიზნესპროცესების უსაფრთხოების დონის ამაღლება;

ახალი, ცენტრალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება, რომელიც ერთიან ჩარჩოში მოაქცევს სააგენტოში მიმდინარე ყველა ბიზნესპროცესს და შექმნის უფრო თანამედროვე პლატფორმას. სერვისებზე უფრო მაღალი ხელმისაწვდომობის და ახალ მოთხოვნილებებზე სწრაფი რეაგირების მიზნით, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მოდერნიზება და განვითარება;

შემდეგი სახელმწიფო სერვისები - ციფრული ხელმოწერა, ციფრული შტამპი, დროის აღნიშვნა, ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემა და სხვა - დანერგვა და გაუმჯობესება;

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის შესაძლებლობათა განვითარების მიზნით გაგრძელდება კომისიის როგორც ანალიტიკური, ისე ადმინისტრაციული მხარდაჭერა, განხორციელდება მიმდინარე წლის მიგრაციის სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება, შემუშავდება შემდგომი წლების სტრატეგიის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა.

*ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება*

ნორმატიული აქტების სახელმწიფო აღრიცხვა, სისტემატიზაცია და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამართლებრივი სისტემის საჯაროობის უზრუნველყოფა; ნორმატიული აქტებისათვის იურიდიული ძალის მინიჭების მიზნით მათი სრული ტექსტის პირველადი გამოქვეყნება ოფიციალურ ვებგვერდზე (https://matsne.gov.ge);

ხელმისაწვდომი, დაცული, მუდმივად განახლებადი ოფიციალურ ვებგვერდის ადმინისტრირება, სადაც მომხმარებელს შეუძლია, იხილოს საქართველოს ყველა უწყების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადგილობრივი თვითმმართველობის აქტები და საჯარო განცხადებები;

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების განხორციელება და შემდგომ ანგარიშგებასთან დაკავშირებული ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის ქართულ ენაზე თარგმნა, ხოლო საქართველოს კანონმდებლობის/კანონპროექტების – ინგლისურ ენაზე თარგმნა. „SDL Trados Studio"-ს სერვერზე, რომელზეც განთავსებულია ტერმინოლოგიური ბაზა (TB) ახალი დამუშავებული ტერმინების და არსებული გადამოწმებული ტერმინების მუდმივად განთავსება;

დაინტერესებული პირებისა თუ მიზნობრივი ჯგუფების პროფესიული საქმიანობისა და საინფორმაციო მიზნებისათვის სხვადასხვა ნორმატიული აქტის, წიგნისა და იურიდიული ლიტერატურის ბეჭდური ვერსიების გამოცემა.

*სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა*

უძრავ ნივთებზე უფლებათა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და სამისამართო რეესტრების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრისა და მუნიციპალიტეტების რეესტრის ფორმირება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;

ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის (NSDI) შექმნა და განვითარება. მონაცემების გახსნილი, დეცენტრალიზებული, მაგრამ, ამავე დროს, კოორდინირებული მართვა, რომელიც ორიენტირებულია მრავალფუნქციურ მოხმარებასა და გაზიარებაზე. მაღალი ხარისხის ჰარმონიზებული სივრცითი მონაცემების წარმოება და ხელმისაწვდომობა ვებპორტალის (გეოპორტალის) საშუალებით სახელმწიფო უწყებების, ბიზნესსექტორის, აკადემიური წრეებისა და მოქალაქეებისთვის;

ეროვნული სანავიგაციო სისტემის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს სანავიგაციო სისტემის მიმართ შიდა და გარე მომხმარებლების არსებულ მოთხოვნებს და თავსებადი იქნება გლობალურ სანავიგაციო სისტემებთან. მომხმარებლებისთვის ადგილმდებარეობის იდენტიფიცირების გაადვილება, დახმარება დანიშნულების ადგილამდე მისასვლელი ოპტიმალური მარშრუტის შერჩევაში მინიმალური დროის ან მინიმალური მანძილის კრიტერიუმების გათვალისწინებით;

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული იურიდიული პირების სარეგისტრაციო მასალათა დამუშავება, ბაზებში არსებული არაზუსტი მონაცემების შესწორება და ციფრულ მატარებლებზე გადატანა, რაც უზრუნველყოფს სარეგისტრაციო დოკუმენტაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდას, დისტანციური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა დიგიტალიზებული საარქივო დოკუმენტაცია განთავსდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი გახდება ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის;

IT ინფრასტრუქტურის სრულყოფა, რაც უზრუნველყოფს არსებული ელექტრონული სერვისების უწყვეტად და სწრაფად მიწოდებას, ასევე, სამომავლო მზარდი დატვირთვებისთვის ინფრასტრუქტურის გაფართოება;

სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 1 100-მდე თანამშრომლის ცენტრალიზებულად განთავსების და შესაბამისად ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, სათავო ოფისის მშენებლობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე.

*სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებათა ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა*

სააღსრულებო და არასააღსრულებო მომსახურების გაწევის პროცესში მხარეთა კანონიერი ინტერესების რეალიზება მხარეებს შორის ბალანსის მაქსიმალური დაცვით;

სააღსრულებლო მომსახურებები – უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის აღსრულება, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, სარჩელის უზრუნველყოფა და სხვა; არასააღსრულებლო მომსახურებები – გამარტივებული წარმოება, გადახდისუუნარობის საქმისწარმოება, კერძო აღმასრულებელთათვის ლიცენზიის გაცემა და მათთვის სააუქციონო მომსახურების გაწევა, ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით გამარტივებული წარმოება, მესამე პირების მომართვის საფუძველზე ქონების შეფასების მომსახურება, ფაქტების კონსტატაცია;

სააღსრულებო მომსახურების, სააღსრულებო წარმოების პროგრამული უზრუნველყოფის დახვეწა და გაუმჯობესება, „მოძიება-ყადაღა-ინკასო“ ტიპის ელექტრონული კომუნიკაციის ფორმირება ბანკებთან, რომელიც ჩაანაცვლებს მანამდე არსებულ ინფორმაციის ბეჭდური სახით მიმოცვლას. ელექტრონული ინფორმაციის გაცვლა და ელექტრონულად საბანკო ანგარიშებზე შეზღუდვების გავრცელება და მოხსნა სხვადასხვა საბანკო ანგარიშიდან, რაც უფრო გაამარტივებს მონაცემების მიმოცვლას;

დამოუკიდებელი აღმასრულებლებით დაკომპლექტებული აღმასრულებელთა პალატა; გამარტივებული საქმისწარმოების სამსახურის ახალი სერვისების („სასყიდლიანი ხელშეკრულება“ და „სესხის ხელშეკრულება“) დამატება;

აღსრულების პოლიციის საქმიანობის დახვეწა, უკანონო მფლობელობიდან საკუთრების გამოთხოვის (გამოსახლება) და დემონტაჟის საქმეებზე სააღსრულებო წარმოების განხორციელება, გამოსახლებისა და დემონტაჟის რეზონანსულ საქმეებში მხარეთა ინტერესების დაცვის მენეჯერების, სოციალური მუშაკებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მუდმივი ხელმისაწვდომობა;

აღსრულების ეროვნულ ბიუროს საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის სასროლეთის მოწყობა, სადაც სწავლებას გაივლიან აღსრულების პოლიციის სამმართველოს თანამშრომლები. დაყადაღებული ავტომობილებისა და ნივთების სათანადო პირობებში განთავსების მიზნით, საჭიროებიდან გამომდინარე, სხვადასხვა რეგიონში საწყობებისა და ავტოსადგომების აშენება და აღჭურვა ქ. რუსთავში, ქ. ფოთსა და ქ. ახალციხეში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

*ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა*

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მარეგულირებელი აქტების მომზადება და ზედამხედველობა;

სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლი;

სამკურნალო საშუალებების ხარისხზე, მათ მიმოქცევასა და ფარმაცევტულ საქმიანობაზე ზედამხედველობა;

სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კონტროლი;

სამედიცინო პერსონალის სერტიფიცირების პროცესის უზრუნველყოფა;

სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებებზე შესაბამისი ლიცენზიისა და ნებართვის გაცემა;

სადისტრიბუციო ჯაჭვის ადმინისტრაციული კონტროლის განხორციელება, რეალიზატორებისაგან სამკურნალო საშუალებების ნიმუშის შესყიდვა და ლაბორატორიული კვლევა;

სოციალური დახმარებების, პენსიებისა და სხვადასხვა ფულადი და არაფულადი სახელმწიფო ბენეფიტების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა და აღრიცხვა, მათთვის დახმარების დანიშვნა და მისი გაცემის ორგანიზება;

საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ჯანმრთელობის დაცვის სერვისების შეუფერხებელი მიწოდება;

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობისა და სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და მხარდაჭერა. ასევე, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა, ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა/ბავშვთა მოვლა-პატრონობა გრძელვადიან პერიოდში;

საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მართვა;

ქვეყანაში შრომის ბაზრის პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მართვა;

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა და ეკომიგრანტთა, მიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და რეინტეგრაციის მიზნით, მიზნობრივი პროექტების/პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

*მოსახლეობის სოციალური დაცვა*

მოქალაქეთათვის საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზება, მიზნობრივი სოციალური ჯგუფების მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა და მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია პრევენციული, სარეაბილიტაციო, ალტერნატიული, ოჯახის გასაძლიერებელი მომსახურებებით და დამხმარე საშუალებებით;

საპენსიო ასაკის პირთა (ქალებისა – 60 წლიდან, მამაკაცებისა – 65 წლიდან) პენსიით და პირთა სპეციფიკური კატეგორიების (ძალოვანი სტრუქტურების, პროკურატურის, სამოქალაქო ავიაციის მუშაკების, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრების, უმაღლესი რანგის დიპლომატების და სხვათა) სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფა;

სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის საარსებო შემწეობის, მიზნობრივი ჯგუფებისთვის „სოციალური პაკეტის“, დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა შემწეობების, რეინტეგრაციის შემწეობის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ფულადი ბენეფიტების, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების გაცემა დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად; შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირება;

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერებისთვის/„სოციალური პაკეტის“ მიმღებთათვის დანამატის დაფინანსება პენსიის/„სოციალური პაკეტის“ 20 % ოდენობით; დანამატების დაფინანსება სამედიცინო პერსონალისთვის: ექიმისთვის – პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის – პენსიის ერთმაგი ოდენობით; მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები აბონენტებისთვის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის) მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50 % (არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურისა) ანაზღაურება;

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა/სავარაუდო მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვა, სამედიცინო მომსახურების ორგანიზება/მიღების უზრუნველყოფა და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

*მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა*

მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა; დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საფრთხეებისათვის მზადყოფნის და საპასუხო რეაგირების უზრუნველყოფა;

გეგმური და გადაუდებელი ამბულატორიული, გადაუდებელი სტაციონარული და გეგმური ქირურგიული მომსახურება, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია; მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისების დაფინანსება; ბენეფიციართა გარკვეული ჯგუფების (სოციალურად დაუცველთა, საპენსიო ასაკის პირთა, ვეტერანთა და სხვათა) შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფა; მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული სამედიცინო მომსახურება; ინფექციური და პარაზიტული დაავადებების მქონე ავადმყოფთა სტაციონარული სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა;

მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია; დონორული სისხლისაგან დამზადებული სისხლის პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის, იმუნიზაციის, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობა, აგრეთვე ისეთი გადამდები დაავადებების, როგორებიცაა ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, აივ ინფექცია, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლი; C ჰეპატიტის ელიმინაციის ხელშეწყობა; ნარკომანიით დაავადებულ პირთა სამკურნალო და სარეაბილიტაციო მომსახურებით უზრუნველყოფა;

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობის ამბულატორიული, სტაციონარული და სათემო სერვისებით უზრუნველყოფა; დიაბეტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება; თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული პაციენტების დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ინკურაბელური პაციენტების მკურნალობა და ტკივილის მართვის მიზნით, მედიკამენტებით უზრუნველყოფა; იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამედიცინო ტრანსპორტირებისა და სოფლად ამბულატორიული მომსახურების უზრუნველყოფა; ინდივიდუალური რეფერალური დახმარების უზრუნველყოფა; სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება; მიზნობრივი ჯგუფების ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

დონორების მიერ დაფინანსებული მიმდინარე პროგრამების ეტაპობრივად სახელმწიფოს ვალდებულებებში ასახვა;

მაღალმთიანი და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტების, ასევე „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მუნიციპალიტეტებისათვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში საექიმო სპეციალობის მაძიებელთა დიპლომისშემდგომი/სარეზიდენტო

მზადების დაფინანსება, დიპლომისშემდგომი განათლების რეგულირების მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდა.

*სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა*

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჯანდაცვითი ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის განახლება, სამედიცინო დაწესებულებებში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მინიმალური სტანდარტის უზრუნველყოფა;

სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობა და აღჭურვა და ფუნქციონირების ხელშეწყობა.

*შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა*

ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/ განხორციელება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ცნობიერების ამაღლება;

შრომის ბაზარზე, შრომის კანონმდებლობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესწავლა; შრომის დაცვის ნორმების გაუმჯობესება/სრულყოფა და ამის საფუძველზე, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნა;

სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია-კონსულტირება, მომსახურებების განვითარება, შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა დასაქმების ხელშემწყობა;

ავტორიზებულ-აკრედიტირებულ პროფესიულ სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეგისტრირებული სამუშაოს-მაძიებლების მომზადება-გადამზადება;

*იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა*

საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარება;

ეკომიგრანტების საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფა;

დევნილთა გრძელვადიანი განსახლება;

იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთათვის სოციალური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება მესაკუთრეთა უფლებების აღდგენის ხელშეწყობის მიზნით.

## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

*საგარეო პოლიტიკის განხორციელება*

საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობა; საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის განხორციელება;

ევროკავშირში სრულფასოვანი ინტეგრაციის მიზნით ევროკავშირთან თანამშრომლობის ყველა არსებული მექანიზმის გამოყენება;

ნატო-ში გაწევრიანებისათვის მოსამზადებლად მუშაობა არსებული პოლიტიკური და პრაქტიკული ინსტრუმენტების გამოყენებით;

აშშ–თან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის კომისიის, ასევე, ვაჭრობასა და ინვესტიციებზე მაღალი დონის დიალოგის და არსებული მრავალმხრივი ფორმატების ფარგლებში;

აშშ-ს როლის გაძლიერება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერასა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში;

ევროპის ქვეყნებთან როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარება და ახალ საფეხურზე აყვანა;

რეგიონული სტაბილურობის ხელშეწყობა და დაბალანსებული რეგიონული პოლიტიკის გატარება;

აზიისა და ოკეანეთის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში;

საერთაშორისო ორგანიზაციებში (გაერო, ევროპის საბჭო, ეუთო) აქტიური ჩართულობა და ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამისი პოლიტიკის გატარება/პოზიციონირება;

პარტნიორ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება, ქართული ექსპორტისა და საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა, ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის განვითარება, საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია, გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში ჩართულობით, მრავალმხრივ ფორმატებში ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვა;

საზღვარგარეთ საქართველოს პოზიტიური იმიჯის პოპულარიზაციის ხელშეწყობა, ქართული კულტურისა და ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენის ხელშეწყობა;

დიასპორის ერთიანობის, სიძლიერისა და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის განვითარების უზრუნველყოფა;

საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა ეფექტური მომსახურება და კრიზისულ სიტუაციებში შესაბამისი დახმარების გაწევა, მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის კუთხით მუშაობის გაუმჯობესება.

*მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში*

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა და სხვა უწყებების საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება;

დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის სრულყოფა (თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი პროგრამების შემუშავება და არსებული პროგრამების დახვეწა);

კომპეტენციის ფარგლებში კვლევითი/ანალიტიკური პროექტების განხორციელება;

მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება მსოფლიოს წამყვან დიპლომატიურ სკოლებთან, აკადემიებთან და ადგილობრივ პარტნიორებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით;

დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამდიდრება.

*ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის თაობაზე საზოგადოების ინფორმირება*

საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრების უპირატესობის, სარგებლისა და შესაძლებლობის წარმოჩენა ქვეყნის მოსახლეობისთვის მარტივად გასაგები, ობიექტური ინფორმაციის რეგულარული მიწოდებით და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით;

საერთო დასავლური ღირებულებების შესახებ საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;

სახელმწიფოს მიერ მოსახლეობისთვის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში გატარებული, მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების შესახებ ობიექტური და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება;

საზოგადოებაში ევროკავშირსა და ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებული მოლოდინის მართვა;

შესაბამისი ღონისძიებების გატარება მოსახლეობაზე ანტიდასავლური პროპაგანდის ზეგავლენის პრევენციის და შემცირების მიზნით;

დასახული მიზნების განხორციელებისთვის აქტიური თანამშრომლობა სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო უწყებასთან, დიპლომატიურ კორპუსთან, მედიასთან;

აქტიური კომუნიკაციის გაგრძელება საჯარო დისკუსიების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების, საზაფხულო სკოლების, სასწავლო ვიზიტების და საინფორმაციო კამპანიების მეშვეობით ინფორმაციის გამავრცელებელ ჯგუფებთან, მოსწავლეებთან/სტუდენტებთან, მასწავლებლებთან, საჯარო მოხელეებთან/ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სასულიერო პირებთან, მედიასთან, ეთნიკურ უმცირესობებთან, გამყოფ ხაზებთან ახლოს მდებარე სოფლების მოსახლეობასთან, სამხედრო მოსამსახურეებთან, ფერმერებთან/მეწარმეებთან და სხვა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

*თავდაცვის მართვა*

საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მიერ განსაზღვრული ქვეყნის შიდა და გარე პოლიტიკის მხარდასაჭერად თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა. ეფექტიანი ადმინისტრირების განსახორციელებლად თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული მართვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვა-განსაზღვრა;

ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ღონისძიებების ჩატარება პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან (ნატო, ევროკავშირი, ეუთო, გაერო);

თავდაცვის სამინისტროს დიპლომატიური (სამოქალაქო და სამხედრო) წარმომადგენლების მხარდაჭერა, თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციის ორგანიზება, შეიარაღების კონტროლის და ვერიფიკაციის ღონისძიებების განხორციელება;

თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;

*პროფესიული სამხედრო განათლება*

მაღალკვალიფიციური პირადი შემადგენლობის ჩამოყალიბების მიზნით, ეფექტიანი საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამების განხორციელებით, კადეტებისათვის ზოგადი განათლების და დაწყებითი სამხედრო მომზადების უზრუნველყოფა;

სპეციალიზებული მოკლე და გრძელვადიანი კურსების, ტრენინგების, გამოცდილების გაზიარების ფორმატის შეხვედრებისა და კონფერენციების ჩატარება კადრების პროფესიული გადამზადების მიზნით;

სამხედრო მოსამსახურეების წვრთნისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება;

თანამედროვე შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების მიზნით. პროფესიული განვითარების სასწავლო კურსების ჩატარება ქვეყნის გარეთ, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო მოსამსახურეთათვის.

*ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა*

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთათვის, პენსიონერებისათვის, მათი ოჯახის წევრებისათვის, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრებისათვის, სამოქალაქო პირებისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა (ამბულატორული, სტაციონარული მკურნალობა, სამედიცინო რეაბილიტაცია და დისპანზერიზაცია);

დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების საზოგადოებაში რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის ღონისძიებების გატარება, ფიზიკური რეაბილიტაციის და პროტეზირების პროგრამის განხორციელება; საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური მხარდაჭერის ხელშეწყობა;

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის (სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეები) და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევის უზრუნველყოფა;

სამედიცინო მხარდაჭერის როლი 2 დონის ჩამოყალიბება და აღჭურვილობით უზრუნველყოფა;

შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების სამედიცინო ავტოტექნიკით დაკომპლექტება, ხარჯვადი

სამედიცინო მარაგების შევსება, აგრეთვე მოძველებული სამედიცინო აღჭურვილობის ეტაპობრივი ჩანაცვლება-განახლება თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად;

სამედიცინო პერსონალის პროფესიული დონის ამაღლების ხელშეწყობა.

*მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები*

კიბერთავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება, ცნობიერების ამაღლება და ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება. თავდაცვის სამინისტროში შემავალი კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების უსაფრთხო და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

კავშირგაბმულობის და ინფორმაციული სისტემების განვითარება შეიარაღებული ძალების მართვისა და კონტროლის სისტემის მხარდასაჭერად. კავშირგაბმულობის სერვისების, ინტერნეტისა და საფოსტო მომსახურებას. საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით დამატებითი სტანდარტებისა და წესების შემუშავება და დანერგვა;

საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება; სერვისების უწყვეტობის უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების ხარისხის გაზრდა. ასევე დამატებითი სტანდარტებისა და წესების შემუშავება და დანერგვა;

ERP სისტემის მოდულებისა და სხვადასხვა პროგრამულ უზრუნველყოფის დანერგვა, რაც მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის, ფინანსების, აქტივების, ლოგისტიკური და სხვა პრიორიტეტული ბიზნეს პროცესების ელექტრონული სააღრიცხვო სისტემების შემუშავებას და დანერგვას.

*ინფრასტრუქტურის განვითარება*

თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების ტერიტორიაზე განთავსებული ინფრასტრუქტურის შენარჩუნება და განვითარება, კერძოდ: სამხედრო ქალაქების ფუნქციონალური ზონების განვითარება-რეაბილიტაცია; ახალი სამხედრო ობიექტების მშენებლობა; საინჟინრო კომუნიკაციების და ქსელების რეაბილიტაცია;

*საერთაშორისო სამშვიდობო მისიები*

ალიანსის წინაშე აღებული ვალდებულებების წარმატებით შესრულება და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ნატოს ეგიდით წარმოებულ "მტკიცე მხარდაჭერის მისიასა" (RSM) და "ნატოს რეაგირების ძალებში" (NRF) მონაწილეობა;

ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგისა და ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში აქტიური თანამშრომლობა და ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ მისიებში (ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა - EUTM RCA და მალის რესპუბლიკა - EUTM Mali) მონაწილეობა;

საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების (საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე ქვედანაყოფების პერსონალის საზღვარგარეთ მივლინების, იმუნიზაციის, სამედიცინო და სანივთე ქონების შეძენის და ინტერნეტის მომსახურების ხარჯებს) დაფინანსება და გადასროლისწინა მომზადებისთვის საჭირო საბრძოლო მასალის შეძენა.

*სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება*

ენერგოუსაფრთხოების სფეროში სამეცნიერო ტექნიკური სამუშაოების გაღრმავება, საწარმოო ბაზის განახლება და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, შეიარაღებულ ძალებში არსებული შეიარაღების და ტექნიკური საშუალებების მოდერნიზება და აღდგენა;

მრეწველობის და მათ შორის, მანქანათმშენებლობის რიგი დარგების განვითარება, ახალი ტექნოლოგიური პროცესების კვლევა და ოპტიმიზაცია;

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარების მიზნით, თავდაცვის სფეროში სამეცნიერო-კვლევების განხორციელება;

საწარმოო სიმძლავრეების გაზრდა–მშენებლობა და ექსპერიმენტალური მოდელების შექმნა შემდგომში ექსპორტის გაზრდის მიზნით.

*თავდაცვის შესაძლებლობების შენარჩუნება/ განვითარება*

ეროვნული უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების მზადყოფნა შესაძლო სამხედრო აგრესიის შესაკავებლად;

რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში მონაწილეობის მიღება;

საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეებიდან და გამოწვევებიდან გამომდინარე და ეროვნული სამხედრო სტრატეგიით განსაზღვრული სამხედრო მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, საქართველოს შეიარაღებული ძალების თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება;

საქართველოს შეიარაღებული ძალების თანამედროვე შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის შენარჩუნება, მოდერნიზაცია და განვითარება;

*ლოგისტიკური უზრუნველყოფა*

ლოგისტიკური უზრუნველყოფის შესაძლებლობების შენარჩუნება/გაუმჯობესება, ლოგისტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა, საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამისათვის (GDRP) საჭირო ლოგისტიკური ღონისძიებების განხორციელება;

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფა;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

*საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება*

პრევენციული და საგამოძიებო ფუნქციების გაძლიერება;

ეფექტიანი და ანგარიშვალდებული სამართალდამცავი უწყების ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციას, დანაშაულზე სწრაფ რეაგირებას, საზოგადოებრივ

უსაფრთხოებას, მართლწესრიგს და ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა ფაქტების გამოვლენას;

ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე დროული რეაგირებისა და მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობის გაზრდა.

*სახელმწიფო საზღვრის დაცვა*

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, საქართველოს საზღვაო სივრცესა და საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ გემებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;

სამაშველო ოპერაციების განხორციელება ადამიანთა სიცოცხლისა და ქონების გადარჩენის მიზნით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

საქართველოს საზღვაო სივრცეში მისი სუვერენული უფლებების დაცვა;

ზღვაოსნობისა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვის კონტროლი.

*ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათ შორის, ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვის და უსაფრთხოების დონის ამაღლება*

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილება, ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა-ინკასირება, დადებული ხელშეკრულებებისა და სახელმწიფო შეკვეთების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან, დასაცავი ობიექტების დაცვის ხარისხის ამაღლება, ციფრული კავშირგაბმულობისა და ობიექტების თანამედროვე დაცვითი საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემებით აღჭურვა;

კონტროლი კერძო დაცვით საქმიანობაზე;

ავტოპარკის მუდმივი განახლება;

ინფრასტრუქტურის მუდმივი რეაბილიტაცია.

*სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება,*

*საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება*

პროფესიული და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;

საშუალო რგოლის კვალიფიციური და პროფესიონალი საპოლიციო კადრების მომზადება და გადამზადება;

სამინისტროს არქივში განთავსებული, საქართველოს უახლესი ისტორიის ამსახველი უმნიშვნელოვანესი მასალების დაცვა როგორც მომავალი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის, ასევე პიროვნების იდენტიფიცირებისა თუ მნიშვნელოვანი მოვლენების აღდგენის თვალსაზრისით.

*საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა*

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური განვითარების შენარჩუნება და განმტკიცება, ავადობისა და შრომისუუნარობის რაოდენობათა შემცირება;
სამედიცინო ქვედანაყოფების მაღალი საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის უზრუნველყოფა;

საჭიროების შემთხვევაში დაჭრილთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციის ორგანიზება;

სამინისტროს სისტემაში სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა კონტროლი;

სამინისტროს თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა.

*სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა*

სააგენტოს მიერ შეთავაზებული სერვისების გაფართოების და გაუმჯობესების გზით სააგენტოს მიმართ ნდობის ხარისხის ამაღლება.

მომსახურების პროცესის შეუფერხებლად და თანამედროვე პირობებით მიწოდებისთვის, სააგენტოს ინფარასტრუქტურის განახლება/რეაბილიტაცია.

*საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება*

მაღალი დონის და მარტივად ხელმისაწვდომი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფა;

საგანგებო სიტუაციის დადგომის შემთხვევაში გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი სუბიექტების დროულად და სწორად ჩართვა პროცესში;
გადაუდებელი დახმარების შეტყობინების მიღების და დამუშავების სისტემის გაუმჯობესება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

*გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა*

ქვეყნის აგრარულ და გარემოს დაცვის სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეფორმების განხორციელება;

აგრარული სექტორის და გარემოს დაცვის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და შესაბამისი პროგრამების შემუშავება;

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მართვა და ადმინისტრირება;

2017-2021 წწ. გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის განხორციელების შეფასება და 2022-2026 წწ. გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის შემუშავება;

ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია;

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული მცენარეთა და ცხოველთა (მათ შორის საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების) აღრიცხვის და მდგომარეობის შეფასების საფუძველზე მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა;

წითელი ნუსხის მიღმა დარჩენილი ცხოველთა სახეობების მდგომარეობის შეფასება, სანადირო სახეობებად განსაზღვრისა და რიგ შემთხვევაში დაცვის უფრო ქმედითი ზომების დანერგვა;

ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფელ ცანას მიმდებარედ არსებული დარიშხანშემცველი ნარჩენი მასალების გაუვნებელყოფის ღონისძიებების განხორციელება.

*სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა*

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი;

ცხოველთა დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური, იძულებითი ღონისძიებებისა და ლაბორატორიული კვლევების განხორციელება ;

ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია;

მიმოქცევაში არსებულ ვეტერინარულ პრეპარატებზე სახელმწიფო ვეტერინარული კონტროლი;

ცხოველებში ვეტპრეპარატების და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენების არსებობის კონტროლი;

საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება;

პესტიციდების/აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი და ვეტერინარული აფთიაქებისა და სამკურნალოების მონიტორინგი;

სურსათის ხარისხისა და უსაფრთხოების მაჩვენებლების, ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების, მცენარეთა საკარანტინო და სხვა მავნე ორგანიზმების და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ლაბორატორიული კვლევა;

ქვეყნის ტერიტორიის მონიტორინგის (მავნებლის გამოჩენის და მისი რიცხოვნობის დაფიქსირება ფერომონიანი ხაფანგების საშუალებით) საფუძველზე, თანამედროვე სპეციფიკური შესასხურებელი ტექნიკის გამოყენებით, შესაბამისი ღონისძიებების გატარება აზიური ფაროსანას პოპულაციის რიცხოვნობის შემცირების მიზნით, კერების ლოკალიზაცია/ლიკვიდაცია.

*მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება*

ქართული ღვინოპროდუქციის საერთაშორისო და ადგილობრივი დეგუსტაციების, კონკურსების, გამოფენებისა და პრესტურების მოწყობა;

სპეციალიზებული უცხოური ჟურნალებისათვის საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ სტატიების მომზადება და მათი გამოქვეყნება;

სარეკლამო რგოლების დამზადება და ქართული ღვინის პოპულარიზაციისათვის საჭირო სხვა ღონისძიებების განხორციელება;

ქართული ღვინისა და კულინარიის შესახებ საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა საქართველოს და საერთაშორისო ბაზრებზე;

ალკოჰოლიანი სასმელების სასერტიფიკაციო ნიმუშების ან/და სერტიფიცირებული პარტიებიდან აღებული ნიმუშების შედარების უზრუნველსაყოფად ლაბორატორიული კვლევის ჩატარება;

მევენახეობის კადასტრის დანერგვა;

ვენახების ფართობების აღრიცხვა;

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი წიპწებისა და მერქნის მოლეკულური გენეტიკის და ამპელოგრაფიის მეთოდებით შესწავლის ხელშეწყობა და არქეოლოგიურ გათხრებში თანამონაწილეობა

წიპწების მოპოვებისათვის;

ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

*სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო -კვლევითი ღონისძიებების განხორციელება*

აგრარულ სფეროში დასაქმებულთათვის თანამედროვე აგროტექნოლოგიების გამოყენების ცნობიერების დონის ამაღლების ხელშეწყობა;

საქართველოში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშებისა და პოპულაციების მიკროსასელექციო გუნდების შექმნა;

ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის მოძიება, აღდგენა, კონსერვაცია, საკოლექციო და სადედე ნარგაობების შექმნა;

ერთწლოვანი კულტურების პირველადი მეთესლეობის განვითარება;

თესლისა და სარგავი მასალის სერთიფიცირების სისტემის დანერგვა საერთაშორისო სტანდარტების შესამაბისად;

ბიოაგროწარმოების დანერგვის ხელშეწყობა;

სურსათის უვნებლობის სფეროში რისკის შეფასება;

ხილისა და ბოსტნეულის შენახვის უნარიანობისა და ნედლად შენახვის ტექნოლოგიების კვლევა-შემუშავება;

საქართველოს ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა რეგიონების ნიადაგების მდგომარეობის შესწავლა და სათანადო ღონისძიებების გატარება.

*ერთიანი აგროპროექტი*

სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის რგოლების უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა;

აგროსექტორში დაზღვევის განვითარების ხელშეწყობა;

სანერგე მეურნეობების მოწყობის და მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენების ხელშეწყობა;

კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია;

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება.

*სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები*

სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მიზნით: მეფუტკრე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საწარმოო საშუალებებით უზრუნველყოფა (ფუტკრის სკები, საწურები და სხვა). რძის მწარმოებელ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე რძის საწარმოსთვის საჭირო თანამედროვე აღჭურვილობის გადაცემა;

ხორბლის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა;

მაღალმთიან რეგიონებში:ხორცის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება,კარტოფილის შესანახი სასაწყობე მეურნეობის და ხილის საშრობების მოწყობა;

ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებში კოოპერატივების მონაწილეობის ხელშეწყობა;

საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა;

კოოპერატივების ბრენდირება;

მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობა.

*სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია და აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა*

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის მიზნით: წყალსაცავების, სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია;

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაცია და სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკით უზრუნველყოფა;

სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა და ფერმერების სწავლება;

გრანტების გაცემა პირველადი წარმოების და აგრობიზნესის განვითარებისათვის;

მიწის აღდგენის სამუშაოების განხორციელება.

*გარემოსდაცვითი ზედამხედველობა*

გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის სისტემის სრულყოფა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა ჯეროვან შესრულებას, გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის პრევენციას, გამოვლენასა და აღკვეთას;

კანონდარღვევათა შემაკავებელი ეფექტიანი პირობების შექმნა და რეგულირების ობიექტების მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ნებაყოფლობით შესრულების სათანადო დონის მიღწევა;

*დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა*

დაცული ტერიტორიების დაცვის ღონისძიებების განხორციელება (პატრულირება, კანონდარღვევების აღკვეთა), დაცულ ტერიტორიებზე უკანონოდ შეღწევისა და სამართალდარღვევების აღკვეთისათვის ხერგილებისა და ბარიერების მოწყობა, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების ინფრასტრუქტურის აღდგენა და მოვლა-შენახვა;

დაცული ტერიტორიების გაფართოება, ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების დაცვა და აღდგენა ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების მიზნით;

საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის დაცვა ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად;

უნიკალური და იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნების დაცვა მათ შესანარჩუნებლად;

დაცულ ტერიტორიებზე პათოლოგიური კვლევების ჩატარება, დაზიანებული ფართობების დადგენა და მავნებლებთან ბრძოლისათვის შესაბამისი პრეპარატების შეძენა;

დაცულ ტერიტორიებზე საჭირო აღჭურვილობის გამოყენებით ხანძრების სწრაფი პრევენციაის განხორციელება;

დაცულ ტერიტორიებზე არსებული საძოვრების ხარისხობრივი მაჩვენებლების დადგენა, გამოყენება, შეფასება და მოსახლეობისათვის საძოვრების იჯარით გაცემა;

ტყის ინვენტარიზაცია;

საქართველოს დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის, ეკოტურიზმის განვითარების და ტურისტების მოზიდვისა და დაინტერესების მიზნით სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის საინფორმაციო ტურების ორგანიზება, დაცული ტერიტორიების სარეკლამო და სააგიტაციო ღონისძიებების ჩატარება (საინტერპრეტაციო და საინფორმაციო დაფების, ექსპოზიციების მოწყობა ვიზიტორთა ცენტრებში);

საზოგადოებაში ეკოლოგიური განათლების დონის და გარემოსდაცვითი ცნობიერების ასამაღლებლად და საზოგადოების ცალკეული ჯგუფების შესაბამისი ქცევის გასაუმჯობესებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება;

საქართველოს ეკოტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციისათვის, ჯანმრთელობის დაცვისა და ტურიზმისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის დაცვის, აღდგენისა და განვითარების ხელშეწყობა თვითმყოფადი ისტორიულ-კულტურული გარემოს აღდგენისა და შენარჩუნებისათვის;

საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა დაცული ტერიტორიების სისტემის შემოსავლების საკმარისი და პროგნოზირებადი დონის მიღწევით და დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტიანობისა და შესაძლებლობების გაზრდით.

*სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა*

ტყის მართვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბებისათვის სატყეო სექტორის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება და საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციით გათვალისწინებული ქმედებების ეტაპობრივი განხორციელება;

სატყეო სფეროს საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა;

ტყის ეფექტიანი მართვის, ფიზიკური დაცვის და ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სატყეო სააგენტოს ინსტიტუციური გაძლიერებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის მართვისა და განვითარების უზრუნველყოფა;

ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომელთა უწყვეტი სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა;

სატყეო-სამეურნეო გზების რეაბილიტაცია ან/და ახალი გზების გაყვანა ახალი ტყეკაფების გამოყოფისა და ათვისების მიზნით;

ტყის ჩახერგილობისაგან გაწმენდა, ძირნაყარის გამოტანა და ნარჩენების განთავსება დადგენილი წესით;

მერქნულ რესურსზე (მათ შორის, სათბობ შეშაზე) მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;

ეროვნული სატყეო სააგენტოს მომსახურების სახეების განვითარება, მათ შორის, მოსახლეობისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების ხეტყით უზრუნველყოფის მიმართულებით;

ხე-ტყის დამზადებისათვის შესაბამისი ფართობების გამოვლენა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება;

ტყის მოვლისა და აღდგენის ღონისძიებების განხორციელება;

ტყის დროებით სანერგეების მოწყობა პრიორიტეტების მიხედვით შერჩეულ სატყეო უბნების ტერიტორიებზე, ტყის დროებითი სანერგეების მოწყობა, წინასწარ გამოვლენილ აღსადგენ ფართობებზე, ტყის აღდგენისა და გაშენების ღონისძიებების განხორციელება მათ შორის წრაფმზარდი სახეობების პლანტაციების გაშენება, რაც ეტაპობრივად უზრუნველყოფს ტყეზე ზეწოლის შემცირებას, წვრილმზომ სორტიმენტებსა და საშეშე მერქანზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას;

ტყეების პათოლოგიური კვლევების ჩატარება და დასკვნების საფუძველზე მავნებლებსა და დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებების განხორციელება;

აქტიურად ხანძარსაშიში სატყეო უბნების იდენტიფიცირება და შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო, პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, ხანძარსაწინააღმდეგო ბილიკებისა და მინერალიზებული ზოლების მოწყობა, საინფორმაციო დაფების და სპეციალური ნიშნების მომზადება, პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო და ცეცხლსაქრობი საშუალებებისა და შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა;

ტყის აღრიცხვის ღონისძიებების განხორციელება, ტყის მართვის გეგმების შემუშავება, ტყის მდგომარეობის შესახებ მონაცემების მიღების, ანალიზისა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვის ეფექტიანი სისტემის დანერგვა;

ტყის აღრიცხვის მატერიალური ბაზის გაუმჯობესება და ინფორმაციის დამუშავების თანამედროვე პროგრამული საშუალებებით უზრუნველყოფა, ტყის გარე კონტურების დაზუსტება და შესაბამისი კარტოგრაფიული მასალის მომზადება ტყის ფონდის ფრაგმენტაციის თავიდან ასაცილებლად.

*ეროვნული საშენი მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა*

სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენის მიზნით მაღალი ხარისხის წიწვოვანი და ფოთლოვანი ხემცენარეების გამოყვანა;

მაღალი ხარისხის ნერგების გამოყვანა ქარსაფარი ზოლების აღდგენა-განაშენიანებისათვის, მუნიციპალიტეტებისა და ქალაქგამწვანების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კერძო მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის;

ტყის ჯიშთა სარგავი მასალის გამოყვანისათვის ტრადიციული მეთოდისა (ღია გრუნტში) და ასევე კონტეინერული მეთოდის (სასათბურე მეურნეობაში) გამოყენება;

საქართველოს ფლორისა და ფაუნის იშვიათი სახეობების შენარჩუნების და გამრავლების ღონისძიებები;

*გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა*

სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა;

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობის უზრუნველყოფა სათანადო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით;

სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისათვის ცნობიერების გაზრდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით;

განათლება მდგრადი განვითარებისთვის - საქართველოს ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაციის უზრუნველყოფა;

მომზადების, გადამზადების, კანონმდებლობით გათვალისწინებული სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზების უზრუნველყოფა;

კოოპერატივების მეპაიეთა კვალიფიკაციის ამაღლება და ტრეინინგების ჩატარება;

მონაცემების სისტემატიზაციის, მათზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და გამარტივების მიზნით ერთიანი მონაცემთა სისტემის შექმნა, განვითარება, გარემოსდაცვითი ინფორმაციის და ანალიტიკური ანგარიშების მომზადებისა და დაინტერესებული საზოგადოებისთვის მიწოდების მოქნილი მექანიზმის შემუშავაბის უზრუნველყოფა.

*ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა*

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში განსაზღვრული სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად, სააგენტოს მიერ სახელმწიფო რეგულირებისა და კონტროლის განხორციელება;

რადიოაქტიური მასალების, მაიონებელი გამოსხივების გენერატორების, რადიოაქტიური ნარჩენების, მათი მფლობელი ორგანიზაციების და პროფესიული დოზების უწყებრივი რეესტრის განახლება და მისი წარმოება;

რადიოაქტიური ნარჩენების მართვა;

საქართველოში გარემოს რადიაციული მდგომარეობის მონიტორინგი და კონტროლი;

ბირთვული და რადიაციული ავარიის, ინციდენტის, ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების არალეგალური მიმოქცევის, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე, საბაჟო და სატრანსპორტო ტერმინალებზე რადიაციული განგაშის შემთხვევებზე რეაგირება;

ქვეყანაში არსებული რადიაციული მდგომარეობის შესახებ საქართველოს მთავრობისათვის წარსადგენი ყოველწლიური ანგარიშის მომზადება;

ბირთვული და რადიაციული საქმიანობების ავტორიზაცია;

ბირთვული და რადიაციული საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი ინსპექტირების განხორციელების გზით.

*გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია*

საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც სტანდარტული, ასევე სპეციალიზებული ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელის გაფართოება: რადარული და აეროლოგიური დაკვირვებების აღდგენა, ჰიდრომეტეოროლოგიურ მონაცემთა ბაზების სრულყოფა;

ამინდის და ჰიდროლოგიური პროგნოზების ხარისხის ამაღლება და მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ დროული და ეფექტური გაფრთხილებების მომზადება და გავრცელება;

გეოლოგიური მონიტორინგი (გაზაფხული–შემოდგომა) და ფორს-მაჟორულ სიტუაციაში სტიქიური გეოლოგიური პროცესების შეფასების ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე საინფორმაციო ბიულეტენის შედგენა; თბილისის ტერიტორიაზე გეოლოგიური საფრთხეების (მეწყერი, ღვარცოფი და

სხვა) ზონირების რუკის შედგენა, რომელიც მომავალში იქნება ქალაქის დაგეგმარების და მდგრადი მართვის ერთ-ერთი საფუძველი; მიწისქვეშა წყლების მონიტორინგი; გეოლოგიური აგეგმვა;

საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს და შიგა წყალსატევების იქთიოლოგიური შეფასება და პროგნოზირება, ბიოლოგიური მონიტორინგი, წყალსატევების გარემოსდაცვითი
სტატუსის განსაზღვრა;

ჰიდრობიონტებისა და წყლის ჰაბიტატების დაცვის, აღდგენის და გონივრული მართვის წინადადებების შემუშავება; თევზებისა და სხვა ჰიდრობიონტების კონსერვაციული სტატუსის შეფასება;

აქვაკულტურის, მარიკულტურის და მდგრადი მეთევზეობის დანერგვის ხელშეწყობა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

*განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა*

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ამ სფეროში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;

საქართველოს ყველა მოქალაქისათვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა;

ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნა და განვითარება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემების სრულყოფა, მეცნიერების განვითარებისა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელება;

საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან ჰარმონიზაცია, საზოგადოების თითოეულ წევრთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად განათლების ხარისხზე ზრუნვა, მისი მუდმივი გაუმჯობესება და ქართული საგანმანათლებლო სივრცის მიმართ ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების ნდობის ამაღლება;

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების, ასევე მეცნიერების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

ეროვნული შეფასებების სისტემის სრულყოფა, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განვითარების უზრუნველყოფა;

ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მაღალ სტანდარტებზე ორიენტირებული სახელმძღვანელოების ეტაპობრივად შექმნა ზოგადი განათლების სამივე საფეხურსთვის; საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების სრულყოფა;

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ხელშეწყობა;

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დანერგვის ხელშეწყობა, სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგიური მხარდაჭერა;

საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდების აქტიური ჩართვის ხელშეწყობა;

ახალგაზრდებისათვის შესაბამისი და მაღალხარისხიანი განათლების მიღების, დასაქმებისა და პროფესიული ზრდის ხელშეწყობა;

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის პოლიტიკის და მისი აღსრულების ეფექტიანი მექანიზმების შემუშავების, მონიტორინგის „კარგი მმართველობის“ პრინციპით უზრუნველყოფა;

საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;

ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვასა და ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.

*სკოლამდელი და ზოგადი განათლება*

ზოგადი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასთვის;

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ჩართვა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების აუცილებელი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა;

მასწავლებელთა კვალიფიკაციის დონის ამაღლება;

ეროვნული შეფასებების სისტემის სრულყოფა, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განვითარების უზრუნველყოფა;

საჯარო სკოლის ყველა კლასის მოსწავლეებისათვის და კერძო სკოლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი სხვა კატეგორიების მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;

სკოლებში იმ მოსწავლეების ტრანსპორტირების პროცესის ხელშეწყობა, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა) სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია, ასევე აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები;

ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეებისათვის ქართული ენის სწავლების ხელშეწყობა;

სასკოლო ინიციატივების წახალისება;

ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე სკოლის მოსწავლეებისა და მათი ოჯახის წევრების კვალიფიციური ფსიქო-სოციალური მომსახურებით უზრუნველყოფა;

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრა და დისციპლინის გაუმჯობესება;

ელექტრონული სწავლა-სწავლების ხელშეწყობა;

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა,

სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგიური მხარდაჭერა;

საჯარო სკოლების პირველკლასელი მოსწავლეების და მათი დამრიგებლების უზრუნველყოფა პორტაბელური კომპიუტერებით (ნოუთბუქებით);

წარჩინებული მოსწავლეების წახალისება კომპიუტერული ტექნიკით;

*პროფესიული განათლება*

ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად, საქართველოს მოქალაქეების ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა პროფესიული და ზოგადი უნარების განვითარების გზით;

პროფესიული განათლებისა და მომზადების ერთიანი, ხარისხიანი და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლასა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამის, ხარისხიან პროფესიულ განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას;

განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობა;
✓ პროფესიული განათლების რეფორმის 2013–2020 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება;

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ქართული ენის ცოდნის დონისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციების თანამშრომელთა გადამზადება ტრენინგების ჩატარების გზით.

*უმაღლესი განათლება*

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთათვის სკოლის გამოსაშვები გამოცდების, ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო და მასწავლებლის გამოცდების ჩატარება;

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების და საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხულ საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სახელმწიფო სასწავლო გრანტითა და სასწავლო სამაგისტრო საგრანტო გდაფინანსებით უზრუნველყოფა;

წარჩინებული სტუდენტების სტიპენდიით უზრუნველყოფა;

უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობით საერთაშორისო კავშირების განმტკიცება, განათლების სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა;

საქართველოს რეგიონალურ საგანმანათლებლო ცენტრად პოზიციონირების მიზნით, უცხოელი სტუდენტების საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მოზიდვის მასშტაბური პროექტის - „ისწავლე საქართველოში“ განხორციელება;

ქვეყნის საჯარო და საზოგადოებრივი სექტორის გაძლიერება მაღალკვლიფიციური კადრებით, სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებსა და კურსებზე მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლების გზით;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალის ინტეგრაციის ხელშეწყობა

*მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა*

სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალის ინტეგრაციის ხელშეწყობა;

აკადემიური პერსონალის მობილობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის, ასევე მეცნიერთა და ახალგაზრდა მკვლევართა საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისება;

სამეცნიერო გრანტების დაფინანსებით ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო ტექნოლოგიური კვლევების განხორციელების ხელშეწყობა;

„ჰორიზონტი 2020“ პროგრამის სრულუფლებიანი ასოცირებული წევრობა;

მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის საგრანტო დაფინანსება;

სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობა;

სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;

საზღვარგარეთ ქართველოლოგიური კათედრებისა და ქართველოლოგის შემსწავლელი მეცნიერების გაძლიერებას;

უზრუნველყოფილი იქნება ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა მეცნიერებაში მიზნობრივი პროგრამების დანერგვით;

საზღვარგარეთ ქართველოლოგიური კათედრებისა და ქართველოლოგის შემსწავლელი მეცნიერების გაძლიერება;

საინოვაციო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა

*ინკლუზიური განათლება*

საჯარო სკოლებში სსსმ მოსწავლეთა განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მათთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა, შესაბამისი სერვისების შეთავაზება განათლების ყველა საფეხურზე. ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული, ეფექტური და ეფექტიანი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა;

საჯარო სკოლების მოსწავლეების, სტუდენტებისა, სოციალური ფაქტორებით გამოწვეული, დევნილი, რეპატრირებული და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი განსაკუთრებული საჭიროებების, საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების/სტუდენტები/პირების ინტეგრაცია და სოციალიზაცია, სათემო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება;

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების ხელშეწყობისთვის საჯარო სკოლების დამატებითი დაფინანსება;

სკოლა-პანსიონების მოსწავლეების უზრუნველყოფა სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით სსსმ მოსწავლეებთან აკადემიური, ფუნქციური და სოციალური უნარების განვითარება.

*ინფრასტრუქტურის განვითარება*

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ტერიტორიული ორგანოების, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, სპორტული და სახელოვნებო დაწესებულებების მშენებლობა - რეაბილიტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვა;

სახანძრო უსაფრთხოების სათანადო მოწყობილობების დამონტაჟება და შშმ პირებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

*ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები*

სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა;

სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო ახალგაზრდულ სტრუქტურებთან თანამშრომლობა, ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და წახალისება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობით ახალგაზრდებში სხვადასხვა უნარებისა და კომპეტენციების განვითარება, თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად ხარჯვის ორგანიზება, საქართველოს ახალგაზრდობის ინტელექტუალური, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა, ფორმირება და სრულყოფა;

სოციალური მეწარმეობაში ჩართვის გზით ახალგაზრდული კავშირების გაძლიერების ხელშეწყობა;

ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა, ახალგაზრდული მუშაკების გადამზადება და სერტიფიცირება, ახალგაზრდებში მოხალისეობრივი უნარჩვევების განვითარება, მოხალისეობის კულტურის პოპულარიზება;

ბავშვთა და ახალგაზრდობის გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა, ეთნიკური/ეროვნული უმცირესობებისა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის მოზარდებსა და ახალგაზრდებზე ზრუნვის ხელშეწყობა, მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, კლუბების და სტუდიების შექმნის ხელშეწყობა, ბავშვებისა და ახალგაზრდების შემეცნებით შემოქმედებითი და დასვენება გაჯანსაღების ფართომასშტაბიანი პროგრამების განხორციელება;

კულტურულ-შემოქმედებითი, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობა, ქართველი ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ახალგაზრდების ცოდნისა და უნარების გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით;

სხვადასხვა ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო დონორებთან ურთიერთობების გაღრმავება;

ქართველი და უცხოელი ახალგაზრდების აქტიური დასვენებით უზრუნველყოფა;

ბანაკების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება

*სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებების ხელშეწყობა*

სსიპ სახელოვნებო საგანმანათლებლო სასწავლებლების ხელშეწყობა, თითოეული მათგანის მისიის შესაბამისი, შედეგებზე ორიენტირებული პროგრამების მხარდაჭერით;

სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების მდგრადი განვითარების და ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფის მიზნით საფეხურეობრივი განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება;

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების უზრუნველყოფის მიზნით ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;

ახალგაზრდების დასაქმებისათვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების განვითარებისა და პროფესიული შესაძლებლობების ზრდის ხელშეწყობა;

ხარისხზე ორიენტირებული, ახალგაზრდის შემოქმედებით და სპორტულ უნარებზე მორგებული, დაფინანსების მოქნილი მოდელების შემუშავების გზით, მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სახელოვნებო და სასპორტო დარგების სპეციალისტების აღზრდა;

თანამედროვე სასწავლო ინფრასტრუქტურის განვითარება. ხარისხიანი სწავლების პროცესის უზრუნველსაყოფად სწავლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სასწავლებლების აღჭურვა;

სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო სასწავლებლების ხელშეწყობა, თითოეული მათგანის მისიის შესაბამისი, შედეგებზე ორიენტირებული პროგრამების მხარდაჭერით (კონცერტები, გამოფენები, სპექტაკლები, კონკურს-ფესტივალები, მასტერკლასები, სპორტული ღონისძიებები);

*კულტურის განვითარების ხელშეწყობა*

ქვეყანაში კულტურული ცხოვრების გააქტიურება, ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ეთნიკურ უმცირესობათა და შშმ პირთა ჩართულობის მხარდაჭერა;

ქართული კულტურისა და ხელოვნების ცნობადობის ამაღლების ხელშეწყობა და საერთაშორისო სახელოვნებო სივრცეში ინტეგრირება;

ევროკავშირის წევრ და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გზით საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების გაღრმავება და თანმშრომლობა;
სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ სახელოვნებო ორგანიზაციების პროგრამების მხარდაჭერა;

ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავი, თანაბარი ხელმისაწვდომობისა და ჩართულობის უზრუნველყოფა;

საქართველოს ცენტრსა და რეგიონებში კულტურული პროგრამების, პროექტების მხარდაჭერა;

ადგილობრივი კულტურული მარშრუტების განვითარება, ახალი თემატური კულტურული მარშრუტების ინიცირება და „ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტები“-ს პროგრამაში ინტეგრაციის ხელშეწყობა

*კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა*

„კულტურის სტრატეგია - 2025“ დოკუმენტისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის ფარგლებში ქვეყნის სამუზეუმო სისტემის საერთაშორისო სამუზეუმო სივრცეში ინტეგრაციის, მისი თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოვების და დღეს არსებული პრობლემური ასპექტების მოწესრიგების უზრუნველყოფა;

შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება ეროვნული უმცირესობათა კულტურის წარმოჩენის მიზნით;

უნარშეზღუდულ პირთა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრირების ხელშეწყობა;

საქართველოს მუზეუმების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, დაცვა და პოპულარიზაცია, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მუზეუმებში დაცული კულტურული

მემკვიდრეობის დაცვისთვის პრევენციული ზომების მიღება, ღონისძიებების გატარება მუზეუმების პოპულარიზაციისთვის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მართვის სისტემის ჩამოყალიბება;

მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობისა და შემოსავლების ზრდა;

საქართველოს არქიტექტურული კომპლექსების კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების დაცვა და საერთაშორისო და ორმხრივი ურთიერთობების წარმართვა-განვითარება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის, გამოცდილების გაზიარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;

UNESCO-ს ვალდებულებების შესრულება, მათ შორის UNESCO-ს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის" კონვენციასთან კანონმდებლობის ჰარმონიზაციისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო სისტემის/სივრცის შექმნის მიზნით;

მენეჯმენტის გეგმის მომზადება მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისათვის;

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების/ძეგლების ინვენტარიზაცია, დაცვისა და სისტემატიზაციის მექანიზმების შემუშავება;

კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი ბაზის შევსება;

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოების აღკვეთა;

კულტურული ტურიზმის განვითარებისა და მისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნისათვის ხელშეწყობა;.

*მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია*

ქვეყნის ნაკრები გუნდების მზადების და მონაწილეობის ხელშეწყობა საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, პირველობები, საერთაშორისო ტურნირები, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშები, სასწავლო საწვრთნელო შეკრებები.).

საქართველოს ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარება; სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და სპორტის ეროვნული სახეობების განვითარების ხელშეწყობა.

მასობრივი სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა; „სპორტიყველასათვის" მოძრაობის განვითარება; მასობრივ სპორტული ღონისძიებების გამართვა;

ოლიმპიური, პარალიმპიური, სურდლიმპიური, სპეციალური ოლიმპიური და სხვა მოძრაობების განვითარების ხელშეწყობა;

სპორტულ ორგანიზაციებში „კარგი მმართველობის“ პრინციპების დანერგვის მიზნით, დაგეგმვის ეტაპზე მონაწილეობა და სპორტული ორგანიზაციების საქმიანობის მონიტორინგის განხორციელება.

სპორტული ფედერაციებისთვის და რეგიონული სპორტული ორგანიზაციებისთვის გადასაცემად სპორტული ინვენტარის და ეკიპირების გადაცემა;

საქართველოში სპორტის სხვადასხვა სახეობაში საერთაშორისო შეჯიბრებების მასპინძლობა და მასობრივი სპორტული ღონისძიებების მაღალ დონეზე ორგანიზება. საერთაშორისო მასშტაბით ქვეყნის ცნობადობის და იმიჯის ამაღლება, სპორტული ტურიზმის განვითარება;

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ფეხბურთში მონაწილე კლუბების საბაზისო დაფინანსება. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ფეხბურთში მონაწილე კლუბების ფინანსური სტიმულირება;საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ფეხბურთში მონაწილე კლუბების საპრიზო და პრემიალური ფონდის განკარგვა;

მასობრივი სახის საფეხბურთო ღონისძიებებისა და საფეხბურთო განათლების ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება;

*კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვისა და ხელშეწყობის ღონისძიებები*

საქართველოში მცხოვრები ოლიმპიური ჩემპიონებისთვის, საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრებების წევრებისთვის, მწვრთნელებისთვის, ადმინისტრაციული და საექიმო პერსონალისთვის და პერსპექტიული სპორტსმენებისთვის ყოველთვიური სტიპენდიის გაცემა.

ვეტერანი სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკებისთვის ყოველთვიური სოციალური დახმარებების გაცემა;

მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელებისთვის ყოველთვიური ფინანსური დახმარების გაცემა;

სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრების, რუსთაველის პრემიის ლაურეატების და ხელოვნების მუშაკთა სოციალური დახმარების გაცემა და დაცვა.

*ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს - მეორე პროექტი*

საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარება და თანამედროვე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვა;

საჯარო სკოლების საბუნებისმეტყველო, მათემატიკის და ინგლისური ენის საგნების პედაგოგების, დირექტორისა და პროფესიული განვითარების ფასილიტატორის ინტენსიური გადამზადება;

ეროვნული და საერთაშორისო შეფასებების ხელშეწყობა კვლევების საფუძველზე, სანდო მონაცემების შეგროვება, მათი ანალიზი, რეკომენდაციების მომზადება და შესაბამისი პოლიტიკის კურსის შემუშავება;

პროფესიული განათლების ხელშეწყობით შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების მომზადება;

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ტექნოლოგიურ და საინჟინრო დარგებში, ამერიკული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გაძლიერება.

საქართველოს პროკურატურა

იურიდიული პირების მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულის გამოძიებისა და საპროცესო ზედამხედველობის განხორციელების ხელშეწყობა, აღნიშნული დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმძღვანელოს შემუშავება;

ადამიანის უფლებების დაცვა გამოძიების მიმდინარეობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში; ამ სფეროში სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევის გამომწვევი მიზეზების დადგენა და საერთაშორისო და უფლებადამცველი ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინება;

ოჯახური ძალადობის, წამების, არასათანადო მოპყრობის, უმცირესობათა უფლებების დარღვევის ფაქტებზე ეფექტური და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა;

პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსისა და დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებული განმარტებების შემუშავება, ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული გადაცდომების კონკრეტიზაცია;

სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დახვეწა, პროკურორთა საჭიროებებზე მორგებული და ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამების დახვეწა, პროკურორთა დატვირთვის ელექტრონული მოდულის იმპლემენტაცია;

პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით მასმედიასთან ურთიერთობის ეფექტური მექანიზმების შექმნა,

საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების არსებული მექანიზმების სრულყოფა;

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტის დახვეწა;

დანაშაულის პრევენციის ადგილობრივი საბჭოების შექმნა; პროკურატურის ცნობადობის ამაღლება და როლის გაზრდა დანაშაულის პრევენციის (მათ შორის, „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტით) პროცესში;

არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე პროკურორთა გადამზადება; არასრულწლოვნებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების სრულყოფა, არასრულწლოვანზე ორიენტირებული გარემოს შექმნა;

საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის, საერთაშორისო სტანდარტების სამუშაო პრაქტიკაში დანერგვის, განხორციელებული საკანონმდებლო სიახლეების პრაქტიკაში სწორი იმპლემენტირებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა პროკურატურის თანამშრომელთა პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფის გზით;

თანმიმდევრული, კოორდინირებული საქმიანობის ხელშეწყობისა და საერთო მიდგომების დანერგვის მიზნით პროკურატურისა და სხვა საგამოძიებო უწყებების/მიზნობრივი ჯგუფების წარმომადგენლებისათვის ერთობლივი სასწავლო პროექტების განხორციელება.

### სახელმწიფო აუდიტის სამსახური

#### *სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი*

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამედროვე, დამოუკიდებელ, უმაღლეს აუდიტორულ ორგანოდ ჩამოყალიბება, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სარგებლობს საზოგადოების მაღალი ნდობით;

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების თანამედროვე სანიმუშო პრაქტიკის გაცნობა და აუდიტორთა პროფესიული შესაძლებლობების ამაღლება აუდიტორული ცოდნითა და უნარებით;

გარე აუდიტის შესაძლებლობებისა და საკანონმდებლო მანდატის გაძლიერება;

მაღალხარისხიანი აუდიტორული საქმიანობის შედეგად საჯარო ფინანსების მართვის თვისობრივი გაუმჯობესება, კერძოდ, სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების მიზნობრიობის დაცვის და ეფექტიანობის ხელშეწყობა;

აუდიტორული საქმიანობით გაცემული რეკომენდაციების შედეგად მოტანილი სარგებლის ზრდა;

ინფორმაციული სისტემების (IT) აუდიტის გაძლიერება;

თანამშრომელთა ანალიტიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება, მათ შორის, დიდი მოცულობის მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის უნარების გაძლიერება;

პარლამენტთან თანამშრომლობის გაღრმავება;

შიდა კონტროლის სისტემისა და ინფორმაციული უსაფრთხოების გაუმჯობესება;

საერთაშორისო და დონორ პარტნიორ ორგანიზაციებთან პროფესიული თანამშრომლობის გაღრმავება;

წლიური აუდიტორული გეგმის ფორმირებისას მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერება.

*სსიპ - სახელმწიფო აუდიტის ინსტიტუტი*

საჯარო სექტორის აუდიტორთა სერთიფიცირების სისტემის სრულყოფა, კვალიფიკაციის ასამაღლებელი (მათ შორის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი) სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

*საარჩევნო გარემოს განვითარება*

მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და მაღალ პროფესიულ დონეზე ადმინისტრირებული არჩევნების საქართველოს კანონმდებლობის დაცვით ჩატარება და ყველა პირობის შექმნა, რათა ამომრჩევლებმა და საარჩევნო პროცესებში ჩართულმა სხვა მხარეებმა თავისუფლად განახორციელონ საარჩევნო უფლება;

ინსტიტუციური გაძლიერება: საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის, პროფესიონალიზმისა და სანდოობის განმტკიცება, ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკის და უწყვეტ ორგანიზაციულ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სისტემის დამკვიდრება; დემოკრატიული პროცესების განვითარებაში წვლილის შეტანა;

სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება: საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით საარჩევნო პროცესებში სამოქალაქო ჩართულობის გაზრდა, ამომრჩეველთა აქტივობის ზრდის და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობა;

საარჩევნო გარემო: საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეების აქტიური მონაწილეობით მაქსიმალურად ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნა, საქართველოს კანონმდებლობის დახვეწის პროცესის ხელშეწყობა;

საარჩევნო პროცესების დაგეგმვა, ყველა ტიპის არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფა.

*საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა*

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება არჩევნებში ჩართული მხარეებისათვის;

ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა;

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების ჩატარება;

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ფონდის ფუნქციების შესრულება.

*პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება*

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის საარჩევნო თემატიკაზე საგრანტო კონკურსების ჩატარება და გრანტებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული თანხების განაწილების უზრუნველყოფა.

*არჩევნების ჩატარების ღონისძიებები*

არჩევნების დაგეგმვა - სამართლებრივი, ორგანიზაციული, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

არჩევნების ჩასატარებისათვის საჭირო ინვენტარის შესყიდვა;

კომპეტენციის ფარგლებში საარჩევნო დავების განხილვა;

საარჩევნო პერიოდში საიმიჯო კამპანიის წარმოება;

ამომრჩევლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორცილება;

ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა;

გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს ხელშეწყობა;

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება.

**საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი**

საქართველოს ტერიტორიაზე, თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე გეგმიური და მოულოდნელი (დაუგეგმავი) მონიტორინგის განხორციელება;

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

მონიტორინგის ანგარიშების მომზადება და მათი წარდგენა;

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების გამოცემა და სხვადასხვა დონეზე წარდგენა;

ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევების შესახებ განცხადების/საჩივრების მიღება, განხილვა და შესაბამისი რეაგირება;

შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, მათი განხორციელების შეფასება;

საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების მუშაობის მხარდაჭერა და მათი გაზრდა;

ადამიანის უფლებათა სფეროში საგანმანათლებლო კამპანიების განხორციელება, მათ შორის სოციალური რეკლამის დამზადება და მედიის საშუალებით გავრცელება;

სამიზნე აუდიტორიებისთვის საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება;

საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენის ყოველთვიური გამოცემა;

ადამიანის უფლებათა თემატიკაზე საჯარო დებატების გამართვა, კონკურსების ჩატარება, სხვადასხვა პუბლიკაციების გამოცემა და გავრცელება;

ტოლერანტობის კულტურის განვითარებისა და თანასწორუფლებიანი გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს შორის მრავალმხრივი დიალოგის ხელშეწყობა;

ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა;

რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობის მონიტორინგი, არსებული ტენდენციების გამოკვეთა და ანალიზი, ტოლერანტობის საკითხებზე რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება და წარდგენა შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის;

მთავრობის ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის და შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, რელიგიათა და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოების ჩართულობით;

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის ზედამხედველობა, როგორც ცენტრში, ისე რეგიონებში;

არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგის გაძლიერება;

სკოლამდელი დაწესებულებების მონიტორინგი;

24 საათიანი სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნების მომზადების ზედამხედველობა სამზრუნველო დაწესებულებიდან გასვლის მიმართულებით;

საქართველოში გენდერული თანასწორობის დაცვის კუთხით არსებული ეროვნული და საერთაშორისო აქტების შესრულების მონიტორინგი, სახალხო დამცველის აპარატში შემოსული გენდერული თანასწორობის საკითხის დარღვევასთან დაკავშირებული განცხადება/საჩივრების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების/რეკომენდაციების/წინადადებების პროექტების მომზადება;

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანოების და ორგანიზაციების საქმიანობის, გამოცდილების განზოგადება და საქართველოში დანერგვის ორგანიზება;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესების ადვოკატირება;

გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით“ დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელება;

ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესწავლა და მონიტორინგი;

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება;

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მონიტორინგის განხორციელება თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში.

სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი

*სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა*

სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის შემუშავება;

სტატისტიკური კვლევების დაგეგმვა, მართვა, წარმოება, გავრცელება და ანგარიშგება;

მეთოდოლოგიური და სტატისტიკური სტანდარტების შემუშავება;

დასახული ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად საჭირო საკადრო, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსებით უზრუნველყოფა.

*სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა*

ქვეყნის საგარეო ვაჭრობისა (საქონლისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტის) და ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის გაანგარიშება, მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ მონაცემების მოპოვება;

სამომხმარებლო ფასებისა და მწარმოებელთა ფასების ინდექსების გაანგარიშება, ფასების საერთაშორისო შედარების განხორციელება;

ბიზნეს სექტორში (აგრეთვე არაკომერციულ ორგანიზაციების სექტორში) მიმდინარე მოვლენების და პროცესების ანალიზი;

ენერგორესურსების მოხმარების შესახებ სტატისტიკური გამოკვლევის განხორციელება და საქართველოს ენერგეტიკული ბალანსის შემუშავება;

არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლების გაანგარიშება;

სამაცივრე, სასაკლაო მეურნეობებისა და ელევატორების საქმიანობის გამოკვლევა;

საფინანსო საქმიანობთ დაკავებული საწარმოების და ლომბარდების საქმიანობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება;

საავტომობილო ტრანსპორტის ნატურალური მაჩვენებლების და ამავე დარგში ენერგორესურსების საბოლოო მოხმარების შესახებ ინფორმაციის შეგროვება;

შინამეურნეობებში ენერგორესურსების მოხმარების შესახებ ინფორმაციის შეგროვება;

ბაზრებსა და ბაზრობებზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების სტატისტიკური გამოკვლევა;

შრომის სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშება;

შრომის ბაზრისა და სამუშაო ძალის შესახებ დამატებითი მოდულების ერთჯერადი გამოკვლევა;

მიმდინარე დემოგრაფიული კვლევა;

საქართველოს შინამეურნეობების შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება (შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები, მოსახლეობის სიღარიბის და უთანაბრობის მაჩვენებლები და სხვა);

საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება, სასათბურე მეურნეობების კვლევა, ფერმერთა მთლიანი მარჟის გამოკვლევა;

საქართველოს რეზიდენტი და უცხოელი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების, ასევე საქართველოს რეზიდენტების მიერ ქვეყნის გარეთ განხორციელებული ვიზიტების შესახებ მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება;

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეობებსა და ბიზნესში;

საწარმოთა ინოვაციური აქტივობის გამოკვლევა.

სსიპ – კონკურენციის სააგენტო

თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის ხელშეწყობა;

ბაზრის ლიბერალიზაციის ხელშეწყობისათვის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაწესების დაუშვებლობა;

ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვა, რაც ითვალისწინებს: დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობას; კონკურენციის შემზღუდავი ხელშეკრულებების, გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებული ქმედებების დაუშვებლობას; სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ კონკურენციის არამართლზომიერად შემზღუდავი ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭების დაუშვებლობას; კონკურენციის შემაფერხებელი სახელმწიფო დახმარებების დაუშვებლობას;

კონკურენციის სააგენტოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

ქვეყანაში კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა.

სასამართლო სისტემა

სასამართლო შენობების სამშენებლო და სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება;

ნაფიცი მსაჯულების და მსაჯულობის კანდიდატების უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი ყველა იმ ხარჯის ანაზღაურებით, რომელიც დაკავშირებულია მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან;

იუსტიციის მსმენელების (მოსამართლეობის კანდიდატების) პროფესიული სასწავლო კურსის რეგულარული განხორციელება;

მოქმედი მოსამართლეების, მოსამართლის თანაშემწეების, სასამართლოს მენეჯერების და სასამართლოს სისტემის სხვა მოხელეების პროფესიული გადამზადება რეგულარულად ჩატარებული სასწავლო აქტივობების - ტრენინგების საშუალებით;

იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენელთათვის სასწავლო აქტივობების ორგანიზება.

მოსამართლეთა ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფა;

საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გამჭირვალობის და საჯაროობის პროცესის გაგრძელება;

*სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა*

საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სამხედრო პოტენციალის დაცვა უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურებისა და ცალკეულ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან;

სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილებისა და სახელმწიფო ხელისუფლების არაკონსტიტუციური, ძალადობრივი გზით შეცვლის გამოვლენა და დაცვის უზრუნველყოფა;

ტერორიზმთან ბრძოლა;

სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის საფრთხის შემცველი ტრანსნაციონალური ორგანიზებული და საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელება;

სახელმწიფო საიდუმლოების რეჟიმის დაცვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება და მათი შესრულების კონტროლი.

*ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა*

უფლებამოსილი ორგანოს მიმართვის საფუძველზე, სპეციალური ტექნოლოგიური საშუალებებით, ფარული მეთოდებით საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგისა და სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა შესახებ ინფორმაციის მოპოვება, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება და ამ მიზნით სხვადასხვა ღონისძიებათა განხორციელება;

„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ოპერატიულ-ტექნიკურ ღონისძიებების განხორციელება;

სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა;

